ალია
N181 /3303/ 1 დეკემბერი 2015 წ ფასი 1 ლარი
ორშაბათი ჭორიკანა სამშაბათი ალია ოთხშაბათი ალია ხუთშაბათი ალია პარასკევი ალია
„ძალაუფლება რყვნის, აბსოლუტური ძალაუფლება რყვნის აბსოლუტურად!!!“ ლორდი ექტონი 1877 წელი
WWW.ALIA.GE
გამოდის 1995 წლიდან

## ბაღებში ბავშვებს უხარისხო კარაქს აჭმევენო... 9



## ვინ არის და რა საქმეებში ფიგურირებს ირაკლი შოთაძის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე? 5





## „ქველმოქმედი მათხოვრების“ სისხლიანი დაპირისპირება

### რა მოხდა მეტრო ,,ისანთან“ 10

## ნატოში მე-5 მუხლის ამოქმედების გარეშე მიგვიღებენ? 11

### რას ამბობს ვახტანგ მაისაია, რომელმაც ნატოში 4 წელი იმუშავა?







რას იხეირებს საქართველოს მოსახლეობა პარიზის სამიტით? 7



აი, ეგ ოხერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ხალხს კიდევ უფრო საშინელ დანაშაულებს ჩაადენინებენ, თუ ,,ქართული ოცნება“ გონს არ მოეგო!!! 3



როგორ დაგიცვათ თავი რიგითმა მოქალაქეებმა, როცა ჩინოვნიკებსაც აყაჩაღებენ? 2



10 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი თბილისელი უფასო სასადილოებით ვერც 2016 წელს ისარგებლებს 12



აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე ძაღლები პოზიტიურ გავლენას ახდენენო 16



კიბოთი დაავადების რისკი 45 პროცენტითაა გაზრდილი?! 16



ქალებს ქვეცნობიერად ნივრის სუნი იზიდავთ? 15



წარმატებული ქორწინების განსაზღვრა მეცნიერებს ხმის მეშვეობით შეუძლიათ 15



## სააკაშვილმა გადაავლო თვალი ოდესას და თქვა — ოჰოჰოჰოჰო, რამდენი ბიზნესმენი მყავს გასაწეწიო?!



ადგილდება.

წარმოგიდგენთ ავტომობილების სიას:

1) Chevrolet Tracker
2) Toyota Rav 4
3) 3 ჯიპი Nissan New X Trail
4) Toyota Corolla (marshalpress.ge)

**უნდა აღინიშნოს, რომ ამ ინფორმაციას უკრაინული ინტერნეტრესურსი hinkali.org აქვეყნებს. მართალია, ამ რესურსის სახელწოდება, ცოტა არ იყოს, არასერიოზულია და აშკარად სააკაშვილის საქილიკოდაა შექმნილი, თუმცა ნიკოლაევიჩის აქაურ „მოღვაწეობას“ თუ გავიხსენებთ, გამორიცხული არაფერია. უფრო მეტიც, გამორიცხული კი არა, „მეხინკლეები“ „გაოდესებულს“ „კაკრაზ“ ფაქტებით ამხელენ და როგორც ჩანს, დაუწყია ვაჟბატონს იქაური ბიზნესმენების დატერორებაც.**



მიხეილ სააკაშვილმა უკრაინაში „ოდესის აღორძინების“ ფონდი შექმნა, რომელშიც უკრაინელ ბიზნესმენებს რეკეტისა და ძალადობის გზით დიდი რაოდენობის თანხებს სისტემატურად არიცხვინებს. აღნიშნულ ფონდს სააკაშვილი პირადი მიზნებისთვის განკარგავს. სწორედ „ოდესის აღორძინების“ ფონდიდან არაერთხელ იქნა შეძენილი თვითმფრინავის ბილეთები მომღერალ სოფო ნიჟარაძისთვის, ძებნილ ზურაბ ადეიშვილისა და „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერების უკრაინაში ვიზიტებისთვის.

რამდენიმე დღის წინ, მიხეილ სააკაშვილმა პირადი სიამოვნებისთვის 6 ახალი ავტომობილი სწორედ აღნიშნული ფონდის მეშვეობით შეიძინა.

ავტომობილები ოდესაში ნომრების გარეშე გადაადგილდება.

**მოკლედ, კუზიანს მხოლოდ სამარე გაასწორებსო, ასეა სააკაშვილის საქმე — აქ რისთვისაც მოსდო ცხვირში 2012 წლის 1-ელ ოქტომბერს ამომრჩეველმა, ჭკუა ვერ ისწავლა და ისევ აპრობირებულ მეთოდებს იყენებს ჯიბეების გასასქელებლად.**

**რატომღაც, ისეთი შეგრძნება გვაქვს, რომ სულ მალე ვნახავთ სააკაშვილის ბუმბულს გაშლილს, გაფანტულს ველადა...**

## კარგი, რა, „შუსუსუ“, ხალხისთვის რა მნიშვნელობა აქვს, ჩინოვნიკი ივლის უძვირფასესი მანქანით თუ — რიგითი პატრული?




საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის, გიორგი მღებრიშვილის გადაწყვეტილებით, შს სამინისტროს მიერ შეძენილი BMW X6-ის მარკის ძვირად ღირებული ავტომანქანა საპატრულო პოლიციას გადაეცა.

როგორც შს სამინისტროს მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი, 2011 წელს, შს სამინისტრომ შეიძინა BMW X6-ის მარკის ავტომანქანა, რომლის გამოშვების თარიღია 2008 წელი, ხოლო საბალანსო ღირებულება – 99 000 ლარი.

– შინაგან საქმეთა მინისტრი მიიჩნევს, რომ ამგვარი ტიპის ავტომანქანით არ უნდა სარგებლობდნენ სამინისტროს მაღალჩინოსნები. გიორგი მღებრიშვილის გადაწყვეტილებით, აღნიშნული ავტომანქანა გადაეცა საპატრულო პოლიციას, რათა ის უშუალოდ მოქალაქეთა უსაფრთხოებასა და მართლწესრიგის დამყარებას მოემსახუროს.

ზემოხსენებული ავტომანქანა გადავიდა რიგითი საპატრულო ეკიპაჟების განკარგულებაში და განკუთვნილია საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის. აქვე შევნიშნავთ, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროს განკარგულებაში ამ დროისთვის იმყოფება მსგავსი კატეგორიის კიდევ რამდენიმე ავტომანქანა, რომლებიც უახლოეს მომავალში, ასევე, საპატრულო პოლიციას გადაეცემა, – ნათქვამია განცხადებაში. (ინტერპრესნიუსი)

**თბილისში ვცხოვრობთ, კაცო, დუბაიში ხომ არა, „იქს 6“ და „ლამბორჯინი“ ჰყავდეს საპატრულო პოლიციას? არა, თუ ექნა სახელმწიფოს ამის საშუალება, ვინ მამაძაღლი, ხმა ამოიღოს, მაგრამ ამ გაჭირვებისას ლამის 100-ათასლარიანი ავტომობილი შეიძლება ყოველდღიური პატრულირებისთვის გამოიყენოთ? ჯერ ის ნიკოფსიიდან დარუბანდამდე მოტორიანი „ფორდები“ აწევს ძალიან მძიმედ ბიუჯეტს და ახლა „იქს 6“-ს უმატებთ, კაცო? ან რა კომპლექტაციისაა, ეს მაინც თქვით, ვერსად მოვიძიეთ და გავარკვიეთ დეტალები, თუმცა მაინც ვფიქრობთ, რომ ხალხისთვის არანაირი მნიშვნელობა არ აქვს, ჩინოვნიკი მოახტება უძვირფასეს ავტომობილს თუ რიგითი პატრული — ფული მაინც მისი ჯიბიდან იხარჯება და მაინც!..**

**ჰო, რაც მთავარია, თუ „ნაცმოძრაობას“ ფეხებზე ეკიდა ყველაფერი და უძვირფასესი ავტომობილებით გრიალებდა, თქვენ კიდევ ადექით და გაყიდეთ ეგ მანქანები, უფრო ეკონომიურები იყიდეთ და აღარავის გაუჩნდება სრულიად სამართლიანი უარყოფითი დამოკიდებულება.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## როგორ დავიცვათ თავი რიგითმა მოქალაქეებმა, როცა ჩინოვნიკებსაც აყაჩაღებენ?



გვიან ღამით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე დააყაჩაღეს.

ზაალ მამალაძის სახლში ჯერჯერობით დაუდგენელი შეიარაღებული პირები შეიჭრნენ.

ოჯახის უფროსმა თავდამსხმელებისთვის წინააღმდეგობის გაწევა სცადა, თუმცა მას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ყაჩაღებმა 800 ლარი წაიღეს და ზაალ მამალაძის კუთვნილი ავტომანქანით მიიმალნენ.

მომხდარზე ყაჩაღობის მუხლით აღძრულია სისხლის სამართლის საქმე. (ნიუპოსტი)

**აი, ხომ ხედავთ, ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, რა ცუდია, როცა თავდამსხმელებს შიშველი ხელებით ეჩეხები — გემოზე მიგბეგვავენ, დაგასისხლიანებენ, 800 ლარსაც წაგართმევენ და ავტომობილსაც გაგტაცებენ.**

**ისე, სასხვათაშორისოდ უნდა გკითხოთ, ქალბატონო იუსტიციის მინისტრო, როგორ ფიქრობთ, ზაალ მამალაძეს რომ სახლში პირადი იარაღი ჰქონოდა, გამართული, ფეხზე შეყენებული და კანონიერი, რა თქმა უნდა, ხომ ვეღარ გაუბედავდნენ ყაჩაღები თავდასხმას და ოჯახს ხომ ვეღარ აუწიოკებდნენ? კი, ნამდვილად ასე იქნებოდა, რადგან როცა ბოროტმოქმედმა იცის, რომ მსხვერპლისგან საკადრის პასუხს მიიღებს, ვეღარ გარისკავს, რასაც ამერიკისა და იმ ქვეყნების სტატისტიკაც ადასტურებს, სადაც იარაღი დიდი ხნის დაკანონებულია — დანაშაულები ასეთ ქვეყნებში მნიშვნელოვნადაა შემცირებული.**

**კიდევ ერთი რამე უნდა გკითხოთ, ქალბატონო იუსტიციის მინისტრი: როცა ჩინოვნიკიც კი, თუნდაც ჩოხატაურის საკრებულოს თავმჯდომარე, დაუცველია ყაჩაღების თავნებობისგან, რიგითმა მოქალაქეებმა როგორ დავიცვათ, საკუთარი თავი ჯანდაბას, ჩვენი ოჯახები, შვილები, ამაზე რატომ არ ფიქრობთ, რატომ?!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ეეჰ, რა დღეში ჩაგაგდოთ მამაძაღლმა არქიფომ და ძაღლისშვილმა თაბაგარმა?!



„რუსთავი 2“-ის გენერალური დირექტორი, ნიკა გვარამია რუსეთ-თურქეთის დაპირისპირებაზე ქართველი საზოგადოების რეაქციის თავისებურ აღქმას სოციალური ქსელიდან ახმაურებს:

– ვუყურებ ვორქშოპს შაბათის „კურიერში“, თემაზე, რამდენად ადეკვატური იყო თურქეთის რეაქცია რუსეთის მიერ საჰაერო სივრცის დარღვევაზე. ჩემი დაკვირვებით:

1. ქართველი ქალები (საბჭოთა კავშირში დაბადებულები) ბევრად გამბედავად გამოთქვამენ რუსეთის საწინააღმდეგო მოსაზრებებს, ვიდრე მამაკაცები, რომლებიც რაც უფრო ხანდაზმული – მით უფრო შეშინებული.

2. კახეთი და აჭარა განსაკუთრებით პრორუსულ განწყობებს ავლენენ. ხოდა, ეს დაბალრენტაბელური და დაბალხარისხიანი ყურძენი და მანდარინი (რომლის გასაღების ერთადერთ ბაზრად განიხილება რუსეთი) არა მარტო ეკონომიკური დაცემის აგენტებია, არამედ სტრატეგიული საშიშროებისაც. დროზე თუ არ მოვიშორეთ, არც ეკონომიკას ეშველება და არც უსაშიშეს რუსეთზე ნოსტალგიას.

P.S. და ამ დროს, უკვე თითქმის მოშორებულ ჩაის ისევ გაცოცხლებას უპირებს მოქმედი მთავრობა, – წერს გვარამია „ფეისბუკის“ საკუთარ გვერდზე. (tb24.ge)

**„სლუში“, ნიკოლოზ, კაცები შეშინებულები კი არ არიან, ეტყობა, რუსი ტანიები და ნასტიები ენატრებათ, რაც უფრო ხანდაზმულებს, მით მეტად...**

**სერიოზულად თუ მივუდგებით „თავისუფალი სიტყვისთვის მებრძოლ რაინდს“, მაგარ მაიმუნობებს ამბობს, თუნდაც დაბალხარისხიან ყურძენსა და მანდარინზე.**

**ჯანდაბას, მანდარინი და ციტრუსი იქით იყოს, მაგრამ ბატონ ნიკოლოზს ეტყობა, არ ახსოვს ან არ უნდა ახსოვდეს, რომ სწორედ „უხარისხო ქართული ყურძნისგან“ დამზადებული ღვინო იმსახურებს მთელი მსოფლიოს აღფრთოვანებას.**

**ან კახელებსა და აჭარლებს რად აბრალებს ბატონი ნიკოლოზი რუსეთუმეობას, ღმერთმა უწყის, ქართლელები და იმერლები ნატოს კართან „ბირჟაობენ“ და ურიგოდ ლამობენ ალიანსში შევარდნას?**

**არც ჩაი „ნაყვარება“, ყავას არის მიჩვეული, ეტყობა...**

**საიდან და რატომ უჩნდება ხოლმე ასეთი წვეტიანი აზრები, ნამდვილად ვერ გეტყვით. ერთი, რაც დანამდვილებით ვიცით, სიამოვნებით მოვისმენდით ნიკა გვარამიასთან დაკავშირებით აჭარლებისა და კახელების ცხრასართულიან შეფასებებს!..**

## ოლანდისგან მიღებული მადლობა ნამეტანი სასიამოვნოა, ალბათ, მაგრამ ქართველი ხალხი თუ უხდის მადლობას „ოცნებას“ ეკოლოგიური „მიღწევებისთვის“?



საფრანგეთის პრეზიდენტმა ფრანსუა ოლანდმა საქართველოს პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილს გაეროს კლიმატის ცვლილებების ჩარჩო კონვენციის მხარეთა კონფერენციაში (COP21) მონაწილეობისთვის მადლობა გადაუხადა.

საფრანგეთის პრეზიდენტისა და საქართველოს პრემიერ-მინისტრის შეხვედრა კონფერენციის ფარგლებში, პარიზში გაიმართა.

ირაკლი ღარიბაშვილი COP21-ში საფრანგეთის პრეზიდენტის პირადი მიწვევით მონაწილეობს. (ნიუპოსტი)

**კლიმატის ცვლილებების კი არა, სიღარიბის დაძლევის მიმართულებით ვერ გადაუდგამს მთავრობას ეფექტური ნაბიჯები, ეს ერთი და მეორე — ვინ მოთვლის, რამდენჯერ მიუცია რჩევა „ალია“-„ქრონიკას“ ხელისუფლებისთვის, რომ ადგეს და ბენზინი ეკოლოგიურად სუფთა საწვავით შეცვალოს, მაგრამ რად გინდა — შეაყარე კედელს ცერცვი. ამით ხარჯებიც ხომ შემცირდებოდა და გარემოსაც ნაკლები ზიანი მიადგებოდა, თუმცა...**

**ჰო, კიდევ აუცილებლად უნდა გავიხსენოთ ნარმანიას საარჩევნო დაპირება დედაქალაქში მილიონი ხის დარგვასთან დაკავშირებით — დაპირება შესრულდა კი არა, ულმერთოდ იჩეხება ხეები.**

**გარდა ამისა, კატასტროფული მდგომარეობაა უზარმაზარი და უშნო კორპუსების აშენების მხრივაც, რაც დედაქალაქს ხომ საშინლად ამახინჯებს, უკვე ნორმალურად სუნთქვის საშუალებასაც კი სპობს. ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მაგალითი აკადემქალაქია, სადაც „ალიას“ რედაქცია მდებარეობს და თავად მერიც ცხოვრობს — იმხელა კორპუსებია ჩალაგებული უშნოდ და ქაოსურად, სუნთქვა მართლაც შეუძლებელია. ეს მხოლოდ ერთი მაგალითია და იმიტომ მოვიყვანეთ, რომ თავად დავით ნარმანიაა აქვე, თორემ მსგავსი საშინელება მთელ დედაქალაქში რომ ხდება, ყველამ გადასარევად იცის...**

**ოლანდის მადლობაო... ჰმ!..**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ვინ არის 23 წლის ოზურგეთელი ISIS-ისთან კავშირში ეჭვმიტანილი — „გვეძინა, კარი შემოგვიმტვრიეს“



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ნასაკირალში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად, 23 წლის ჯამბულ აბდულაევი ISIS-თან შესაძლო კავშირის ბრალდებით დააკავეს.

აბდულაევები ამბობენ, რომ მათ სახლში იარაღი ჩაუდეს და არანაირი კავშირი მათ შვილს არ შეიძლებოდა ჰქონოდა ტერორისტებთან. სპეცოპერაციის დეტალებს იხსენებს დაკავებულის მამა:

– გვეძინა, კარები რომ შემოამტვრიეს და შემოვარდნენ, დაიწყეს ჩხრეკა. ჩაგვიდეს იარაღი, თან ეს დროშა, აბსურდია ეს ყველაფერი. არავითარი კავშირი არ შეიძლებოდა ჩემს შვილს მაგათთან ჰქონოდა. ვლოცულობ მე, რა ვქნა მეტი? სახლში იყო, არ გადასულა არც თურქეთში, არც არსად. უბრალოდ, უპატრონო ხალხი ვართ და გვჩაგრავენ, – ამბობს ზეინალ აბდულაევი.

– „ლიმონკა“, დროშა, შენიაო, ამ რუკაზე აღნიშნულია ადგილებიო, ტერორისტებთან გაქვს კავშირიო და წაიყვანეს, – აცხადებს დაკავებულის დედა მარინა ვანაძე.

დაკავებული ჯამბულ აბდულაევი 23 წლისაა. ის თბილისშია გადაყვანილი.

აბდულაევებს ორი შვილი ჰყავდათ, ერთი, გასულ წელს სოფელ ოზურგეთში მომხდარი ავტოავარიის დროს დაიღუპა. (ნიუპოსტი)

## რეჟისორი გუგული მგელაძე გარდაიცვალა



ცნობილი ქართველი რეჟისორი გუგული მგელაძე 87 წლის ასაკში გარდაიცვალა, ამის შესახებ ინფორმაციას სოციალურ ქსელში რეჟისორის შვილიშვილი ჟურნალისტი ნინია ახვლედიანი ავრცელებს.

– მარტო ამ ფინალის გამო ღირდა ცხოვრება. ვამაყობ, რომ ბაბუაჩემი ასეთი რეჟისორი იყო. სიმბოლურია, გუშინ ღამე ელდარ რიაზანოვიც გარდაიცვალა... სიმბოლურია, დღეს თბილისის კინოფესტივალი იხსნება...

გუგული მგელაძე უკვე ქართული კინოს ისტორიაა, – წერს ნინია ახვლედიანი.

გუგული მგელაძის მიერ გადაღებული ფილმებია: „ბურთი და მოედანი“, „ბოდიში, თქვენ გელით სიკვდილი“, „ცისკრის ზარები“, „სინათლე ჩვენს ფანჯრებში“, „არ დაიჯერო, რომ აღარა ვარ“, „მაცივარში ვიღაც იჯდა“, „ფესვები“, „ჩაკლული სული“, „გაჭედილები“. (ნიუპოსტი)

**„ალია“ სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს!**




მიხეილ სახვაძე

599 93-28-03


რუსთავში, მეგობრობის გამზირზე, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „იზიმანი“ გაქურდეს. შემთხვევა კვირას, 29 ნოემბერს მოხდა. როგორც ცნობილია, ოფისიდან კომპიუტერებია წაღებული.

ქურდობის შესახებ პოლიციაში შეტყობინება ორშაბათს, 30 ნოემბერს, დილით შევიდა. შსს-ს პრესსამსახურის ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება 177-ე, ქურდობის მუხლით მიმდინარეობს. (ნიუპოსტი)

ისე ნურავინ გაიგებს, რომ ამ კონკრეტული ქურდობის ჩამდენს ვამართლებდე, არავითარ შემთხვევაში – კრიმინალის ჩამდენი ნებისმიერი ადამიანი უნდა დაისაჯოს! საქმე ისაა, რომ სხვის ოფისში შეღწევა და იქიდან კომპიუტერების გატანა ქურდობად კვალიფიცირდება და ასეც უნდა იყოს, მაგრამ მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, ონლაინკრედიტების გამცემი კანტორები რომ ულმერთოდ ყვლეფენ და ატერორებენ ადამიანებს, ამაზე კანონი დუმს. თუმცა დუმილი სრულიად უადგილო სიტყვაა – მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ონლაინსესხების გამცემი კომპანიების მუშაობას არც ერთი კანონი არ არეგულირებს, მომხმარებლების უფლებებს არავინ და არაფერი იცავს. ბუნებრივია, ამას ის შედეგი შეიძლება მოჰყვეს, რომ ვალებისგან და ჯოჯოხეთური პროცენტებისგან გამწარებული ადამიანი თავზე ხელს აიღებს და ან კომპიუტერს მოიპარავს, ან ვიღაცას გალახავს. ჰო, ისევ თავად კი დაისჯება და სესხის გამცემი დაზარალებულის სტატუსს მიიღებს, მაგრამ, როცა გამოსავალი აღარ გაქვს, როცა ყველა გზა მოჭრილი გაქვს, რადიკალურ ნაბიჯზე წასული შედეგებზე, სამწუხაროდ, აღარ ფიქრობ ხოლმე...

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არავითარ შემთხვევაში არ ვამართლებთ ამ ქურდობის ჩამდენს, მაგრამ პრობლემა უფრო სერიოზული მგონია და ვფიქრობ, აბსოლუტური უმრავლესობა დამეთანხმება კიდეც:

21-ე საუკუნეში კომპიუტერი არ არის ისეთი იშვიათი ნივთი, რომ მისი მოპარვით და მერე გაყიდვით ადამიანი გამდიდრდეს და ჯიბეები გაივსოს. დიდი ეჭვი მაქვს, მიკროსაფინანსო ორგანიზაციიდან კომპიუტერები იმის გამო მოიპარეს, რომ ინფორმაცია გაენადგურებინათ. კი, ბატონო, როცა ადამიანი სესხს იღებს, მისი მონაცემები მხოლოდ ერთ კომპიუტერში არ ინახება და სისტემაში მოხვედრის შემდეგ ყველა ფინანსურ ორგანიზაციას მიუწვდება ხელი დეტალებზე, მაგრამ არც იმას გამოვრიცხავ, რომ ეს ამბავი ქურდობის ჩამდენმა, უბრალოდ, არ იცოდა...

ისე, ძვირფასო მკითხველო, არ გიფიქრიათ, რატომ მომრავლდა ასე სოკოებივით მიკროსაფინანსო ორგანიზაციები და ონლაინკრედიტების გამცემი კომპანიები?!

გაჭირვებას რა ვუთხარით, თორემ მაგათთან საქმის დაჭერა აბა, როგორ შეიძლება?! თუმცა რას ვიზამთ, დგება ხოლმე მომენტი, როცა გარკვეული თანხა გჭირდება და როცა სხვა გზა არ გაქვს, მიადგები მსგავს კომპანიებს.

მით უმეტეს, ისეთი პიარკამპანიები აქვთ ხოლმე, ისე ნიღბავენ გასესხებული თანხის არაადამიანურ პროცენტებს, უმრავლესობა ვერც კი ეჭვობს, რომ „ისესხე 100 ლარი და გადაიხადე დღეში მხოლოდ 1 ლარი“ თამამად შეიძლება ითქვას, ერთ-ერთი ყველაზე მზაკვრული და აფერისტული შეთავაზებაა, რაც კი თაღლითობის ისტორიას ახსოვს.

იმას ვგულისხმობ, რომ ასე ნასესხები 100 ლარი გადახდილად მხოლოდ მაშინ ჩაგეთვლებათ, როცა მთლიან თანხას, ე.წ. ძირ ფულს ერთიანად დაფარავთ. მანამდე კი ყოველდღე გადახდილი 1 ლარი ნიშნავს, რომ კონკრეტული კომპანიისგან სესხი 365 პროცენტში გაქვთ აღებული!!! გესმით, ეს რას ნიშნავს, ძვირფასო მკითხველო? გესმით, ეს რამხელა პროცენტია და რამხელა მამაძაღლობა?! თუმცა არა, მამაძაღლობა კი არა, ეს პირდაპირ ყაჩაღობა და კრიმინალია, რომელსაც, სამწუხაროდ, კანონი ასეთ ფორმულირებას არ აძლევს – არ არსებობს კანონი და იმიტომ!..

ამას წინათ სუფრაზე ერთი ადამიანი გავიცანი, რომელსაც, როცა ხელი ჩამოვართვი, საერთო მეგობარმა ხუმრობით მირჩია, გამარჯობაც კი არ უთხრა, თორემ ეგრევე სესხს დაგიმტკიცებსო...

მიხვდით, ალბათ, ეს ჩემი ახალი ნაცნობი ერთ-ერთი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის თანამშრომელი გახლდათ. გულუბრყვილო შეკითხვა კი იყო, მაგრამ მაინც ვკითხე, – რა მოგება აქვს მის კომპანიას, როცა ამდენი პრობლემური გადამხდელი არსებობს, როცა ხალხს პურის ფული არ აქვს და სესხის გადახდას ფიზიკურად ვერ ახერხებს.

ცოტა რომ შეზარხოშდა, აჭიკჭიკდა:

**— „კაროჩე“, „კაკ მინიმუმ“ 50 პროცენტი სესხს უპრობლემოდ აბრუნებს. და მაგათ იმხელა პროცენტში აქვთ აღებული „მაყუთი“, დანარჩენმა 50-მა პროცენტმა საერთოდ რომ არაფერი გადაიხადოს, მაინც მაგარ მოგებაში ვრჩებით. 10-15 პროცენტთან ტკბილი სიტყვა ჭრის და ნელ-ნელა ესენიც იხდიან, თან დაგვიანებისთვის პროცენტი ხო ემატებათ, არა? ეგეც კიდევ დამატებითი მოგებაა. რა დარჩა — დაახლოებით 25 პროცენტი, არა? ამათთან ცოტა უხეში მიდგომა გვჭირდება და 10 პროცენტს მაინც „ვუყომარებთ“. დარჩენილ ჰა, ჰა 15 პროცენტს კიდევ პრობლემური სესხების ამომღებ კომპანიებს მივუგდებთ ხოლმე. იმათი ინტერესია, „მაყუთი“ ამოიღონ და თვითონაც იხეირონ და ჩვენც გვახეირონ. ეგ ამბავია. რა ვქნა, ოჯახს რჩენა სჭირდება...**

გავმწარდი, გავბრაზდი, გადავირიე, მაგრამ რა უნდა მექნა, რა შემეძლო? ერთი კია, „აღიარებითი ჩვენების“ შემდეგ ამ ადამიანისთვის სიტყვა აღარ მითქვამს და ქუჩაში რომ შემხვდეს, გამარჯობასაც არ ვეტყვი, რადგან საკუთარი ოჯახის რჩენის საბაბით ასობით და ათასობით ადამიანის ოჯახს ამწარებს, ანადგურებს და მიწასთან ასწორებს.

და ყველაზე ცუდი და საშინელი ის არის, ძვირფასო მკითხველო, რომ ხელისუფლება ამ ყველაფერზე დუმს და საერთოდ არაფერს აკეთებს!!!





## აი, ეგ ოხერი მიკროსაფინანსო ორგანიზაციები ხალხს კიდევ უფრო საშინელ დანაშაულებს ჩაადენინებენ, თუ „ქართული ოცნება“ გონს არ მოეგო!!!





ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „შეხვედრა არ იქნება“ — პუტინმა ერდოღანთან შეხვედრაზე უარი თქვა



რუსეთის პრეზიდენტი, ვლადიმერ პუტინი საფრანგეთში, კლიმატის საერთაშორისო კონფერენციაზე თურქეთის პრეზიდენტთან შეხვედრას არ აპირებს.

„ინტერფაქსის“ ინფორმაციით, პუტინი ერდოღანთან არც სატელეფონო და არც სხვა რაიმე სახის კონტაქტს არ გეგმავს. პრესასთან საუბარში რუსეთის პრეზიდენტის პრესმდივანმა პესკოვმა განაცხადა:

– ჯერჯერობით არანაირი კონტაქტი არ იგეგმება. პუტინისა და ერდოღანის შეხვედრაზე საუბარიც კი არ არის. ასეთი შეხვედრა არ შედგება. (ipress.ge)

**საინტერესოა, რომ ინტერნეტში აქტიურად ვრცელდება ვიდეო, სადაც თურქეთის პრეზიდენტი თითქოსდა რუსეთს ბოდიშს უხდიდეს. კერძოდ, ვიდეოში ჩანს ერდოღანი, რომელიც საზოგადოებას სიტყვით მიმართავს. რუსული თარგმანის მიხედვით, ის თვითმფრინავის ჩამოგდების გამო წუხილს გამოთქვამს, თუმცა თურქული ენის მცოდნე ინტერნეტმომხმარებლები წერენ, რომ ერდოღანი მსგავსს არაფერს ამბობს... მოკლედ, ინფორმაციული ომი რუსეთ-თურქეთს შორის სერიოზულ მასშტაბებს იძენს...**

## „ეს საფრთხის შემცველია“ — მანანა კობახიძე პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას ეხმაურება



უმრავლესობის წევრი მანანა კობახიძე მინისტრ ზაქარეიშვილის განცხადებას აფხაზეთთან დაკავშირებით საფრთხის შემცველს უწოდებს.

– მკვეთრად უარყოფითად ვარ განწყობილი ასეთი ტიპის განცხადებებისადმი. ეს საფრთხის შემცველია, რადგან გააჩნია, რას ვგულისხმობთ... – განაცხადა კობახიძემ.

დეპუტატ ანი მიროტაძის განცხადებით, აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიაა და არავინ შეეგუება იმ ფაქტს, რომ ის სხვა ქვეყნის კონტროლის ქვეშ იყოს.

– თუ აფხაზეთი საქართველოს შემადგენელი არ იყო, მაშინ რატომ ვიბრძოდით აფხაზეთის ომში. მე ვიცი, რომ ჩვენ გვებრძოდა სეპარატისტული რეჟიმი და რუსეთი იმისთვის, რომ დღეს საქართველოს იურისდიქცია ვერ ვრცელდებოდეს აფხაზეთის ტერიტორიაზე, რაც სამწუხარო რეალობად მივიღეთ. თუმცა არავინ ამ ქვეყანაში არ შეეგუება იმას, რომ აფხაზეთი იყოს ვინმეს კონტროლირებადი ტერიტორია. ის არის საქართველოს ტერიტორია და ასე დარჩება, – განაცხადა მიროტაძემ. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## ა, ბატონო, რატომ უნდა დაფიქრდნენ პოლიტიკოსები, სანამ რამეს დააბრეხვებენ!




„იმყოფინე 1 ლარი და 18 თეთრი“, – ამ სახელწოდებით „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდულმა ფრთამ თბილისის საკრებულოსთან აქცია გამართა. აქციის მონაწილეებს საკრებულოსთან მიტანილი ჰქონდათ ერთჯერად თეფშებზე დაწყობილი 1 ლარი და 18 თეთრის ღირებულების საკვები პროდუქტი – ერთი ნაჭერი პური, ერთი ნაჭერი ძეხვი და ერთი ცალი ორცხობილა. როგორც „თავისუფალი დემოკრატების“ ახალგაზრდული ფრთის წევრები აცხადებენ, ისინი ამ აქციით ეხმაურებიან საკრებულოს წევრ რიმა ბერაძის სიტყვებს, რომელმაც განაცხადა, რომ სოციალურად დაუცველი ადამიანის გამოსაკვებად დღეში 1 ლარი და 18 თეთრი საკმარისია, რადგანაც მასში აუცილებელი კალორიულობა დაცულია. (პირველი რადიო)

**სხვა თუ არაფერი, „ქართული ოცნების“ წევრთა უმრავლესობა ხალხს უამრავი სულელური განცხადებით დაამახსოვრდება, რომელთა შორის რიმა ბერაძის სიტყვები უპირობოდ დაიკავებს ერთ-ერთ წამყვან პოზიციას.**

**ეს რა დღეში ვართ, ხალხო, გვეშველება რამე?!**

## „მე მას სისულელეში გვერდში არ დავუდექი“





იუსტიციის მინისტრი ირაკლი ალასანიას პასუხობს. როგორც თეა წულუკიანი ამბობს, ის ალასანიას „სისულელეში გვერდში არ დაუდგა“:

– ძალიან ვწუხვარ, რომ მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო, რომ მე მას, როგორც პარტიის წევრი, სისულელეში გვერდში არ დავუდექი, მან მიმაკუთვნა იმ ჯგუფს, ქართველების იმ ჯგუფს, რომლებსაც ის უხარისხო ქართველებს ეძახის. ვისურვებდი, რომ ირაკლი ალასანიამ თავისი პარტია „რეალ ტვ“-ს არ დაამსგავსოს, გააძლიეროს ის და ღირებულებებზე ესაუბროს საზოგადოებას, ამომრჩეველს და არა რომელიმე ერთ მინისტრს, რადგან პარტიის რეიტინგი დამტკიცდება არჩევნების დღეს, – აცხადებს იუსტიციის მინისტრი. (პირველი რადიო)

**კი, კაცო, ყველა პარტიის რეიტინგი დამტკიცდება არჩევნების დღეს და ყველას თავში საცემრად ექნება საქმე –– აბსოლუტურად ყველა პარტია გვატყუებდა და გვატყუებს და იმიტომ!**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „სოროსის ფონდი“ რუსეთის პროკურატურამ არასასურველად და საფრთხის შემცველად მიიჩნია



არაკომერციული ორგანიზაციები „ღია საზოგადოება“ (სოროსის ფონდი) და ფონდი „თანადგომა“ რუსეთის პროკურატურამ ქვეყნის ტერიტორიაზე არასასურველ ორგანიზაციებად ცნო. ამის შესახებ ინფორმაციას „ბიზისის“ რუსული რედაქცია ავრცელებს.

– დადგენილია, რომ ფონდი „ღია საზოგადოება“ (Open Society Foundations) და ღია საზოგადოების ინსტიტუტის ფონდი „თანადგომა“ (OSI Assistance Foundation) წარმოადგენენ საფრთხეს რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციური წყობისა და სახელმწიფო უსაფრთხოებისთვის, – ნათქვამია უწყების განცხადებაში.

ვრცელდება ინფორმაცია, რომ გადაწყვეტილების მიღება რუსეთის ფედერაციის საბჭოს მიმართვის საფუძველზე მოხდა. დეპუტატები გადაწყვეტილებას რუსეთის „რბილი აგრესიისგან“ დაცვის საბაბით ხსნიდნენ, რომელიც უცხო ქვეყნების დაფინანსებით რუსეთის შიდა პოლიტიკაზე ხორციელდება.

არასასურველ ორგანიზაციებს ქვეყნის ტერიტორიაზე ფილიალების გახსნის აკრძალვა და მასმედიაში ინფორმაციის გავრცელების მხრივ შეზღუდვები ემუქრებათ. ასევე, შეზღუდვები დაუწესდებათ რუსეთში საკუთარი პროექტების განხორციელებაშიც. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## დაჯექი, ნოდია, ორიანი ისტორიაში!



სასაცილო და გასართობი არაფერია იმაში, რომ მსოფლიო დენთის სუნით გაიჟღინთა, თორემ ჩვენ რომ პოლიტიკური „ექსპერტიზა გვჭირს“, კარგ დროში უკეთეს გასართობს ვერ ინატრებ.

ამ ორიოდე დღის წინ ზურაბ ჭიაბერაშვილი და ვანო მაჭავარიანი ტელეეკრანიდან ერთი საათი გვიმტკიცებდნენ, რომ დღევანდელი თურქეთი ცივილიზებული ევროპის აზროვნებით აზროვნებს, ჩვენი მეგობარია და მე-19 საუკუნე ნუ გგონიათო. ამის გამგონემ, სახალხოდ ორივეს მარტო ის შეიძლება უთხრა, რომ პოლიტიკაში არ არსებობენ მეგობრები, არიან მხოლოდ საკუთარი ინტერესების დამცველი სახელმწიფოები, თორემ რაც მათი მოსმენის მერე მეც და სხვებმაც გულში გავიფიქრეთ, ცოტათი კორექტული ადამიანი იმის ხმამაღლა თქმას შინაურებშიც მოერიდება. ერთი სული კი მქონდა, დარბაზში მსხდომთაგან ვინმეს ეკითხა: რა განსხვავება იყო ამ ორ ბატონსა და ნიკიტა ხრუშჩოვს შორის, რომელმაც 1961 წელს ოფიციალურად განაცხადა: საბჭოთა კავშირს თურქეთთან ტერიტორიული პრეტენზიები არ გააჩნიაო.

ეს „შოუ“ მონელებული არ გვქონდა, როცა „პროფესორმა“ გია ნოდიამ რადიო „აფხაზეთის“ ეთერში „უსერიოზულესი“ ექსპერტის პოზიციიდან მოგვახსენა: „ისტორიულად, რუსეთი ყოველთვის ჩერდებოდა, როცა ძალას ხედავდა და ახლა სწორედ ის შემთხვევაა. ხოლო ურთიერთობის გარკვეული გაფუჭება რუსეთსა და თურქეთს შორის, ისევე როგორც რუსეთსა და ნატოს შორის, რატომაა ჩვენთვის წამგებიანი და სანერვიულო, ამის არგუმენტი ჯერ არ გამიგიაო“.

– ისტორიულადო?! – ასე ბრძანა და ამ ადამიანს, როგორც ჩანს, ბევრი რამის გაგება მართლა უჭირს. იმ უმძიმესი დაძაბულობის ფონზე, რაც დღევანდელ საერთაშორისო პოლიტიკას ახლავს, რა არის ჩვენი ქვეყნისთვის მომგებიანი თუ წამგებიანი, ამას ვერც ავუხსნი და არც ვაპირებ. საინტერესო ის არის, სად და როდის ნახა გაჩერებული კი არა, სულ ოდნავ მაინც შეყოვნებული რუსეთი?! როგორ გინდა იყო კორექტული იმ დროს, როცა ასეთი სისულელის ავტორს პროფესორის სტატუსი და ექსპერტის იმიჯი აქვს. მით უფრო მაშინ, როცა, რუსული სააგენტოების ინფორმაციით, ცნობილი გახდა, რომ 2016 წლის პირველი იანვრიდან რუსეთი თურქეთთან მიმოსვლის უვიზო რეჟიმს ცალმხრივად აუქმებს. თურქეთის პრეზიდენტი კი იმედს არ კარგავს, 30 ნოემბერს პარიზში დაგეგმილ საგანგებო კონფერენციაზე შეხვდეს და კონსტრუქციული დიალოგი გამართოს ვლადიმირ პუტინთან. ეს უკანასკნელი კი თურქეთთან ყოველგვარი მოლაპარაკების წინააღმდეგია. სწორედ „ისტორიულადაა“ პირიქით და ახლაც „ზადნი ხოდის“ მიმცემი რომ არ არის, ის რუსეთია მსოფლიოს ალალად შეშფოთების მიზეზი. პარიზის კონფერენციაც ამის გამო იკრიბება. ერდოღანიც ამის გამო იხვეწება შეხვედრას.

ვინ იცის, ჩემს ნაწერს ნოდია წაიკითხავს თუ არა, ისე, ჩემს ნაწერზე რა მოგახსენოთ და, ეტყობა, სკოლა ისე დაამთავრა, ისტორიის სახელმძღვანელოში ცალი თვალითაც არ ჩაუხედავს, თორემ ნახავდა, როგორ და რომელმა ძალამ „გააჩერა“ რუსეთი 1921 წელს, როცა გერმანულ-ფრანგულ-ინგლისური საქართველოს „მფარველი“ ჯარები ფეხაკრეფით გაიძურწნენ ჩვენი ქვეყნიდან. 2008 წლის ომზე აღარაფერს ვამბობ. რუსეთი სწორედ იმით გამოირჩევა დანარჩენი მსოფლიოსგან, რომ მისი „გაჩერება“ და სირიაში შესვლა ისევე ვერ შეაფერხა დღევანდელმა საერთაშორისო პოლიტიკამ, როგორც თავის დროზე ალპებმა, ჰიტლერმა და ნაპოლეონმა.

მართლა სად ისწავლე ისტორია, ბატონო „პროფესორო“?! ანდა, იმ რუსულ სკოლაში, შენ რომ დადიოდი, მეტი ვერ გასწავლეს?

გაკოტრებულმა „ნაციონალურმა მოძრაობამ“ მშვენივრად იცის, რომ რუსეთ-საქართველოს შორის დღეს ბოლომდე გამწვავებული ურთიერთობა და არსებული პოლიტიკური უფსკრული უპირველესად მათი „ნიჭიერი“ აზროვნებისა და საქციელის შედეგია. ამიტომ მათი „ექსპერტების“ ხელში რუსეთის მიმართ, აგრესიის გარდა, სხვა საღი და პროფესიული ანალიზის მოსმენას მკითხავთან წასვლა სჯობია. ერთი გზაც არის, მაგრამ ათონელ ბერებს დღეს ისევე აღარავინ უსმენს, როგორც ძველ, დაყრუებულ რადიოს.

გია ნოდიას მოსმენის შემდეგ კი ერთადერთი რამის თქმა დანამდვილებით შეიძლება: საქართველოს ისტორიაში უთუოდ შევა აქამდე ყველასგან დავიწყებული და სრულიად უდანაშაულო, მისი ისტორიის მასწავლებელი...

მერაბ ხაჩიძე (sputnik-georgia.com)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## შენობა რომ დაატოვებინონ, 150 ოჯახს ელექტროენერგია და წყლის მიწოდება შეუწყვიტეს!



ისნის სამხედრო ჰოსპიტალში შესახლებული დევნილები და სოციალურად დაუცველი ადამიანები ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს ითხოვენ.

როგორც „თავისუფალი თაობის“ ხელმძღვანელი ლადო სადღობელაშვილი აცხადებს, ისნის სამხედრო ჰოსპიტალში მცხოვრებ 150-მდე ოჯახს, მათ შორის, 200-მდე ბავშვს, ელექტროენერგია და წყალი არ მიეწოდება, რათა ისინი აიძულონ, შენობა დატოვონ.

სადღობელაშვილის განმარტებით, აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად მაცხოვრებლებს შუამდგომლობას რაიონის გამგებელი, საკრებულოს და პარლამენტის მაჟორიტარი უწევენ, თუმცა მათ შუამდგომლობას დევნილთა სამინისტროსგან შესაბამისი რეაგირება არ მოჰყოლია.

– სავალალო მდგომარეობის წინაშე აღმოჩნდნენ აქ მცხოვრები ოჯახები. გამომდინარე იქიდან, რომ დაახლოებით 2 თვეა, ელექტროენერგია და წყალი არ მიეწოდებათ. რაც, ალბათ, ხელოვნურად ხდება, რათა მაცხოვრებლები აიძულონ, იქიდან წავიდნენ. აღნიშნული შენობა ეკონომიკის სამინისტროს ბალანსზეა, მაგრამ, ასე ვთქვათ, გადაბარებული აქვს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს, ანუ სოზარ სუბარის პრეროგატივაა, ამ შენობაში იყოს დენი და ჩვეულებრივი საცხოვრებელი პირობები. აქ ერთ ადამიანზე ტყდება ჯოხი და ეს სოზარ სუბარია, – განაცხადა სადღობელაშვილმა.

შენობის მაცხოვრებლის, მამუკა დოლიძის თქმით, სახელმწიფოსგან ისინი ითხოვენ, არა ფართების დაკანონებას, არამედ ელემენტარული საარსებო პირობების შექმნას.

– იქ არის გაუსაძლისი მდგომარეობა, სიბნელე, სიცივე, პატარა ბავშვები ეზიდებიან შეშას. ჩვენ შეხვედრები გვქონდა ხელისუფლების წარმომადგენლებთან, მაგრამ ისინი მხოლოდ და მხოლოდ წუხილს გამოთქვამენ და ჩვენი პრობლემა გადაუჭრელი რჩება. მე ისეთი შეგრძნება მიჩნდება, რომ სოზარ სუბარს მოსწონს ბავშვებისა და ადამიანების ტანჯვის ყურება, თუ რა არის, ვერ გავიგე?! 90-იანებშიც არ იყო ეგეთი მდგომარეობა და იქნება ნახოს სოზარ სუბარმა და არ მოეწონოს ამ ადამიანების ტანჯვა-წამება. ჩვენ ვითხოვთ ელემენტარულ საცხოვრებელ პირობებს: ელექტროენერგიას, წყალსა და საკანალიზაციო სისტემას. ვითხოვთ, რომ ბავშვს არ შეცივდეს და ცხელი საჭმელი ჰქონდეს, – აღნიშნა მამუკა დოლიძემ.

ლადო სადღობელაშვილის თქმით, თუ აღნიშნული მდგომარეობა არ მოგვარდება მიმდინარე კვირის ბოლომდე, „თავისუფალი თაობა“, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად, დევნილთა და განსახლების სამინისტროსთან აქციებს გამართავს. (pia.ge)

## შვიდი წლის ბუკა ნიკურაძე დღეს დილით გარდაიცვალა



შვიდი წლის ბუკა ნიკურაძე გარდაიცვალა. ბუკას ლეიკემიის დიაგნოზი დაუსვეს. ბავშვი მკურნალობას იაშვილის სახელობის ბავშვთა საავადმყოფოში გადიოდა, თუმცა მდგომარეობის გაუარესების გამო თურქეთში გადაიყვანეს.

მისი მკურნალობა „საქართველოს სოლიდარობის ფონდმა“ დააფინანსა.

თურქეთიდან ჩამოსვლის შემდეგ მისი მდგომარეობა უკიდურესად დამძიმდა და ვინც მის ხელახალ მკურნალობაზე თანხმობა განაცხადა, თემქის მე-5 საავადმყოფო იყო.

7 წლის ბუკა ნიკურაძე აღნიშნულ საავადმყოფოში ხელოვნური სუნთქვის აპარატზე, დაახლოებით, 2 თვის განმავლობაში იმყოფებოდა. (news.ge)

**„ალია“ სამძიმარს უცხადებს ოჯახს ამ უმძიმესი დანაკარგის გამო!**

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# ვინ არის და რა საქმეებში ფიგურირებს ირაკლი შოთაძის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე?



მთავარ პროკურორად ირაკლი შოთაძის დანიშვნას უკვე მოჰყვა საკადრო ცვლილებები. ოფიციალური ინფორმაციის თანახმად, მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძე იქნება, მანამდე მას ამავე უწყებაში საგამოძიებო ნაწილის უფროსის თანამდებობა ეკავა. რაც შეეხება საგამოძიებო ნაწილს, მას თეიმურაზ ნაჭყებია უხელმძღვანელებს. ცვლილება, ასევე, განხორციელდა მთავარი პროკურატურის გენერალური ინსპექციის დეპარტამენტშიც, რომლის უფროსადაც ბაკურ აბულაძე დაინიშნა, ხოლო საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობას ნათია სუხიაშვილი დაიკავებს. ცვლილებები შეეხო, ასევე, საოლქო პროკურატურის ოფისებს, კერძოდ: შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორის თანამდებობაზე ლევან პაქსაშვილი დაინიშნა, სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურორად კი მალხაზ კაპანაძე.

ვინ არის მამუკა ვასაძე? ის დაიბადა 1981 წელს. 2003 წელს დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2005-2007 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსურ პოლიციაში საგამოძიებო დეპარტამენტის აჭარის სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობებზე. 2007-2009 წლებში მუშაობდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტში აჭარის სამმართველოს უფროსი გამომძიებლის თანამდებობაზე. 2009-დან 2014 წლამდე იყო ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტში აჭარის სამმართველოს უფროსის მოადგილე, საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა მთავარი სამმართველოს უფროსი, საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს უფროსი, საგამოძიებო დეპარტამენტის განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა სამმართველოს უფროსი. გავლილი აქვს კურსი გაეროს განვითარების პროგრამით. ასევე, აშშ-ის ხაზინის ტექნიკური დახმარების ოფისში ტრენერთა მომზადების კურსი და ფინანსური გამოძიების ტექნიკა, საქართველოში აშშ-ის საელჩოს საგამოძიებო ბიუროში დაკითხვის ტექნიკა და ანგარიშის მომზადება. ფლობს ინგლისურ და რუსულ ენებს.

თითქოს ყველაფერი რიგზეა, მამუკა ვასაძე სააკაშვილის რეჟიმის პირობებშიც მუშაობდა საკმაოდ საპასუხისმგებლო თანამდებობებზე, მაგრამ კონკრეტულად მისი გვარი რომელიმე გახმაურებულ საქმეში არ ფიგურირებს, თუ არ ჩავთვლით 2014 წელს, როცა მთავარ პროკურატურაში საგამოძიებო ნაწილის უფროსად გადაიყვანეს. აი, რას წერს თავის ჩვენებაში იური ვაზაგაშვილის მკვლელობაში ბრალდებული გია სოსანაშვილი:

**„2015 წლის 7 თებერვალს მიმიყვანეს ჩიტაძის ქუჩაზე, გენინსპექციის შენობაში. ჩემთან მოვიდა პროკურატურის თანამშრომელი მამუკა ვასაძე და მითხრა, ალბათ, იცი, რატომ ხარ დაჭერილიო. ვუპასუხე, რომ უდანაშაულო ვიყავი. შემდეგ ჩამსვეს სპეცრაზმის მანქანაში და მთავარ პროკურატურაში გადამიყვანეს. ამიყვანეს მეხუთე სართულზე და მიმაბეს მაგიდაზე ბორკილებით. მამუკა ვასაძემ მითხრა, იური ვაზაგაშვილი არის შენი მოკლული და აღიარეო... ვუპასუხე რომ საქმესთან კავშირი არ მქონდა. მან მითხრა, მკვლელობის შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ ხელყუმბარაზე შენი დნმ-ია აღმოჩენილიო“.**

ბრალდებული წერს, რომ მამუკა ვასაძემ მას ჰკითხა, რა კავშირი ჰქონდა დეპუტატ გივი თარგამაძესთან. ასევე, აიძულებდა, ეღიარებინა, რომ იური ვაზაგაშვილის მკვლელობის დამკვეთი იყო ირაკლი ფირცხალავა. ვინაიდან პროკურატურა არ გახლავთ ოპერის თეატრი და არც გამოძიებაა ბალეტი, ბუნებრივია, მამუკა ვასაძეს რაღაც განსაკუთრებულ სისასტიკეში ვერ დავადანაშაულებთ. სოსანაშვილი ამბობს, ვასაძე ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენდა ჩემზეო, მაგრამ ვერ ასახელებს ვერც წამების, ვერც ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტებს. მაშინ გამოძიება რამდენიმე ვერსიაზე მუშაობდა და რა თქმა უნდა, შეკითხვებსაც დაუსვამდნენ.

მეორე საქმე, რომელიც ვასაძესთანაა დაკავშირებული, ეს გახლავთ „ტვ-25“. გამოძიება ამ არხის მესვეურებს ედავებოდა, რომ 2012 წლის 24 თებერვალს 2 მილიონი დოლარის ღირებულების ქონება გადაეცათ მათ ახლო ნათესავებს. იმ პერიოდში ტელეარხის მფლობელი, გიორგი სურმანიძე ექვსჯერ იყო დაბარებული პროკურატურაში. სააგენტო „ნეტგაზეთის“ მტკიცებით, 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებამდე ბიძინა ივანიშვილი დაინტერესდა სხვადასხვა რეგიონული ტელეკომპანიების შესყიდვით, მათ შორის, „25-ე არხითაც“. საბოლოოდ, შეთანხმება ფინანსური მიზეზების გამო ვერ შედგა და ტელეკომპანია სხვა ჯგუფმა იყიდა, რომელმაც უკეთესი ფინანსური პირობები შესთავაზა მფლობელებს:

**„2013 წლის 17 დეკემბერს მთავარ პროკურატურაში, ვითომდა დაკითხვის მიზნით, სინამდვილეში კი ზეწოლის განსახორციელებლად დაიბარეს გიორგი სურმანიძე და ჯემალ ვერძაძე (მივიდნენ თავიანთ ადვოკატებთან ერთად) სადაც მათზე განხორციელდა ფსიქოლოგიური სახის ზეწოლა. კერძოდ: სამმართველოს უფროსი ბალაშვილი, პროკურორი ფალავა და რამდენიმე უცნობი, სავარაუდოდ, პროკურატურის თანამდებობის პირი, აგრესიული ტონით სთხოვდნენ ტელეკომპანიის მფლობელებს, რომ მიეცათ გამოძიებისთვის სასარგებლო ჩვენება, რომ, თუ ისინი პროკურატურის მოთხოვნას არ დასთანხმდებოდნენ, აუცილებლად წავიდოდნენ ციხეში, დაკარგავდნენ ტელეკომპანიას, მათი ოჯახის წევრებს კი სხვადასხვა სახის პრობლემები ელოდათ“.**

კონკრეტულად რას ითხოვდა პროკურატურა? სურმანიძის თქმით, ერთ-ერთ შეხვედრაზე პროკურორმა ფალავამ პირდაპირ განაცხადა, რომ გამოძიებას ვანო მერაბიშვილსა და ჩხატარაშვილზე უნდოდა გასვლა. აქ დაახლოებით იგივე სიტუაცია იყო, როგორც „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით, თავის დროზე სააკაშვილმა ვილაცებს ტელეკომპანია აჩუქა თუ აყიდვინა, შემდეგ კი ასეთი მეთოდებით დაიწყო სამართლიანობის აღდგენა.

მესამე – მამუკა ვასაძესთან, ასევე, პრეტენზიები აქვს ხოფის ბაზრობის ყოფილ დირექტორს, დავით ანანიძეს, ის მთავრობას ჩამორთმეული ქონების დაბრუნებას სთხოვს.

**„ხოფის ბაზრობა არჩილ ხაბაძისა და მისი მამის სამზარეულოდ იქცა. ამ ბაზრობის ჩამორთმევის საქმეზე ზედამხედველი გამომძიებელი, მამუკა ვასაძე დღეს მთავარი პროკურატურის საგამოძიებო დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. მე ვეწეოდი „ქართული ოცნების“ პროპაგანდას, ახლა კი ჩვენ ვითხოვთ სამართლიანობის აღდგენას. ხაბაძის ოჯახი ყოველთვის „ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩეველი იყო, მაგრამ მაინც ისინი მოექცნენ ხელისუფლების სათავეში. ხაბაძემ შემოგვითვალა, სანამ მე აქ ვარ, ეგენი ბიზნესს ვერ დაიბრუნებენო“.**

ჰოდა, ახლა ამოცანა გვეკითხება: მაშინ, როცა ვასაძეს პირდაპირ ევალებოდა სამართლიანობის აღდგენა და არ აღადგინა, როგორ ფიქრობთ, მომავალში აღადგენს? შეიძლება ზოგმა თქვას, აქამდე შედარებით პატარა კაცი იყო, ახლა წინ ველარავინ დაუდგებაო, მაგრამ რა ვიცი, ეს კაცი ასე იოლად შეიცვლის ზნე-ჩვეულებას?!

ვინ არის საგამოძიებო ნაწილის ახალი უფროსი თეიმურაზ ნაჭყებია? ის აქამდე გახლდათ მამუკა ვასაძის მოადგილე, ანუ საგამოძიებო ნაწილის უფროსის მოადგილე. აი, ამ ადამიანის გვარი კი მართლა არ ფიგურირებს არც ერთ გახმაურებულ საქმეში და ბიოგრაფიაც კი არ იძებნება არსად, მაგრამ იგივე კითხვა ჩნდება მის მიმართაც: შეიცვლის ზნეს და ჩვეულებას ერთი საფეხურით მაღლა აწევის შემდეგ?! როგორც მთავარი პროკურატურის საზოგადოებასთან და მასმედიასთან ურთიერთობის სამსახურის ხელმძღვანელი, ნათია სუხიაშვილი ამბობს „ალიასთან“ საუბარში, ამ ადამიანზე ცუდს მართლა ვერავინ იტყვის, ახალი კადრია და შეხებაც კი არ ჰქონია ბინძურ საქმეებთან.

ბაკურ აბულაძე – პროკურატურის გენინსპექციის ახალი შეფი. აქამდე იყო ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის საოლქო პროკურორი. აბულაძემ კარიერა დაიწყო 2006 წელს გენერალურ პროკურატურაში სტაჟიორად (სწორედ ამ პერიოდში იყო სტაჟიორი ირაკლი შოთაძეც). 2006-2012 წლამდე მუშაობდა გურჯაანის რაიონულ პროკურატურაში პროკურორად. 2012 წელს გადმოიყვანეს თბილისში და 1 წლის განმავლობაში მუშაობდა თბილისის პროკურატურის შინაგან საქმეთა სამინისტროს ორგანოებში გამოძიების საპროცესო განყოფილების პროკურორად. შემდეგ იყო მთავარი პროკურატურის თავდაცვისა და სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის სამმართველოს პროკურორი. 2013-2014 წლებში ეკავა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის პროკურორის მოადგილის პოსტი. აი, აქ უკვე „ჩეპე“ გვაქვს: როგორც ადვოკატი მამუკა ნოზაძე ამბობს, აბულაძეც ერთ-ერთი იმათგანია, რომელიც ადეიშვილისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა: „ჩემთვის გაუგებარია, რატომ რჩებიან თანამდებობებზე წინა ხელისუფლების ყოფილი რეკეტიორები. ეს ადამიანები ხელს უშლიან გახმაურებული საქმეების გამოძიებას. თუ ხელისუფლებას დარჩა საღი აზროვნების უნარი, ის პროკურორები, რომლებიც უკანონო ქმედებებში იყვნენ შემჩნეულნი, თანამდებობებიდან უნდა გაათავისუფლოს. სხვა შემთხვევაში ისევ მათ შემოუტრიალდებათ, არჩევნები მოდის და საზოგადოება უკვე სხვაგვარ გადაწყვეტილებას მიიღებს“.

ბაკურ აბულაძეს 2013 წელს პირდაპირ ადანაშაულებდა სასჯელაღსრულების ერთ-ერთი დაწესებულების ექთანი, ციცი კაშია, რომელიც თითქოს ნარკოტიკული ნივთიერების შეტანის მცდელობის გამო დააკავეს, მაგრამ სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. კაშიამ თავის დროზე არჩილ კბილაშვილსაც მიმართა განცხადებით, მაგრამ ყურადღება საერთოდ არ მიუქცევია: „ჩემ მიერ მოძიებული და დადასტურებული ინფორმაციით, სწორედ ეს პროკურორი გახლდათ ერთ-ერთი ყველაზე ბინძური პოლიტიკის კარგი შემსრულებელი, რაც ხდებოდა სააკაშვილის რეჟიმის დროს. ამ ადამიანს სურს, ციხეში გამოკეტოს უამრავი უდანაშაულო ადამიანი და მათ შორის, მეც“.

რა არის ახლა ეს, საკადრო ცვლილებები, „ნაციონალური“ კადრების დაწინაურება თუ უბრალო გადაადგილება, რაც შედეგს არ გამოიღებს და უამრავ გამწარებულ ადამიანს კიდევ უფრო გაამწარებს?

დაველოდოთ, რა პროცესები წავა პროკურატურაში. შოთაძემ პირობა დადო, ყველა დამნაშავე პროკურორი დატოვებს სამსახურსო და ვნახოთ.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „კიდევ ერთი მარაზმი, რომელშიც „ქართულ ოცნებას“ შეჰყავს საქართველოს მოსახლეობა“



საარჩევნო კოდექსში შესატან ცვლილებებს მარაზმს უწოდებს საპარლამენტო უმცირესობის წევრი აკაკი ბობოხიძე. ცნობისთვის, ცვლილებების მიხედვით, 73 მაჟორიტარული ოლქი საქართველოში ისევ დარჩება, თუმცა რამდენიმე ოლქის გაერთიანება და რამდენიმეს დანაწილება მოხდება.

ბობოხიძე მიიჩნევს, რომ ამგვარად, ამომრჩევლებს დეპუტატთან ურთიერთობა გაუჭირდებათ.

„კიდევ ერთი მარაზმი, რომელშიც „ქართულ ოცნებას“ შეჰყავს საქართველოს მოსახლეობა მხოლოდ ერთი პრინციპით, რომ საარჩევნო ოლქი, დაახლოებით, 50 ათასის ფარგლებში იყოს, ამომრჩეველთა რაოდენობას ვგულისხმობ.

აბსოლუტურად გაუგებრად შეაწყვილეს და გააერთიანეს საქართველოს ტერიტორიული ერთეულები. აბსოლუტურად გაუგებარია, რატომ უნდა იყოს ერთად ხარაგაული და ბაღდათი და ამას დამატებული ზესტაფონის სოფლები. ზესტაფონის სოფლებისთვის, წარმოიდგენია, რამდენად გართულდება თავიანთ დეპუტატთან ურთიერთობა – ისინი ადმინისტრაციული თვალსაზრისით იქნებიან ერთ ოლქში, დეპუტატის ბიუროში მოუწევთ, ალბათ, ან ბაღდათში, ან ხარაგაულში სიარული“, – განაცხადა ბობოხიძემ. (news.ge)

## „სამწუხაროდ, პროგნოზები დადებითი არაა და ამ 20 ლარს ისევ ინფლაცია და მაღალი ფასები შეჭამს“



„ნაციონალური მოძრაობის“ ერთ-ერთი ლიდერი გიგი წერეთელი, პარლამენტში 2016 წლის ბიუჯეტის საბოლოო ვარიანტის წარდგენასა და პენსიების 20-ლარიან ზრდას გამოეხმაურა.

„საქართველოს მთავრობა პარლამენტში 2016 წლის ბიუჯეტის პროექტს წარადგენს, სადაც, სამწუხაროდ, პენსიების 50-ლარიანი ზრდა გათვალისწინებული არაა. მთავრობას ამის რესურსი ჰქონდა, მაგრამ ის ვერ ელევა თავის ბიუროკრატიულ ხარჯებს, ფუფუნებას, კომფორტს. არ ფიქრობს იმაზე, როგორ გადაიტანენ ამ ზამთარს ჩვენი პენსიონერები. მათ მხოლოდ იმას ჰპირდებიან, რომ პენსია 7 თვის შემდეგ გაიზრდება და ისიც 20 ლარით. სამწუხაროდ, პროგნოზები დადებითი არაა და ამ 20 ლარს ისევ ინფლაცია და მაღალი ფასები შეჭამს.

ეს კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ საჭიროა მეტი აქტიურობა, ჩვენ ვნახეთ, რომ მთავრობა პენსიების გაზრდაზე უარს ამბობდა, მათი თქმით, ჩვენი ეს მოთხოვნა პოპულისტური იყო, მაგრამ შემდეგ მოინახა ეს 20 ლარი. ამიტომ ჩვენ გავაგრძელებთ ჩვენს კამპანიას, რათა ხელისუფლება ვაიძულოთ და 50-ლარიანი ზრდა მოხდეს. თუ ამას არ გააკეთებენ, სხვა ხელისუფლება გააკეთებს“. – განაცხადა წერეთელმა. (news.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## მამა გიცხონდა, შენ ხომ მაჭათმა განდი ხარ!



ოდესის ოლქის გუბერნატორმა მიხეილ სააკაშვილმა ხელისუფლების კორუფციულ საქმეებთან დაკავშირებით თათბირი გამართა.

მან თათბირზე ოდესის ადმინისტრაციის 26 ხელმძღვანელი მიიწვია და წარუდგინა სქემა, როგორ მიედინება ბიუჯეტის ფული ჩინოვნიკების ჯიბეებში.

მიხეილ სააკაშვილმა უკრაინის პრემიერ-მინისტრი არსენ იაცენიუკი გააკრიტიკა. სააკაშვილმა იაცენიუკი ერთ-ერთი ავსტრიული ფირმის ლობირებაში დაადანაშაულა:

– კონტრაქტი ავსტრიულ კომპანიასთან, რომელიც ამ კორუფციული სქემის ნაწილია, გაფორმდა ჩვენს თვალწინ, დღისით-მზისით, რომელიც დაამტკიცა პრემიერ-მინისტრმა და ყველა წამყვან პოზიციაზე თავისი მეგობრები დანიშნა. საუბარია ჟვანიასა და მარტინენკოზე.

ხელისუფლებამ, უფრო სწორად სახელმწიფო ქონების მართვის უწყებამ გვიპასუხა, რომ ამ კონტრაქტზე შეტევით, ჩვენ გვსურს საწარმოს ფასის დაგდება, რაც გარკვეული ოლიგარქების დაკვეთაა. ანუ მთავრობის წინააღმდეგ ჩვენი შეტევა, იაცენიუკის ხელისუფლების განცხადების თანახმად, ჰგავს შეტევას მარგარეტ ტეტჩერის წინააღმდეგ, როცა მან პრივატიზაციის პროცესი დაიწყო, მაგრამ გარწმუნებთ, იაცენიუკი მარგარეტ ტეტჩერი არ არის, – განაცხადა სააკაშვილმა. (რეპორტიორი)

## შესაძლო გარიგების გამო საქართველოს ჩემპიონატის მატჩი გადაიდო

საქართველოს ჩემპიონატის მატჩი ხობის „კოლხეთსა“ და ცხინვალის „ლიახვს“ შორის გადაიდო. ამის მიზეზი „ლიახვის“ ერთ-ერთ ფეხბურთელთან განხორციელებული სატელეფონო ზარი გახდა.

ფეხბურთელს გარკვეული გასამრჯელო შესთავაზეს, რის შემდეგაც მან ამის შესახებ ადმინისტრაციას აცნობა. თავის მხრივ, „ლიახვის“ ადმინისტრაციამ საქმის კურსში ჩააყენა ფეხბურთის ფედერაცია.

როგორც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა „ლიახვის“ ადმინისტრაციას განუცხადა, სამსაჯო ჯგუფთან და ფედერაციის წევრებთან ერთად თამაშის გადადების გადაწყვეტილება მიიღო. ფედერაციის პრეზიდენტის თქმით, აღნიშნულთან დაკავშირებით საქმის კურსში სამინისტროც ჩააყენა, ხოლო ხარჯები ფედერაციამ საკუთარ თავზე აიღო.

რაც შეეხება ფეხბურთელთან განხორციელებულ ზარსა და მატჩის შესაძლო ჩაწყობას, აღნიშნულთან დაკავშირებით ყველა მასალა საგამოძიებო უწყებებშია გადაგზავნილი.

– ეს არის დაუშვებელი ფაქტი, როდესაც ფინანსური სარგებლის მიღების მიზნით ხდება თამაშების შედეგებზე ზემოქმედება. ჩვენ მივიღეთ ამ საშიშროების შესახებ ინფორმაცია, ვიმყოფებოდი ადგილზე და მივიღეთ გადაწყვეტილება, რომ თამაში გადაგვედო. ყველანაირი ინფორმაცია მივაწოდეთ სამართალდამცავებს და გვაქვს მოლოდინი, რომ მოხდება სათანადო გამოძიება და უმკაცრესად დაისჯებიან ის ადამიანები, ვინც პირდაპირი თუ ირიბი გზით ჩართულია გარიგებული თამაშების სქემაში. ფედერაცია ასევე გარიგებულ თამაშებთან საბრძოლველად სპეციალური დეპარტამენტის შექმნას გეგმავს. ვაფიქსირებ საჯაროდ ჩვენს პოზიციას, უმკაცრესად დაისჯება ყველა დამნაშავე, რადგან ფეხბურთი არ არის ის სფერო, სადაც ადგილი ექნება მსგავს ფინანსურ მანიპულაციებს, – განაცხადა ლევან კობიაშვილმა. (pia.ge)

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



სააკაშვილის რეჟიმის დროს ხალხისთვის წართმეული ქონებების დაბრუნება დღეს რომ „წარმატებით“ ხორციელდება, ამის დასტური სულ რამდენიმე დღის წინ მომხდარი ფაქტია – პარლამენტში, გაერთიანებული კომიტეტის სხდომაზე, სადაც მთავარი პროკურორობის კანდიდატს (დღეს უკვე მთავარ პროკურორს), ირაკლი შოთაძეს უსმენდნენ, „ქუთაისი თუდეის“ რედაქტორი ბუბა ჩივაძე შევიდა და საკუთარი პრეტენზიები ხმაურით დააფიქსირა. ჩივაძის მოთხოვნა იყო, მისი ოჯახის ბიზნესთან დაკავშირებით პროკურატურამ სწრაფი გამოძიება აწარმოოს, რომელიც წლების მანძილზე ჭიანურდება და რის გამოც მისი ოჯახი პოლიტიკურ თავშესაფარს ითხოვს.

# აი, ირაკლი შოთაძის ერთ-ერთი პირველი დაპირებაც – ბიზნესწართმეულ ჟურნალისტს ის საქმის შესწავლას და 2 კვირაში შეხვედრას დაჰპირდა




ილია ჯალაღანია

**დიდი ინტერესით ველოდებით შეხვედრას და გაკვირდებით, ახალო პროკურორო!**

**„ალიას“ ბუბა ჩივაძე ესაუბრა:**

– ამ საქმეზე გამოძიება ჯერ კიდევ 2010 წელს დაიწყო და მას შემდეგ თითქმის არაფერი გაკეთებულა. მას, პროკურატურასთან ერთად, იმერეთის ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. ვასაჩივრებდით როგორც ქუთაისის პროკურატურის ხელმძღვანელობასთან, ასევე, ოლქის პროკურატურასთან, თვეების განმავლობაში, მაგრამ ისევ იმ გამომძიებლებს უბრუნდებოდათ, რომლებიც ამ საქმეს იძიებდნენ. გამოდის, ერთადერთი, რაც შევძელით, არის ის, რომ საქმეს ფორმალურად აქვს ნომერი და სისხლის სამართლის საქმეა აღძრული, სხვა არაფერი გაკეთებულა. დრო გადის და შეიძლება, ხანდაზმულობამდეც მივიდეს ეს საქმე, მტკიცებულობებიც იკარგება, შეიძლება მოწმეც დაიღუპოს, რადგან ლამის ყველა მოწმე ასაკიანია. სამეწარმეო რეესტრში ყველა ის ქონებაა ასახული, რაზეც საუბარი გვაქვს. ფარცხალაძის, ბადაშვილის პერიოდში ვასაჩივრებდით ამ საქმეს, მაგრამ ისევ ამათ უბრუნდებათ და ამოვიდა ყელში, ყველაფერს აქვს საზღვარი, დავიღალეთ უკვე! თუ ამ საქმეში არ არის დანაშაულის ნიშნები, თქვან, რომ არ არის, რომ ჩვენთვის ქონება არავის მოუპარავს და შეწყვიტონ მაშინ საქმე, რას გვაწვალებენ? და თუ იძიებენ, პასუხის ღირსები ხომ მაინც უნდა ვიყოთ, რომ ელემენტარულად, გვითხრან, საქმეს ვიძებთო? შეიძლება გამოძიებას არ ჰქონდეს რაღაც საბუთები და მე დავეხმარო მათ მოძიებაში, დამატებითი ინფორმაცია მივაწოდო, მაგრამ ამის მთქმელიც არავინ არის. მარტო ჩემი კი არა, მთელი ქუთაისის პოზიციაა, რომ პრობლემების უმრავლესობა მოდის ამ პროკურორების მხრიდან და მინდოდა, საქმის კურსში ჩამეყენებინა შოთაძე, რა კატეგორიის კადრებით არის რეგიონი დაკომპლექტებული, რომ, ამ მხრივ, მეტი ყურადღება მიქცეოდა თუნდაც იმ საქმეებს, რომლებშიც ეს პროკურორები ფიგურირებდნენ. „ალიაც“ ხშირად აშუქებდა ამ პრობლემებს და ჩემს თემებს. საქმის გამოძიების გაჭიანურების პარალელურად, ფინანსური რესურსებიც ხომ გვეხარჯება, იქ ადვოკატები, იქ წადი-მოდი, როგორი ნერვები უნდა ამ ყველაფერს?

**— შოთაძე რას შეგპირდათ? თუ გესაუბრათ ამ საკითხებზე?**

– მან მითხრა, რომ დანიშვნიდან ორი კვირის განმავლობაში მიგვიღებდა, გაეცნობოდა ამ საქმეებს, იგივე ახლა მომუშავე ძველ პროკურორებთან დაკავშირებით და ჩემი სახელი და გვარი ჩაიწერა. რამდენიმე თვეა, აღნიშნული საქმეები შეტანილი გვაქვს პროკურატურის ახალ დეპარტამენტში, რომელიც სამოხელეო დანაშაულზე რეაგირებას ახდენს და ჯერჯერობით, არანაირი პასუხი არ მოსულა.

**— საქმეები ახსენეთ, კონკრეტულად, რაზე გაქვთ საუბარი?**

– მამას ერთ-ერთ მსხვილ ორგანიზაციაში, შპს „სარკმელში“ ჰქონდა წილი, რომელსაც სამი შვილობილი კომპანია ჰქონდა. მატერიალურ ღირებულებებზე რომ არ ვილაპარაკო, მარტო 85 ერთეული სამშენებლო ტექნიკა სად გაქრა, კაცმა არ იცის. 2010 წლიდან მოყოლებული, ამაზე ვითხოვდით გამოძიებას, რომ ინვენტარიზაცია ჩატარებულიყო, მით უმეტეს, სამეწარმეო რეესტრში ყველანაირი დოკუმენტი დაცულია. როცა ჩვენ შევედით შპს „სარკმელთან“ სამართლებრივ დავაში და 100 ათასი ლარის ოდენობის მატერიალური ზიანის ანაზღაურებას ვთხოვდით, ამ დროს ერთი ხანდაზმული საქმე „გამიცოცხლეს“: ადრე ჩემს საკუთრებაში რკინიგზის ვაგონის ასაწონი სასწორი იყო, რომელიც აღარ გვჭირდებოდა და ეს სასწორი ოფიციალურად გავყიდეთ. ჩემს წინააღმდეგ საქმე აღძრეს სააკაშვილის პერიოდში, თუმცა ვერ დამაკავეს, ვისაც ოფიციალურად ჰქონდა ნაყიდი ის ნივთი, იმას აჩივლებინეს და ზიანის ანაზღაურება მომთხოვა. ყველა დონეზე ვასაჩივრებ ამ ორ საქმეს, ინსტანცია არ დაგვიტოვებია პროკურატურაში, სადაც არ მაქვს გასაჩივრებული. მარტო ორი ყუთი მაქვს სავსე „მივილეგავაგზავნეებით“ და ვინც ეს საქმე შეკერა, მაინც მას აწერენ ისევ.

**— პროკურორი ჯალაღანია გყავთ ნახსენები, ვინაა ეს პიროვნება?**

– ეს გახლავთ ოლქის პროკურორი ილია ჯალაღანია, რომელიც ბახმაროს მიწების თაღლითურად გასხვისების საქმეებში ფიგურირებდა და რომელიც მთელი დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურასთან ერთად გაათავისუფლეს. ფარცხალაძე-კბილაშვილის დროს კი თანამდებობებზე აღადგინეს საფლავებიდან ეს „მკვდრები“ და თუ ასეთი კადრებით გვინდა სამართლიანობის აღდგენა, ასე შორს ნამდვილად ვერ წავალთ. ჩემი მიზანი სწორედ ეს იყო, რომ პროკურორობის კანდიდატთან (ახლა უკვე პროკურორთან) დეპუტატების, მედიის თანდასწრებით პროტესტი დამეფიქსირებინა ამ ყველაფრის ირგვლივ. მესმის, რომ ყველა საქმეს თავისი დრო სჭირდება, მაგრამ შოთაძეს ისიც ვთხოვე, რომ იქნებ, ჩემს საქმეებზე დასავლეთის პროკურატურასა და ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო ნაწილს აცილება მიეცეს და ეს საქმე უშუალოდ მთავარი პროკურატურის დაქვემდებარებაში გადასულიყო, რაზეც შოთაძემ დახმარება აღმითქვა. რაღაცნაირად მაქვს იმედი, რომ მართლა მიექცევა ყურადღება ამ საქმეებს და იმედი მაქვს, სააკაშვილის ეს ჯიბის პროკურორები ერთხელ და სამუდამოდ განთავისუფლდებიან დაკავებული თანამდებობებიდან! მეც დავისვენებ ამით და ხალხიც!

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „პირად საუბრებში არის აღნიშვნები, რომ მაღალი თანამდებობის პირებსაც კი უსმენენ“



„საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ანა ნაცვლიშვილი არ გამორიცხავს, რომ მაღალი თანამდებობის პირებსაც უსმენდნენ.

„ვიცით დანამდვილებით, რომ მოსმენები ისევ გრძელდება. საზოგადოებისთვის ცნობილმა რამდენიმე პირმა გაბედა და გაასაჯაროვა ეს ფაქტი. მაგრამ, ძალიან ბევრი პირი ამაზე არ, ან ვერ საუბრობს, თუმცა პირად საუბრებში არის აღნიშვნები, რომ მაღალი თანამდებობის პირებსაც კი უსმენენ. რა თქმა უნდა, მოუსმენენ ადამიანებს, რომლებსაც ხელისუფლებისგან განსხვავებული პოზიცია აქვთ. სანამ საზოგადოება იმით უფრო დაინტერესდება, ვის ვისთან აქვს ახლო თუ შორეული კონტაქტები, ვიდრე იმით, რომ მისი სახელმწიფო მოქალაქეებს უსმენს, ჩვენ მუდმივად ამ პრობლემის წინაშე ვიქნებით“, – აცხადებს ნაცვლიშვილი. (news.ge)

## პატრიარქი და მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებს შეხვდა



სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე სრულიად საქართველოს მუსლიმთა სამმართველოს წარმომადგენლებს შეხვდა. შეხვედრაზე პატრიარქმა ბოლო დროს რუსეთსა და თურქეთს შორის ურთიერთობის დაძაბვის შესახებ ისაუბრა.

„ორი კვირის წინ ვთქვი, რომ ამ ნეგატიურ მოვლენებში რელიგიას არ აქვს კავშირი და ეს თვითონ ბოროტი ადამიანების მოქმედებაა. ამან ძალიან დიდი გავლენა და მნიშვნელობა იქონია. ჩემთან მოვიდა თურქეთის ელჩი და მე ამის გამო მადლობა გადამიხადა. ასევე მოვიდა აზერბაიჯანის ელჩი და იმანაც მადლობა მითხრა. ასე რომ, ძალიან დროულად იყო ის ჩემს მიერ ნათქვამი, რომ მუსლიმანური რელიგია და ნებისმიერი რელიგია როგორ მისცემს იმის საშუალებას, რომ უდანაშაულო ხალხი დახოცონ“, – აღნიშნა ილია მეორემ.

თავის მხრივ, საქართველოს მუფთმა ბეგლარ ქამაშიძემ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს რეზიდენციაში მიწვევისთვის მადლობა გადაუხადა.

„თქვენ თქვით, რომ ისლამი არაფერ შუაშია. ტრადიციული ისლამი ყოველთვის სიმშვიდეს მოიცავს, ურთიერთსიყვარულს, ურთიერთდახმარებას. თქვენს სიტყვებში ეს ყველაფერი ამოიბეჭდა“, – განაცხადა ქამაშიძემ. (ინტერპრესნიუსი)

გელა ზედელაშვილი
555 48-48-61



# რას იხეირებს საქართველოს მოსახლეობა პარიზის სამიტით?



30 ნოემბერი, მთელი მსოფლიოს ლიდერები პარიზში არიან, სადაც კლიმატის საკითხებისადმი მიძღვნილი საგანგებო სამიტი იმართება. კლიმატი საბაბია, თორემ დღეს რაც სირიაში და თურქეთში ხდება, ყველა ამაზე ლაპარაკობს. პარიზში ირაკლი ღარიბაშვილიც ჩავიდა.

**რა როლი აკისრია ამ გაწამაწიაში ჩვენს ქვეყანას? რისთვის დავდივართ სამიტებსა თუ სხვა მსგავს შეხვედრებზე და რას იხეირებს ამით საქართველოს მოსახლეობა?**

**„ალიას“ პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე ესაუბრება:**

– რუსეთი ელოდებოდა, რომ 150 ქვეყნის წარმომადგენლის წინაშე ერდოღანი ბოდიშს მოიხდიდა, მაგრამ არ მოიხადა. შეიძლებოდა პუტინი ამით დაკმაყოფილებულიყო. ერდოღანმა ერთი რამ თქვა, რაც მოხდა, არ უნდა მომხდარიყო, დავსხდეთ და ვილაპარაკოთო. ეს არ გამოვიდა. დღეს თურქეთი უფრო მძიმე დღეშია, იქ შიგნითაც არეულობაა. ახლა გამოქვეყნდა გამოკითხვის შედეგები, რუსეთში გავლენით პირველ ადგილზე პუტინია, მეორეზე – ჟირინოვსკი. რუსებს მოსწონთ გიჟი, რა უნდა ელაპარაკო?

**— ისინი თავის თავს მიხედავენ. ამ ყველაფერში ჩვენ რა ხეირი?**

– პოლიტიკაში ხეირი თუ არ ნახე, ისე არ აქვს აზრი. ამ დღეებში ეს ეიფორია ჩაცხრება, ჩვენი მეტიჩარა და არამკითხე მრჩევლები თუ „ექსპერტებიც“ სხვა საკითხებზე გადაერთვებიან, უკვე დრო ექნება მთავრობას, ცოტა მშვიდ გარემოში, ჩუმად დაიწყოს მუშაობა – განთავისუფლდა რაღაც სეგმენტი თურქეთისა და რუსეთის ბაზრებზე? სხვამ არ მიგვასწროს.

ბოლოს და ბოლოს, ამდენი ქვეყნის ლიდერია ჩასული, ზოგიერთი ისეთი ქვეყანაა, რომელთანაც შესაძლოა, ახალი პერსპექტივა გაგვეხსნას. ზოგისთვის რუსეთის ბაზარია ჩაკეტილი, ზოგისთვის ახლა ჩაიკეტა და მომავალში ჩაიკეტება თურქეთის ბაზარი. თურქეთი მარტო რუსეთისთვის არ ჩაიკეტა, ახლა რუსეთის ხათრით, შიშით თუ გავლენით ბევრი იტყვის უარს ერდოღანთან თანამშრომლობაზე, ბელორუსით დაწყებული, ყაზახეთით დამთავრებული. აი, აქ უკვე ჩვენ გვეძლევა შანსი, შეიძლება საწარმოები განვითარდეს, ექსპორტი გაიზარდოს, ხალხი დასაქმდეს. გარდა ამისა, 150 ქვეყნის ლიდერია, შენ არავინ არ გიცნობს, 3-მილიონიანი ქვეყანა ხარ, გაგიცნობენ, დაგელაპარაკებიან, იქ იქნება არაოფიციალური შეხვედრები, ალა-ფურშეტები და ასე შემდეგ.

**— საერთოდ, კლიმატის ცვლილებებზე საუბარი იყო?**

– კი, იყო.

**— მერე, რატომ არ გვაძლევენ შენიშვნას, კლიმატთან დაკავშირებით ვალდებულებები ხომ გვაქვს აღებული? თბილისში რომ დადის გაუმართავი და მოფახფახებული ყვითელი ავტობუსები, ამასაც შევეშვათ. საწვავის ხარისხის გაკონტროლებას არ დაადგა საშველი.**

– ჩვენ რა დოზითაც ვაბინძურებთ, ეს დიდი ქვეყნებისთვის სასაცილოა, ჩვენ წარმოება არ გვაქვს და ფაბრიკა-ქარხნები. ყველაზე მეტად დედამიწაზე ჰაერს ამერიკელები აბინძურებენ თავიანთი ინდუსტრიით. რუსეთი კი ყველაზე მეტადაა დაინტერესებული ამ საკითხით – ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე დნება. სამიტი კარგ დროს დაემთხვა, კლიმატზეც ილაპარაკეს და ტერორიზმზეც. აქამდე არსებობდა ხელშეკრულება, რომელსაც თავის დროზე ამერიკა არ შეუერთდა, უკვე გითხარი, ყველაზე მეტი დამბინძურებელი ამერიკაა. ახლა ახალი ხელშეკრულება დაიდება და არ შეიძლება, შენ გამოეთიშო, უნდა შეუერთდე. მაინც საერთო სიტუაციაა და პრემიერ-მინისტრი უნდა წასულიყო. მე თვითონ არ ვარ იმის მომხრე, ყველა რომ დადის... მაგალითად, თუ არ უნდა იარონ, ესენი არიან პარლამენტარები და სხვადასხვა სამინისტროების თანამშრომლები, ჩინოვნიკები. ნებისმიერი სამინისტროს 10-15 პროცენტი დღეს უცხოეთშია მივლინებით. რას აკეთებენ, რისთვის დადიან, კაცმა არ იცის. იგივე დავით ნარმანიას ნახევარი ევროპა აქვს უკვე შემოვლილი, ალარაფერს ვამბობ მერიის თანამშრომლებზე. გავიხედავ, ვკითხულობ, ვეტერანების უფროსი შიხიაშვილი ამერიკაში მიდის სამუშაო ვიზიტით. მაგან უნდა გაიგოს, ამერიკაში ვეტერანები როგორ ცხოვრობენ? გადმოერეკა და მე ვეტყოდი, ამერიკაში ვეტერანები როგორ ცხოვრობენ – ზუსტად ისე, როგორც აქ მინისტრები ცხოვრობენ. ინვალიდებსა და ვეტერანებს საფრანგეთში სასახლე აუშენეს, დღეს ის ადგილი ტურისტების სანახავია. დღეს პარიზში წყდება ჩვენი პლანეტის მომავალი, ამას საქართველოს ხელმძღვანელი ვერ გამოაკლდებოდა. თითქოს მთავარი საფრთხე ისლამური ტერორიზმია, მაგრამ არანაკლებია გლობალური დათბობა. როცა ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე ყოველდღიურად დნება, ეს პერსპექტივაში რას უქადის კაცობრიობას? თუ საკითხს ასე დავსვამთ, რომ საქართველოს არავინ არაფერს ეკითხება, ასე არ გამოვა, საერთო სიტუაციას ჩვენც უნდა შევუერთდეთ. დღეს ისეთი სიტუაციაა, არავინ იცის, ვინ რას იხეირებს და ვინ რას წააგებს. ოზონის ლეიბი ისედაც ნახვრეტებითაა სავსე კოსმოსური ხომალდებისა და ამდენი გაზის გამო. გარდა ამისა, ყველა სახელმწიფოს ლიდერის ფუნქცია რა არის? რაც შეიძლება, მეტ კოლეგას იცნობდეს. რაღაც რომ მოხდეს, იმდენი უნდა შეგეძლოს, რომ ტელეფონი აიღო და რომელიმე ქვეყნის ლიდერს თავისუფლად დაურეკო. პირადი ურთიერთობები დღეს მთელ მსოფლიოში მოქმედებს. ნუ გგონია, რომ მარტო ქართველებმა ვიცით ნაცნობობა და ძმაკაცობა. მართალია, პოლიტიკა პრინციპებზე უნდა იყოს დამყარებული, მაგრამ პირად ურთიერთობებს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, იაპონიაშიც ასეა, გერმანიაშიც და ყველგან. ამ სამიტზე ჩვენი ხეირი ის არის, რომ, ასე თუ ისე, კონტაქტები მყარდება და ამის იგნორირება არ შეიძლება. მიიღებენ ახალ დოკუმენტს და ვნახავთ, რა შეზღუდვები გავრცელდება საქართველოზე. ჩვენ მომავალში ჩვენი პოტენციიდან გამომდინარე, უნდა ვიხელმძღვანელოთ ამ დოკუმენტით. რაკი ხელს ვაწერთ, უკვე ვართ მონაწილეები. საქართველო არ იყოს ამ პროცესის მონაწილე, ეს დაუშვებელია.

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩას ეთერ კაკულიას სახელი მიენიჭა




ზურაბ ანჯაფარიძის ქუჩას ეთერ კაკულიას სახელი მიენიჭა. შესაბამისი განკარგულება თბილისის საკრებულომ გასცა. მომღერლის სახელობის ქუჩაზე მისი ახლობლები და მეგობრები იყვნენ შეკრებილები. ეთერ კაკულიას ოჯახის წევრების განცხადებით, ამ გადაწყვეტილებით მომღერლის სახელი საზოგადოებას უფრო დიდხანს ემახსოვრება.

„ქალბატონი ეთერის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გვინდოდა საჩუქარი გაგვეკეთებინა. მინდა თბილისელებსაც მივულოცო, რომ თბილისში არის ასეთი კოლორიტი მომღერლის სახელობის ქუჩა“. – განაცხადა თბილისის საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარემ ლია ჯახველაძემ.

მძიმე ავადმყოფობის შემდეგ მომღერალი ეთერ კაკულია 2015 წლის 26 ივნისს გარდაიცვალა. (რეპორტიორი)

## „თუ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შესაძლებელია, მომავალ თაობებს გადარჩენის შანსი მიეცეთ“




„მწვანეთა პარტიის“ ლიდერის, გიორგი გაჩეჩილაძის შეფასებით, გლობალური დათბობის პროცესი, საქართველოზეც მწვავედ აისახება. როგორც გაჩეჩილაძემ განაცხადა, თუ პარიზში, კლიმატის ცვლილებებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე გადაწყვეტილება იქნება მიღებული, ეს ისტორიული მომენტი იქნება.

„ეს არის უმნიშვნელოვანესი ისტორიული მომენტი, თუ გადაწყვეტილება იქნა მიღებული, შესაძლებელია, მომავალ თაობებს გადარჩენის შანსი მიეცეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, გლობალური დათბობისა და კლიმატურ ცვლილებებთან დაკავშირებით პროგნოზები ისეთია, რომ შესაძლებელია, კაცობრიობის არსებობა-არარსებობის პრობლემები დადგეს. კონფერენციის ძირითადი მიზანია, რომ საუკუნის ბოლომდე შეაჩერონ დედამიწის ატმოსფეროს დათბობის პროცესი და 2 გრადუსზე მეტად არ აიწიოს არსებულმა ტემპერატურამ“, – განაცხადა გაჩეჩილაძემ.

მისი თქმით, დათბობის გლობალური პროცესი საქართველოზეც მწვავედ აისახება, რაც სხვადასხვა კატასტროფებით გამოისახება.

„ჩვენთან მწვავედ აისახება იმ თვალსაზრისით, რომ ჩვენ მთიანი რეგიონი ვართ და ძალიან გააქტიურებულია სხვადასხვა კატასტროფები. ჩატარებული კვლევების მიხედვით, საშუალო ტემპერატურა აღმოსავლეთ საქართველოში დაახლოებით 0.6 გრადუსითაა აწეული, ხოლო დასავლეთ საქართველოში – 0.3 გრადუსით. ნალექების ინტენსივობაც გაზრდილია და ბუნებრივია, ეს ყველაფერი აისახება გვალვებზე, მეწყერულ პროცესებზე, წყალდიდობებზე და ა.შ. თუ პროცესები ასე გაგრძელდა, პროგნოზის მიხედვით, აღმოსავლეთ საქართველოში საშუალო ტემპერატურა 4.1 გრადუსით აიწევს და დედამიწის ტემპერატურამ შეიძლება 6 გრადუსით აიწიოს, ანუ ელემენტარულად ცივილიზაციის დასასრულზეა საუბარი“, – აღნიშნა გაჩეჩილაძემ. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## „ერთი კვირაა, ვფიქრობ, უნდა მოვყვე თუ არა ეს შემზარავი ამბავი“ — რა გადახდა თავს დათა თავაძეს თბილისის აეროპორტში



რეჟისორი დათა თავაძე „ფეისბუკის“ პირად გვერდზე თბილისის აეროპორტში მომხდარი ტრაგიკული ფაქტის შესახებ წერს, რომლის მომსწრეც თავად გახდა.

– ერთი კვირაა, ვფიქრობ, უნდა მოვყვე თუ არა ეს შემზარავი და ამავდროულად უკიდურესად დელიკატური ამბავი. ვეცდები, მაქსიმალურად ცივად მოვყვე, რაც მოხდა, რომ არავის გრძნობები არ შეურაცხვყო და არც არავის არ შევუქმნა, ჩემი არაკომპეტენტურობით, რაიმე ტიპის პრობლემები. უბრალოდ, უპასუხო კითხვები არ მასვენებს და ვისურვებდი, ამ კითხვებზე ვინმეს თუ არ ეპასუხა, ეფიქრა მაინც:

24 ნოემბერს მინსკში მივფრინავდით. ჩვენი ჯგუფის ერთი ნაწილი უკვე თვითმფრინავში შევიდა და ადგილებს ეძებდა, როცა ჩვენს წინ მიმავალი კაცი ცუდად გახდა და წაიქცა. არც გამცილებლები აღმოჩნდნენ მზად ასეთი შემთხვევისთვის და მით უმეტეს, არც არავინ მგზავრებიდან.

გამცილებელი გოგონა იქვე კედელთან კანკალებდა შეშინებული და აფთიაქში ისეთი რაღაცები ეწყო, რაც არაფერში გამოგვადგებოდა ასეთ შემთხვევაში. როცა ექიმს დაუძახეს, მახსოვს, ინსტინქტურად საათს დავხედე... არ ვიცი, ეს რატომ გავაკეთე, მაგრამ ფაქტია, რომ ექიმს (თბილისის აეროპორტის ზომების გათვალისწინებით) 20 წუთი ველოდით და როცა მოვიდა, ის კაცი უკვე გარდაცვლილი დახვდა.

ექიმი მოვიდა მარტო. გულის მასაჟის კეთება დაიწყო, თან მიყვიროდა, ადრენალინი მომეციო... მე კი არ ვიცი, სად უდევს ეს ადრენალინი, როგორ გამოიყურება, ან საიდან უნდა ვიცოდე?.. მალევე მიატოვა – აშკარა იყო, არავითარი აზრი აღარ ჰქონდა დახმარებას. შემდეგ ერთი საათი თვითმფრინავიდან არ გვიშვებდნენ, კრიმინალისტებს ველოდებოდით. მოვიდნენ და ფოტოები გადაიღეს.

მერე გამოვფრინდით.

მაინტერესებს, რატომ დასჭირდა ექიმს ამდენი დრო, რადგან ჩვენი აეროპორტი, მოგეხსენებათ, ძალიან პატარაა? საიდან მოდიოდა ამდენი ხანი? არის თუ არა აეროპორტის შენობაში სამედიცინო პუნქტი, ან რაიმე მსგავსი? მაინტერესებს, რატომ მოვიდა ექიმი მარტო, რატომ არ ჰყავდა ასისტენტი და რატომ მომიწია მე ადრენალინის ძებნა წამლებით გამოტენილ კეისში, რამაც, შესაძლოა, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი წუთები წაგვართვა? მაინტერესებს, რატომ ვერ შეძლო გამცილებელმა ელემენტარული დახმარების გაწევაც კი და რატომ არ იყო თვითმფრინავში პირველადი დახმარებისთვის აუცილებელი მედიკამენტები? რატომ ველოდით, ამ ყველაფრის შემდეგ, თითქმის ნახევარი საათი საკაცეს და რატომ ვისხედით ერთი საათი გამოკეტილები, მსუბუქად რომ ვთქვათ, ძალიან არასასიამოვნო სიტუაციაში, სადაც მგზავრებს პანიკური შეტევები ჰქონდათ და აქა-იქ ისმოდა რეპლიკები, ხომ არ დავრჩეთო?

დაბოლოს, ვინ მისცა ამ ხალხს უფლება, ამხელა გულგრილობა გამოეჩინა მთელი ამ ამბის მიმართ – გამოეყენებინათ ის ენა, რომელსაც იქ იყენებდნენ და არ გაეთვალისწინებინათ ის ფაქტი, რომ – მადლობა ღმერთს ასე არ იყო! – იმავე თვითმფრინავში სავსებით შესაძლოა, ამ კაცის უახლოესი ადამიანები ყოფილიყვნენ... (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი...

## ვაზისუბანში იეჰოვას მოწმეების ოფისი ისევ დაცხრილეს



ვაზისუბანში იეჰოვას მოწმეთა გაერთიანების ოფისი დაცხრილეს. შემთხვევის დროს შენობაში არავინ იმყოფებოდა. სროლის შედეგად არავინ დაშავებულა.

როგორც შსს-ს პრესსამსახურში აცხადებენ, მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის საქმის 187-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც სხვისი ნივთის დაზიანებას ან განადგურებას გულისხმობს.

შეგახსენებთ, იეჰოვას მოწმეთა გაერთიანების ოფისზე თავდასხმის ეს უკვე მეორე შემთხვევაა. ოფისს გასულ კვირას 15-მდე ტყვია ესროლეს. ინციდენტის შედეგად არავინ დაშავებულა. (ნიუპოსტი)

## 2015 წელს საქართველოში ბავშვთა მიმართ ძალადობის 361 შემთხვევა დაფიქსირდა




2015 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოში ბავშვთა მიმართ ძალადობაზე 557 მიმართვა შევიდა, აქედან 361 დადასტურდა.

უფრო კონკრეტული მონაცემები კი ასე გამოიყურება: სექსუალური ძალადობა – 28 შემთხვევაში (აქედან 11-ზე გამოძიება დღემდე მიმდინარეობს); ფიზიკური ძალადობა – 85; ფსიქოლოგიური – 89; უგულებელყოფა – 72; ადრეული ქორწინების შესახებ ინფორმაცია – 3; მიტოვება – 15; ეკონომიკური ძალადობა – 6 (იძულება, რომ იმუშაოს და ა.შ.); ბულინგი – 1 (ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ტერორი), ოჯახში ძალადობა – 12. ძალადობის 93 შემთხვევაში ბავშვის ოჯახიდან გამოყვანა გახდა საჭირო.

(ipress.ge)

## რუსეთის საპასუხოდ, ევროპა თურქეთს უვიზო მიმოსვლას დაუწესებს



2016 წლის ოქტომბრიდან თურქეთის ყველა მოქალაქეს შენგენის ზონაში უვიზოდ გადაადგილება შეეძლება...– ასეთია ევროკავშირ-თურქეთის ბრიუსელის სამიტის შედეგი.

გავრცელებული ინფორმაციით, სამიტიდან გარკვეული პერიოდის შემდეგ ხელი მოეწერება თურქეთსა და ევროკავშირს შორის ხელშეკრულებას, რომლის დეტალებიც ამ დროისთვის დაუზუსტებელია და რომლის ფარგლებში თურქებისთვის მომავალი წლის ოქტომბრიდან უვიზო მიმოსვლის უფლებაც იქნება შეთანხმებული....უკვე მიღწეული შეთანხმების შედეგად, თურქეთი ვალდებულებას იღებს, რომ სირიელ არაბ ლტოლვილებს საკუთარ ქვეყანაში მიხედავს და „დაამაგრებს“, რისთვისაც ევროკავშირი უახლოეს ხანებში 3 მილიარდ ევროს გამოუყოფს.

– ჩვენ ევროპელი ხალხი ვართ და არა მხოლოდ ლტოლვილების პრობლემის მოგვარებაში, არამედ ევროპის წინაშე მდგარი ყველა პრობლემის მოგვარებაში ევროპასთან ერთად ვიქნებით. ევროპულ ოჯახში ყოველთვის ჩვენს წვლილს შევიტანთ, რადგან მიგვაჩნია, რომ ევროპის ბედი ჩვენი ბედია, – განაცხადა სამიტის დასრულების შემდეგ თურქეთის პრემიერმა აჰმეთ დავუთოღლუმ.

შეგახსენებთ, რომ 28 ნოემბერს რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა ხელი მოაწერა განკარგულებას, რომლის მიხედვითაც, 2016 წლის 1-ლი იანვრიდან თურქეთს უვიზო მიმოსვლა შეუწყდება რუსეთის ფედერაციაში. (timer.ge)

## რატომ ცხოვრობს თამარ გუჯეჯიანი საწყობში — ტკივილით სავსე ისტორია



ვარკეთილის ბაზრობაზე ყოველთვის ხალხმრავლობაა. ზოგი ყიდულობს, ზოგი ყიდის... ეს მოხუცი ქალბატონი, რომელსაც აქ თითქმის ყველა იცნობს, თამარ გუჯეჯიანია. ის აქ არც მუშაობს და მით უმეტეს, არც რამის შესაძენად მოსულა... თამარი აქ ცხოვრობს!

დიახ, ბაზრობაზე, ყოფილ საწყობში. შეგიძლიათ, წარმოიდგინოთ, როგორი შენობაა საწყობი? ცივი ბეტონის კედლები და მეტი არაფერი... ეს შენობა საცხოვრებლად არაა გამოსადეგი, აქ ადრე პროდუქტებს ინახავდნენ.

როგორ მოხვდა ასეთ მდგომარეობაში ქალბატონი თამარი? ეს ძალიან გრძელი ისტორიაა, ტკივილითა და სისასტიკით სავსე:

სოხუმში დაიბადა, იქ ცხოვრობდა, სწავლობდა და მუშაობდა. საქართველო-აფხაზეთის ომის დროს მშობლიური ადგილების დატოვება არც უფიქრია, მაგრამ, როდესაც 1993 წელს, სოხუმის აღების შემდეგ ქალაქში შესულმა სეპარატისტთა მებრძოლებმა დარჩენილი მოსახლეობის არნახული ხოცვა მოაწყვეს, თამარი იძულებული გახდა, აფხაზეთი დაეტოვებინა. ერთადერთი რამ, რაც სახლიდან დიდი რისკის ფასად გამოიტანა, ძველი ფოტოალბომი იყო. ამ ფოტოალბომში მისი ცხოვრებაა: ახალგაზრდობა, ბედნიერება, ახლობლები, საქართველო – მთლიანი, ჯერ კიდევ ერთიანი... ახლა ეს სურათები მისთვის ყველაზე ძვირფასია, რაც გააჩნია. თამარი ყოველდღე ათვალიერებს ძველ ალბომს და ცხოვრობს მოგონებებით.

ომის შემდეგ, როდესაც აფხაზეთში დაბრუნების ყოველგვარი იმედი გადაეწურა, თამარი თბილისში, ძმასთან ჩავიდა. თავი რომ ერჩინა, ვარკეთილში მდებარე „სვანების ბაზრობაზე“ დაიწყო მუშაობა გამყიდველად. 5 წლის წინათ ძმა ინსულტით გარდაეცვალა, თამარი კი ბინიდან გამოასახლეს...

თამარი ბაზრობის ტერიტორიაზე შეიფარეს, საცხოვრებლად ერთ-ერთი საწყობის შენობა დაუთმეს. ადრე უფასოდ ცხოვრობდა, ახლა ქირას იხდის – 50 ლარს თვეში. ამ საწყობში არანაირი პირობები არ არის, არც წყალია გაყვანილი, არც საპირფარეშოა, ირგვლივ მხოლოდ ცივი ბეტონის კედლებია... თამარი პირდაპირ ოთახში ბანაობს, წყალი ბაზრობის ტერიტორიაზე არსებული საპირფარეშოდან მოაქვს.

თამარი ძალიან მორწმუნე ადამიანია, მთელ დღეებს ლოცვაში ატარებს. ლოცულობს, რომ საქართველო გაძლიერდეს და გაერთიანდეს, რომ არავის მოუწიოს, თავის ქვეყანაში დევნილი გახდეს, რომ ყველას ჰქონდეს თბილი სახლი. ასევე, ლოცულობს ყველა კეთილი ადამიანის ჯანმრთელობისთვის. ფონდის თანამშრომლებს, რომლებიც ქალბატონ თამარს საკვები პროდუქტებითა და წამლებით უზრუნველყოფენ, სიყვარულით ღმერთის მიერ გამოგზავნილ ანგელოზებს უწოდებს.

ქალბატონ თამარს ამჟამად ძალიან სჭირდება თბილი ტანსაცმელი და შეშა გასათბობად, ასევე, მაგიდა და რამდენიმე სკამი. მას ნებისმიერი სახის დახმარება ცხოვრებას შეუმსუბუქებს.

ქალბატონი თამარისთვის დახმარების აღმოჩენის მსურველებს შეუძლიათ დაუკავშირდნენ საქველმოქმედო ფონდს „სოციალური პარტნიორობა“. (ნიუპოსტი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## „მე მეტროზე გადავდივარ!!!“ — ინგა გრიგოლია



ჟურნალისტი ინგა გრიგოლია ქალაქში არსებული საცობების გამო დღეიდან მეტროთი მგზავრობას აპირებს. აღნიშნულთან დაკავშირებით გრიგოლია სოციალურ ქსელში წერს.

– ჩემმა მეგობრებმა იციან, რომ კარგა ხანია, მანქანით თითქმის აღარ დავდივარ და საქესთან მხოლოდ თავისუფალ დღეებში ვჯდები, როცა საქმე არ მაქვს ხოლმე, საცობებისა და პარკინგის გამო...

ძირითადად ტაქსით ან საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობ, დღეს კი, სანამ პარლამენტში გავედი და ვცდილობ, როგორმე უკან მოვაღწიო, ტელევიზიის მძღოლთან ერთად, საბოლოოდ მივხვდი, რომ თანდათან მეტროზე გადავერთვები...

ერთადერთი საშუალება, რომ არ დაიტანჯო, არ დააგვიანო დანიშნულების ადგილას და დროულად გადაადგილდე, უკვე მხოლოდ მეტროა... მე მეტროზე გადავდივარ!!!!!! – წერს გრიგოლია. (ნიუპოსტი)

## უსინათლო ქართველი ძიუდოისტი ევროპის ჩემპიონი გახდა



ზვიად გოგოჭური უსინათლოთა შორის გამართულ ევროპის ჩემპიონატზე 90 კილოგრამ წონით კატეგორიაში გამარჯვებული გახდა.

ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი პორტუგალიის ქალაქ ოდიველასში IBSA-ს ორგანიზებით ჩატარდა.

ზვიად გოგოჭურმა მაისში სამხრეთ კორეაში ამავე ორგანიზაციის ეგიდით ჩატარებული მსოფლიო თამაშებიც მოიგო. მას უკვე მოპოვებული აქვს 2016 წლის რიოს პარაოლიმპიური თამაშების ლიცენზია. (ipress.ge)

დიანა ლიპარტელიანი
571 80-40-80



**არასამთავრობო ორგანიზაცია „სკოლამდელთა განვითარებისა და უფლებათა დაცვის ლიგა" თბილისის ბაგა-ბაღებში არსებულ უხარისხო საკვებ პროდუქტზე, თანამშრომელთა პოლიტიკური ნიშნით სამსახურიდან დათხოვნაზე საუბრობს. ვინ დგას ამ ცვლილებების უკან და რას პასუხობს თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტო?**

**„ალიას" ორგანიზაციის თავმჯდომარე, მზია ფაილოძე ესაუბრა:**

– ვუყურებთ ქვეყანაში მიმდინარე პროცესებს და გული გვწყდება, საშინლად გაბრაზებულები ვართ – „ნაციონალები" არ გვინდოდა ხელისუფლებაში, იმიტომ, რომ ცუდები იყვნენ, მაგრამ ჩვენდა საუბედუროდ, „ქართული ოცნების" სახით მათზე უარესები მოვიდნენ ქვეყნის სათავეში. ეს შეიმჩნევა ძალიან ბევრი მიმართულებით – მათ შორის საბავშვო ბაღების მიმართულებითაც. კიდევ ვერ ვსაუბრობთ ისე, ხმამაღლა ვერ ვამბობთ ყველაფერს, ვინდობთ, მიუხედავად იმისა, რომ არ არიან დასანდობები. იქნებ გამოასწორონ სიტუაცია.

უამრავჯერ გვსმენია „ნაციონალების" დროს, რომ ამ სექტორშიც, როგორც ბევრგან, პოლიტიკური ნიშნით ხდებოდა კადრების დანიშვნა. დღეს უარესი ხდება – პოლიტიკური ნიშნით ათავისუფლებენ უამრავ კადრს საბავშვო ბაღებიდან, დღე არ გავა, ერთი ადამიანი არ მოვიდეს ჩემთან და არ მითხრას, რომ სამსახურიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით. გამოაცხადეს საკადრო-სარეზერვო ტესტირება. მსგავსი ტესტირება 2013 წელს ჩაატარა ბატონმა სულამანიძემ, რის საფუძველზეც გამოავლინეს მაღალქულიანი კადრები, თუმცა მათგან დღემდე არავინ დაუსაქმებიათ.

თვითონ ტესტირების საკითხია საინტერესო – აღმზრდელის თანაშემწეს რომ სამოტივაციო წერას სთხოვენ, ეს არის სისულელე, იმიტომ, რომ აღმზრდელის თანაშემწე დამლაგებლის სტატუსის მქონე ადამიანია. ცოტა უხერხულიც კია, მას სამოტივაციო წერილი მოსთხოვო. მსგავსი დოკუმენტაცია, შესაძლოა, მოსთხოვო ისეთ კადრს, რომელსაც ხელმძღვანელ თანამდებობაზე ნიშნავ, რომ იცოდე, რას და როგორ აპირებს. აღმზრდელის თანაშემწეს რის სამოტივაციოებსა და ხედვებს სთხოვენ.

**— სულ თანაშემწეები ხომ არ იქნებიან?**

– თუ ჩათვლიან, რომ თანაშემწეზე მეტს იმსახურებენ, ეგ მერეც შეუძლიათ. მანამდე რატომ უქმნიან ბარიერს? საკითხავია, როგორ შეადგენენ იმ ტესტებს, რომლებიც ამ ადამიანებმა უნდა ჩააბარონ, ვინ შეადგენს. ცოტა უხერხულია ამის ხმამაღლა თქმა, მაგრამ მე არ მივანდობდი არც ერთ იმ ადამიანს ამ ტესტების შედგენას, რომლებიც დღეს თბილისის ბაღების სააგენტოში არიან თავმოყრილები. თუ ტესტირებაა, მაშინ უნდა ჩაატაროს საერთოდ სხვა ორგანიზაციამ, რომელზეც ბაღების სააგენტო და ა.შ. ვერ მოახდენენ ზემოქმედებას. ზოგადად, ბაგა-ბაღის აღმზრდელს ბაღის დირექტორი უნდა ნიშნავდეს, იმიტომ, რომ მან იცის, რა და როგორი ტიპის, გამოცდილების, განათლებისა და ა.შ. კადრი სჭირდებათ. რად უნდა ამას ტესტირება. სამწუხაროა, რომ რიგში დგანან ყოფილი ხელისუფლების დროს ნამუშევარი, კვალიფიციური კადრები, რომლებიც თავის დროზე, მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლეს, რომ იმ პერიოდში მუშაობდნენ და მათ არავინ აბრუნებს სამუშაო ადგილებზე, მიუხედავად იმისა, რომ მათი რესურსი სჭირდება თბილისის ბაგა-ბაღებს. ეს ხდება პოლიტიკური ნიშნით და ამ საკითხში ერევიან თბილისის საკრებულოს დეპუტატები „ქართული ოცნებიდან".

**— ვის გულისხმობთ?**

– ია მაკასარაშვილს და რიმა ბერიძეს.

**— ჩარევა რაში გამოიხატება?**

– მათი უშუალო მოთხოვნაა, რომ მათი ახლობლები დაინიშნონ. მაგალითად, მაკასარაშვილი წერდა: „ტესტირება უნდა ჩატარდეს ყველა მოქმედი და დამწყები თანამშრომლისთვის. მე არ ვეთანხმები, რომ მხოლოდ დამწყებთათვის. ჩემი ინფორმაციით, საბავშვო ბაღებში არიან ადამიანები, რომლებსაც მხოლოდ საშუალო განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი აქვთ. ესენი დანიშნულები არიან „ნაცმოძრაობის" აქტივიდან პირდაპირ პარტიული ნიშნით. მე გამოვითხოვე და კიდევ გამოვითხოვ თბილისის მასშტაბით მათი განათლების დამადასტურებელ დოკუმენტებს. ესაა ჩემი პასუხი ამ ინფორმაციაზე!" – აი, ასეთ განცხადებას აკეთებდა ქალბატონი ია, თავისი „ფეისბუკის" გვერდზე. ერთი, მათი რეკომენდაციით დანიშნული დირექტორების დოკუმენტაციები გამოითხოვონ და ჩააბარებინონ ტესტირებები, არარსებული და ქუჩის ყველა კუთხეში გახსნილი „უნივერსიტეტებიდან" მიღებული დიპლომები რომ აქვთ.

2012 წელს, როცა საარჩევნო კამპანია მიმდინარეობდა, ზუსტად მაშინ იმ პროფესიონალ ადამიანებს, რომლებიც საბავშვო ბაღებიდან გაათავისუფლეს პოლიტიკური ნიშნით, დიდი ამბებით ჰპირდებოდნენ, რომ დააბრუნებდნენ სამუშაო ადგილებზე. ერთ ადამიანს ვერ დაგვისახელებენ, რომ რომელიმე პროფესიონალი კადრი დააბრუნეს ადგილზე. სამაგიეროდ – გამოუცდელები დანიშნეს იმდენი, რამდენიც გაუხარდებოდათ. ეს მოწმობს იმაზე, რომ ვებრძოდით ცუდს და მივიღეთ უარესი. წინასაარჩევნო პერიოდია და რაში სჭირდებათ, ვერ ვიგებ. დირექტორებს დაავალეს სააგენტოდან, რომ დირექტორების მოადგილეები გაათავისუფლონ, თუ არ გაათავისუფლებენ, მაშინ მათვე გაუშვებენ და ასეთი ზეწოლის ქვეშ მუშაობენ.

ამათ უშვებენ, თავიანთი ახლობლები მოჰყავთ და ამ პროცესში ყველაზე ცუდი ის არის, რომ ბავშვები იჭყლიტებიან. ასე მარტივად ვერ ეგუება ბავშვი ცვლილებებს, რაც მერე აისახება მათი სწავლის, განვითარების ხარისხზე, ფსიქოლოგიაზე და ა.შ. თუ გასაშვებია, კარგი, გაუშვი, მაგრამ იმაზე უარესს რომ ნიშნავ, ეს რა მიდგომაა? ერთ-ერთ საბავშვო ბაღში, ისეთი კადრი დაინიშნა დირექტორად, რომელიც „ფორმა 2"-ს და სასაქონლე ზედნადებს ვერ არჩევს ერთმანეთისგან. არ მინდა დავასახელო, ვინაა, მაგრამ ესაა სამარცხვინო!

ახლა კიდევ, გამოდის თბილისის ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი, თორდინავა და მედიასთან საუბრისას ამბობს, სამი რეფორმა განვახორციელეთ და სამივე წარმატებითო. წარმატებით იწერენ „ნაციონალების" გაკეთებულს. რომელ წარმატებებზეა საუბარი, ნახეთ ტენდერები, მენიუების საკითხი, საკადრო საკითხი... ყველაფერი ნათელი გახდება. ჯგუფები გავხსენითო, „ნაციონალებმა" დაახვედრეს ეს ინფრასტრუქტურა გამზადებული და რა პრობლემა იქნებოდა გახსნა. არ იფიქროთ, რომ კარგს ვამბობ „ნაციონალებზე"...

**— თუ არის სათქმელი კარგი, რატომ არ უნდა ვთქვათ?!**

– რა თქმა უნდა, უნდა ვთქვათ, რომ გაუბედურებულ-გაპარტახებული დახვდათ იმათ და დაამგვანეს საბავშვო ბაღს.

**— წინა ინტერვიუში მითხარით, ბავშვებს საქონლის ხორცის ნაცვლად გაურკვეველი წარმოშობის ქათმის ხორცს აჭმევენო. გამოსწორდა სიტუაცია?**

– მაგალითად, კარაქი, საბავშვო ბაღებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთ კომპანიას. იმ ბაგა-ბაღში, სადაც მომთხოვნი დირექტორი ჰყავთ, მიაქვთ ხარისხიანი კარაქი, იმ საბავშვო ბაღებში კი, სადაც მორიდებული დირექტორები ჰყავთ, იმაზე არიან ორიენტირებულნი, რომ ოღონდაც კარაქი მიიტანონ დროზე, არ ჩივიან არაფერს, იმათთან შედის დაბალი ხარისხის, ნაგავი კარაქი.

# ბაღებში ბავშვებს უხარისხო კარაქს აჭმევენო...



**„კარაქი, საბავშვო ბაღებში, მთელი საქართველოს მასშტაბით, შეაქვს მხოლოდ და მხოლოდ ერთ კომპანიას. იმ ბაგა-ბაღში, სადაც მომთხოვნი დირექტორი ჰყავთ, მიაქვთ ხარისხიანი კარაქი, იმ საბავშვო ბაღებში კი, სადაც მორიდებული დირექტორები ჰყავთ, იმაზე არიან ორიენტირებულნი, რომ ოღონდაც კარაქი მიიტანონ დროზე, არ ჩივიან არაფერს, იმათთან შედის დაბალი ხარისხის, ნაგავი კარაქი"**

**მზია ფაილოძესთან საუბრის შემდეგ, თბილისის ბაგა-ბაღების პრესსამსახურს დავუკავშირდით და ფაილოძის მიერ ჩამოყალიბებული პრეტენზიების საქმის კურსში ჩავაყენეთ. ჩვენს კითხვებს სააგენტოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა, თამარ კვირტიამ წერილობით უპასუხა:**

„განთავისუფლებას რაც შეეხება, მაგალითად, 169-ე ბაგა-ბაღის დირექტორი ფიქრია ჩახნაშვილი თანამდებობიდან მნიშვნელოვანი ფინანსური და საკვებ პროდუქტებთან დაკავშირებული დარღვევების გამო განთავისუფლდა. კერძოდ, სურსათის აღრიცხვის ჟურნალში პროდუქტების მიღება-ჩაბარების აღრიცხვა ხორციელდებოდა არასწორად. წინასწარ იყო შეძენილი მთელი კვირის მარაგი საქონლის ხორცი და დარღვეული იყო მალფუჭებადი პროდუქტების შენახვის პირობები და ვადები.

ასევე, ჩვენმა მონიტორინგის ჯგუფმა №169 საბავშვო ბაგა-ბაღში აღმოაჩინა მნიშვნელოვანი ფინანსური დარღვევები. 2015 წელს განხორციელებული სარემონტო სამუშაოების შესყიდვის, საერთო ღირებულებით 22706.4 ლარი, დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ შესრულებულ სამუშაოზე ზედმეტად გადარიცხული იქნა 2820 ლარი. აღნიშნულ ფაქტს ადასტურებს შესაბამისი აუდიტორული კომპანია და ეთანხმება სამუშაოების შემსრულებელი ორგანიზაციაც, რომელმაც მზაობა გამოთქვა, ზედმეტად არამიზნობრივად ჩარიცხული თანხის საბავშვო ბაგა-ბაღის შესაბამის საბანკო ანგარიშზე დაბრუნების თაობაზე.

საფინანსო-სამეურნეო და სხვა შინაარსის დარღვევა ბაგა-ბაღების მონიტორინგის სამსახურმა სამი თვის წინაც აღმოაჩინა, რის შემდეგაც ბაღის დირექტორს დისციპლინური სასჯელის ზომა, საყვედური გამოეცხადა. განმეორებითი დარღვევის აღმოჩენის შემდეგ ბაგა-ბაღების მართვის სააგენტომ მიიღო გადაწყვეტილება დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლების შესახებ.

რაც შეეხება პოლიტიკური ნიშნით დევნას – არანაირი პოლიტიკური ნიშნით არ ხდება განთავისუფლება ბაღებიდან. თავისუფლდებიან მხოლოდ ჩვენი მონიტორინგის შედეგად აღმოჩენილი დარღვევების გამო. 50-მდე დირექტორის მოადგილე მხოლოდ იმიტომ განთავისუფლდა, რომ მათ არ ჰქონდათ უმაღლესის დამთავრების დამადასტურებელი დიპლომი, რაც ბაგა-ბაღების წესდების დარღვევაა.

რაც შეეხება საკვებ პროდუქტებს – ბაგა-ბაღების მიერ კარაქის შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მომწოდებელი ახორციელებს კარაქისა და აღნიშნულ პროდუქტზე შესაბამისობის სერტიფიკატების მოწოდებას. ამასთანავე, საბავშვო ბაგა-ბაღები ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და თავიანთი უფლებამოსილების ფარგლებში ვალდებულნი არიან, ნებისმიერი დარღვევის შემთხვევაში განახორციელონ მხარეებს შორის გაფორმებული ხელშეკრულების პირობების დაცვის ღონისძიებები, მათ შორის, მიმართონ შესაბამის ლაბორატორიას მოწოდებული პროდუქციის ხარისხის შემოწმების მიზნით".

**ია მაკასარაშვილთან და რიმა ბერიძესთან დაკავშირება ვერ მოვახერხეთ. თუ პოზიციის დაფიქსირებას მოინდომებენ, მითითებულ ნომერზე დაგვიკავშირდნენ.**

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## უნიკალური ფოტო: „ლიმონა" „დედ ჰასანთან" ერთად



უცხოურ მედიაში უნიკალური ფოტო გამოქვეყნდა, სადაც ზღვაზე დასვენებისას ე.წ. „კანონიერი ქურდები" აღბეჭდილი. ყველაზე საინტერესო ისაა, რომ ბოლო წლების „ქურდული სამყაროს პატრიარქად" აღიარებულ „დედ ჰასანთან", იმავე ასლან უსოიანთან ერთად, ფოტოზე ნოდარ დუმბაძის „თეთრი ბაირაღების" გმირი „ლიმონა", იგივე ილო დევდარიანია აღბეჭდილი.

ფოტო 1962 წელს, ქალაქ სოხუმშია გადაღებული. ერთი წლის შემდეგ ილო დევდარიანი თბილისში დაუდგენელმა პირებმა ცეცხლსასროლი იარაღით მოკლეს. (რეპორტიორი)

## „ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველას, ვისაც „ისლამური სახელმწიფო" მოწინააღმდეგედ მიიჩნევს"



ყოფილი თავდაცვის მინისტრის, დავით თევზაძის განცხადებით, ტერორიზმის საფრთხის ქვეშ საქართველოც დგას. როგორც თევზაძემ განაცხადა, ტერორიზმის დარტყმის ობიექტი არა კონკრეტული ტერიტორია, არამედ სამოქალაქო საზოგადოებებია.

„თითქოს ყველა შეთანხმდა იმაზე, რომ ტერორიზმის საფრთხე „ისლამური სახელმწიფოსგან" მოდის, ვინაიდან პარიზის ტერაქტის ავტორი „ისლამური სახელმწიფო" იყო. თუ აქედან გამოვალთ, ტერორიზმის საფრთხე ემუქრება ყველა იმას, ვისაც აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია მოწინააღმდეგე ბანაკში მიიჩნევს. მიუხედავად იმისა, რომ გამოქვეყნდა ქვეყნების ნუსხა, სადაც საქართველო პირდაპირ მითითებული არ არის, ეს არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ საფრთხის ქვეშ არ ვდგავართ, ვინაიდან ტერორიზმის დარტყმის ობიექტი, რომელიმე კონკრეტული ტერიტორია კი არა, მთლიანად სამოქალაქო საზოგადოებაა და თუკი, ვთქვათ, აღნიშნულ სიაში აშშ-ცაა, ამ თვალსაზრისით, შეერთებული შტატები შეიძლება დევნო ნებისმიერ ტერიტორიაზე, სადაც ისინი არიან", – განაცხადა თევზაძემ.

მისი თქმით, მანამ, სანამ „ისლამური სახელმწიფოს" წინააღმდეგ მებრძოლი სახელმწიფოები ერთ მხარეს დალაგდებიან, აღნიშნული ტერორისტული ორგანიზაცია ეცდება, თავისი აქტივობა გაამძაფროს და შეტევის ვექტორი იმ არეალიდან გაიტანოს, სადაც მას თავდაცვა უხდება.

„მათ შეუძლიათ შეტევაზე გადასვლა და დარტყმების მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე გადატანა, იგივე ევროპაში, იგივე სხვაგან, სადაც კი შეიძლება აღმოაჩინონ საინტერესო სამიზნე და საქართველოშიც ბუნებრივად შეიძლება მოხდეს ეგ", – აღნიშნა თევზაძემ.

მისივე შეფასებით, ტერორიზმის საფრთხის შესამცირებლად მხოლოდ საზღვრის კონტროლის გამკაცრება საკმარისი არაა, არამედ აუცილებელია, სპეცსამსახურების მოქნილი და პროფესიული მუშაობაც. (pia.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## საქართველოში წვიმა და თოვლია მოსალოდნელი — ამინდის ვრცელი პროგნოზი



მომდევნო სამი დღის განმავლობაში საქართველოს მთელ ტერიტორიაზე წვიმა და თოვლია მოსალოდნელი. ინფორმაციას ამინდის შესახებ გარემოს ეროვნული სააგენტო ავრცელებს:

1-3 დეკემბერს მოსალოდნელია წვიმა, მთაში თოვლი, ზოგან ძლიერი. მაღალმთიან რაიონებში ზოგან ქარბუქი, იქროლებს დასავლეთის ძლიერი ქარი. 1-2 დეკემბერს ჰაერის ტემპერატურა მოსალოდნელია 7-12 გრადუსის ფარგლებში.

3-4 დეკემბერს მკვეთრად დაეცემა ჰაერის ტემპერატურა (4-5 გრადუსით).

5 დეკემბრიდან გამოიდარებს, 5-6 დეკემბერს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე მოსალოდნელია უმეტესად უნალექო ამინდი, – ნათქვამია ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

## „ეს წესი თუ ამოქმედდება 1-ლი იანვრიდან, საზოგადოებას ვეღარ დავიცავთ დანაშაულისგან“ — წულუკიანი



მოწმეთა დაკითხვის შესახებ არსებულ წესში ცვლილება ძალაში 2016 წლის 1-ლი იანვრიდან უნდა შევიდეს. კანონის მიხედვით, მოწმეების დაკითხვა უნდა მოხდეს პირდაპირ სასამართლოს მიერ.

ამასთან დაკავშირებით შეფასება გააკეთა იუსტიციის მინისტრმა.

თეა წულუკიანის თქმით, ეს ცვლილება გაუაზრებელია და ის საზოგადოებას კრიმინალისგან ვერ დაიცავს. იუსტიციის მინისტრის მტკიცებით, ახალი წესის დასამკვიდრებლად არ არის მზად არც სასამართლო და არც სამართალდამცავი ორგანოები.

– ის წესი, რომელიც უნდა ამოქმედდეს 1-ელ იანვარს, თუ ამოქმედდება, ჩვენ საზოგადოებას ვეღარ დავიცავთ დანაშაულისგან. დღეს სამართალდამცავი და სასამართლო სისტემა არ არის მზად იმისთვის, რომ 1-ელ იანვარს მთლიანად გაუქმდეს საგამოძიებო ორგანოში მოწმის დაკითხვის ინსტიტუტი და მხოლოდ სასამართლოში შეიძლებოდეს მოწმის დაკითხვა. ჩვენ ვერ ავიღებთ პასუხისმგებლობას იმაზე, რომ შემოვიდეს სრულიად გაუაზრებელი, სხვა ქვეყნის სისტემიდან ბრმად გადმოღებული წესი, რომელიც სამართალდამცავ ორგანოებს ხელს შეუშლის დანაშაულთან ბრძოლაში, – აღნიშნა თეა წულუკიანმა.

როგორც ცნობილია, იუსტიციის სამინისტროს მიერ წარმოდგენილი ინიციატივის მიხედვით, მოწმის მიერ ჩვენებაზე უარის თქმის შემთხვევაში, სასამართლო განხილვების დაწყებამდე, სამართალდამცავი ორგანოს მიერ უნდა მოხდეს მოწმის დაკითხვა მაგისტრანტი მოსამართლის თანდასწრებით. (rustavi2.com)

# „ქველმოქმედი მათხოვრების“ სისხლიანი დაპირისპირება

## რა მოხდა მეტრო „ისანთან“

ნინო ლაბარტყავა
571 99-92-33



ალბათ, ყველა თქვენგანს ჰყავს ნანახი ქუჩასა და მეტროში, სპეციალური ყუთებით მოსიარულე ადამიანები, რომლებიც მოწყალებას ითხოვენ. ყუთებზე, ხშირ შემთხვევაში, უმწეო მდგომარეობაში მყოფი ბავშვების სურათები აქვთ მიკრული და აგროვებული თანხით სწორედ ამ ბავშვებს ეხმარებიან, – ეს მათ რომ ჰკითხო. რეალურად კი, კაცმა არ იცის, ვისი ბავშვის სურათს იყენებენ და ნამდვილად ირიცხება თუ არა შეგროვილი თანხა საერთოდ ვინმეს გამოჯანმრთელებაზე?! თუმცა, გამონაკლისები აქაც ხდება – პირადად ჩემთვის ცნობილია, რომ რამდენიმე პიროვნება მართლაც კეთილი მიზნებით და კონკრეტული ადრესატისთვის აგროვებს მოსახლეობაში თანხას და საქველმოქმედო ხასიათის აქცია-კონცერტებსაც ატარებენ მათ დასახმარებლად.

თუმცა, ეს მხოლოდ იშვიათი გამონაკლისებია...

დანარჩენ შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ საქმე გვაქვს კლასიკურ თაღლითურ სქემასთან – მოსახლეობის გრძნობებზე მანიპულირებით, ვიღაც-ვიღაცები ჯიბეებს ივსებენ და კაციშვილი არ არის მათი ხელის შემშლელი! უფრო მეტიც, მათ შორის სერიოზული კონკურენციაა გაჩაღებული რომელიმე კონკრეტულ ადგილზე დგომასთან დაკავშირებით და ამის გამო, რამდენჯერმე დამინახავს, სხვადასხვა „შპანა“ თუ „დაჯგუფება“ როგორ აყენებს ერთმანეთს შეურაცხყოფას. კვირას, 29 ნოემბერს კი ასეთი ამბის ერთ-ერთი შემსწრე და ერთგვარად მონაწილეც გავხდი...

როგორც ვთქვი, 29 ნოემბერი იყო. დილის საათებში ჩემს მეგობარს, ნინოს (ზოგადად, ამ ამბის მონაწილე პირების ვინაობას შეგნებულად არ ვამხელ) სახლში გავუარე, ცოტა ხანს მასთან ვიყავი და შემდეგ ერთად გამოვედით. მეტრო „ისნის“ წინ, ტროტუარზე, სამარშრუტო ტაქსს ერთად ველოდებოდით. უცებ ჩვენს ზურგს უკან რაღაც ხმაური შემოგვესმა და ორივემ მივიხედეთ – ოთხი გოგო ხმამაღლა რაღაცაზე კამათობდა, მათ შორის ერთ-ერთს მცირეწლოვანი ბავშვი ეკავა ხელში. სიტყვიერი კამათი რამდენიმე წამს გაგრძელდა და უცებ ამ ოთხი გოგოდან სამი იმ მეოთხეს ეცა, თმაში სწვდა და ატყდა ერთი ამბავი! ვეცი ამათ და დავიწყე გაშველება, ჩავაფრინდი ხელებში, ვისაც მოვახერხე და დავუწყე ჯაჯგური და ყვირილი. ამასობაში, ერთი უცნობი მამაკაციც ჩაერია ჩხუბში და როგორც იქნა, ავაწიწკნეთ ერთმანეთს მოჩხუბრები! ის გოგო, რომელსაც საცემრად ეცნენ, წინ დავიყენე, დანარჩენები ჩემს უკან იდგნენ და დავიწყე ლექციების კითხვა, – ან პატრულს დაურეკეთ და ისე გაარჩიეთ საქმე, ან სადმე სხვაგან წადით და სიტყვიერად გაარკვიეთ ყველაფერი, შუა ქუჩაში რა დღეში ხართ-მეთქი?! ამას ვლაპარაკობ და უცებ ბავშვიანმა გოგომ მოულოდნელად გვერდი სწრაფად ამიარა და იმ მეოთხეს (ვისაც სცემდნენ) ისევ თმაში სწვდა! იმ გოგოსაც საპასუხო რეაქცია ჰქონდა, თავადაც ჩააფრინდა თმაში თავდამსხმელს და ამ ჭიდაობაში ბავშვი შუაში მოიყოლეს! ატეხა საწყალმა ტირილი და ამაზე სულ გადავირიე! ვეცი ისევ ორივეს გასაშველებლად, მაგრამ ამასობაში, დარჩენილი ორიც ჩაება ჩხუბში და ატყდა ისევ ვაი-უშველებელი... ვდგავარ შუაში და ვფიქრობ, ან მარჯვნიდან მწვდება რომელიმე მეც თმაში, ან მარცხნიდან-თქო, მაგრამ, საბედნიეროდ, ახლა უკვე სხვა უცნობი მამაკაცი ჩაერია ამ „ბათქი საკვირველში“ და ისევ როგორღაც გავაშველეთ, თუმცა უცებ, ასაკით ყველაზე პატარა გოგომ ისეთი წიხლი მიარტყა იმ მეოთხე გოგოს, რომ ის ეგრევე წაიქცა და როცა წამოდგა, შუბლიდან თქრიალით მოსდიოდა სისხლი... სისხლის დანახვაზე ყველა გაჩერდა, ნაცემმა გოგომ კი ტირილი დაიწყო და სახეს ხელებით იწმენდდა. ამოვიღე სველი ხელსახოცები და რაღაცნაირად გავასუფთავე ეს გოგო. ამ გოგომ სადღაც დარეკა (როგორც შემდეგ აღმოჩნდა 122-ზე დაურეკავს). ზუსტად ამ დროს მეც ამოვიღე ტელეფონი და 112-ში დავრეკე, დავაფიქსირე მომხდარი ინციდენტი და პატრულისა და სასწრაფო დახმარების მოსვლა მოვითხოვე.

პატრულის რამდენიმე ეკიპაჟი, ფაქტობრივად, ერთდროულად მოვიდა, მათ სასწრაფოც მალევე მოჰყვათ. დასისხლიანებულ გოგონას სამედიცინო დახმარება იქვე აღმოუჩინეს, პატრულის თანამშრომლებმა კი ვითარების გარკვევა დაიწყეს. ყველა თავის სასარგებლოდ ამბობდა სათქმელს, მოწმედ კი, ჩემ გარდა, არავინ გამოვიდა, „შარია, რად მინდა“ ლოგიკით. ავდექი და მათ ყველაფერი თავიდან ბოლომდე მოვუყევი ისე, როგორც იყო და რასაც შევესწარი. პატრულის თანამშრომლების მისამართით მხოლოდ კარგს თუ ვიტყვი – მართლაც, გულისხმიერად, ყურადღებითა და თავაზიანად იქცეოდნენ, ვინაიდან მე მოწმე ვიყავი, ყველა ჩემს სიტყვას ყურადღებით ისმენდნენ და მადლობას მიხდიდნენ „კარგი მოქალაქეობისთვის“.

მოკლედ, ინციდენტიდან სადღაც, 2-საათნახევარში, ოთხივე გოგო და მე ჩვენების მისაცემად საგამოძიებო სამსახურში წაგვიყვანეს. საქმის გამომძიებელს ჩვენება მოწმის სტატუსით მივეცი და შემდეგ, მოქალაქეობრივად ვალმოხდილი ჩამოვედი შენობის პირველ სართულზე, სადაც ის სამი გოგო და კიდევ ერთი უცნობი ბიჭი (როგორც შემდეგ გავიგე, ერთ-ერთის მეუღლე) ისხდნენ. სანამ შენობას დავტოვებდი, მცირე ინციდენტი კიდევ მოხდა – იმ გოგოებიდან ყველაზე უფროსმა სიტყვიერი შეურაცხყოფა მომაყენა, შენ რა ქალი ხარ, ბავშვიან გოგოს აჭერინებო? მიყვიროდა და ერთადერთი, რაც ვუპასუხე, ეს იყო, – ბავშვიანი ქალი ჩხუბში ბავშვით არ ერევა და ქუჩა-ქუჩა არ დააწანწალებს-მეთქი და გამოვედი.

ახლა ყველაზე მთავარი, რის გამოც, გოგონების (მე მათ უფრო ქაჯებს დავარქმევდი!) თქმით, ჩხუბი მოხდა: თურმე, ისინი იქვე, მეტრო „ისნის“ მიმდებარედ არსებულ ერთ-ერთ შუქნიშანთან ყუთებით იდგნენ ხოლმე და მოსახლეობაში ფულს აგროვებდნენ ადამიანების დასახმარებლად (მათი ჩაცმულობით თუ ვიმსჯელებ, იქით იყვნენ დასახმარებლები). დაპირისპირება კი სწორედ „სამუშაო ადგილის“ გამო მომხდარა – როგორც ჩანს, ადგილი ვერ გაიყვეს. დასისხლიანებული გოგონა ჩემთან და იქვე მყოფ სხვა მოქალაქეებთან საუბარში ამბობდა, რომ ის თანხას სოფელ რუისპირში მცხოვრები ერთ-ერთი ოჯახისთვის აგროვებდა, რისი დამადასტურებელი ქვითრები ჰქონდა კიდეც. ამავდროულად, აღნიშნა, რომ ინციდენტამდე ორი დღით ადრე, მან თბილისის მერიისგან ნებართვა აიღო საქმიანობისთვის და 7 დეკემბერს საქველმოქმედო აქცია-კონცერტი ჰქონდა დაგეგმილი რუსთაველზე რუისპირელი ოჯახის დასახმარებლად. იმ დანარჩენი სამი გოგოს გაღიზიანება კი, როგორც თავად თქვა, სწორედ ნებართვის აღებამ გამოიწვია.

აღნიშნული ინციდენტის შესახებ, უკვე 30 ნოემბერს შინაგან საქმეთა სამინისტროს დავუკავშირდი და გავარკვიე, რა მუხლით არის საქმე აღძრული? შსს-ს პრესსამსახურმა განაცხადა:

„ინციდენტთან დაკავშირებით გამოძიება 125-ე მუხლის პირველი ნაწილით არის დაწყებული, რაც ცემას გულისხმობს. აღნიშნული დანაშაული ითვალისწინებს ჯარიმას, ან საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომას 124 საათამდე, ან გამასწორებელ სამუშაოს ვადით 15 თვემდე. საქმე ძიების პროცესშია და საბოლოო განაჩენს სასამართლო გამოიტანს“.

რაც შეეხება გოგონას ნათქვამ ნებართვას, დავინტერესდი, მართლა გასცემს თუ არა თბილისის მერია ყუთებით დგომისა და მოსახლეობაში ფულის აგროვების რაიმე სახის ნებართვას.

**აი, მერიის პრესსამსახურის პასუხი:**

– 7 დეკემბერს, რუსთაველზე, საქველმოქმედო აქცია-კონცერტის გამართვის შესახებ, მერიაში შეტყობინება ნამდვილად არის შემოსული.

**— თუ არის შეტყობინებაში ნახსენები, ვინ მართავს ამ აქციას?**

– არა, სხვა დეტალები არ არის.

**— (გოგონას სახელსა და გვარს ვეუბნები) სახელით არის შემოსული შეტყობინება?**

– მგონი, კი. ყოველ შემთხვევაში, აქციის გამართვაზე შეტყობინება შემოსულია.

**— და სპეციალური ყუთებით ქუჩაში დგომასა და დახმარების თხოვნაზე მერია ნებართვას თუ იძლევა?**

– არა, მერიაში ამაზე ნებართვას არ იძლევიან.

**— ანუ არ შეიძლება ეს?**

– არ შეიძლება-თქო, არ გეუბნებით, უბრალოდ, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით მერია ნებართვას არ იძლევა, ანუ მსგავსი თხოვნა მერიაში არ შემოდის.

**მოკლედ, აღნიშნულ ინციდენტზე გამოძიება დაწყებულია, როგორც გითხარით, მე მოწმის სახით მაქვს ჩვენება მიცემული და აუცილებლად ვითანამშრომლებ სამართალდამცავ ორგანოებთან. ცალკე საგანგაშო საქმეა ის, რომ დღისით-მზისით, შუა ქუჩაში, ყუთებით სიარულის და მოწყალების თხოვნის ამ თაღლითურ სქემას საქართველოს კანონმდებლობა ვერ არეგულირებს და ასეთი უსინდისო ადამიანები (რა თქმა უნდა, ყველას არ ვგულისხმობ, კიდევ ერთხელ ვამბობ!) ხალხის გრძნობებზე აკეთებენ ფულს!**

**და ყველაზე მთავარი: ბავშვებით მანიპულირება! დააწანწალებენ საცოდავ პატარებს აღმა-დაღმა ეს ვითომ დედები და მათი მეშვეობით მათხოვრობენ, რაც ყოვლად დაუშვებელია და სახელმწიფო კარგს იზამს, თუ ამ მტკივნეულ საკითხებზე თვალს არ დახუჭავს და შესაბამის საკანონმდებლო რეგულაციებს დააწესებს!**







# ნატოში მე-5 მუხლის ამოქმედების გარეშე მიგვიღებენ?

## რას ამბობს ვახტანგ მაისაია, რომელმაც ნატოში 4 წელი იმუშავა?

ლევან ჯავახიშვილი
577 51-73-37



საქართველოს პარლამენტის წევრმა, „რესპუბლიკელმა“ ლევან ბერძენიშვილმა მეტად სკანდალური განცხადება გააკეთა. მისი თქმით, საქართველო მზად არის, გახდეს ნატოს წევრი იმ შემთხვევაშიც კი, თუ მის მიმართ ნატოს მე-5 მუხლი არ ამოქმედდება. ბერძენიშვილმა მაგალითად გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა მოიყვანა, რომელიც ისე გახდა ნატოს წევრი, რომ მე-5 მუხლი მას არ შეეხებოდა.

შეგახსენებთ, რომ ნატოს მე-5 მუხლი ალიანსის წევრ ქვეყნებს იცავს სხვა, ნატოს არაწევრი ქვეყნის თავდასხმისგან და ნატოს წევრი ქვეყნები, თავდასხმის შემთხვევაში, ვალდებულნი არიან, შეიარაღებული ძალებით დაიცვან ეს წევრი სახელმწიფო. პოლიტიკურ კულუარებში საუბრობენ, რომ ლევან ბერძენიშვილის ეს განცხადება სახელისუფლებო ელიტასთან შეთანხმებით გაკეთდა, საქმის კურსში, თავდაცვის „რესპუბლიკელი“ მინისტრი, თინა ხიდაშელიც არის და ეს გზავნილი ნატოს ხელმძღვანელობისთვის იყო განკუთვნილი.

იმასაც ამბობენ, რომ ნატოს ხელმძღვანელობა მზად არის, ეს ვარიანტი განიხილოს.

საქართველო ნატოს წევრი თუ გახდება და მას სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის მე-5 მუხლი არ შეეხება, ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველომ კვლავ უნდა განაგრძოს ნატოს სამხედრო ოპერაციებში მონაწილეობა, უფრო დიდი მასშტაბებით, ნატოს ამ ოპერაციებში გაცილებით მეტი ჩვენი თანამემამულე დაიღუპება, ვიდრე დღეს. ასევე, ნატო საქართველოში განათავსებს სამხედრო ბაზებს, სამხედრო ლაბორატორიებს, სადაც ღმერთმა უწყის, რა სახის ექსპერიმენტებს ჩაატარებენ და ეს რამდენად საფრთხის შემცველი იქნება ჩვენი მოსახლეობისა და ქვეყნისთვის. მოკლედ, ძალიან დიდი მსხვერპლის გაღება მოგვიწევს. სანაცვლოდ კი, დავუშვათ, და თუ რუსეთი საქართველოს თავს დაესხა, მიუხედავად იმისა, რომ ნატოს წევრი ქვეყანა ვიქნებით, კოალიციიდან ერთი ჯარისკაციც კი არ იბრძოლებს ჩვენს დასაცავად და ამას ვერც მოვთხოვთ – ნატო გვეტყვის, რომ მე-5 მუხლის გარეშე კოალიციის წევრობა ჩვენივე სურვილი იყო...

ბერძენიშვილის გარდა, „თავი გამოიჩინა“ კიდევ ერთმა „რესპუბლიკელმა“, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა, რომლის თქმითაც, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და ერთ სახელმწიფოში ცხოვრების ერთადერთი გამოცდილება, რაც ჩვენ გვახსოვს, საბჭოთა კავშირია...

„ალიამ“ ლევან ბერძენიშვილთან დაკავშირება სცადა, თუმცა მისი მობილური ტელეფონი მომსახურების ზონიდან იყო გასული. ვცადეთ პაატა ზაქარეიშვილთან დარეკვაც. ამ შემთხვევაში ჩინოვნიკის ტელეფონი ჩართული იყო, თუმცა რეკვისა და მესიჯების მიუხედავად, მან ტელეფონს მაინც არ უპასუხა.

**„ალია“ უსაფრთხოების ექსპერტს, ნატოში საქართველოს ყოფილ წარმომადგენელ ვახტანგ მაისაიას** ესაუბრა:

— **ბატონო ვახტანგ, რამდენად რეალურია, საქართველო ნატოს წევრი გახდეს და მას კოალიციის მე-5 მუხლი არ შეეხოს? ეს ლევან ბერძენიშვილის სურვილია და მას მაგალითად დასავლეთ გერმანია მოჰყავს, რომელიც თავის დროზე ანალოგიური პირობით მიიღეს ნატოში.**

– დასავლეთ გერმანია, ანუ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა 1955 წელს მიიღეს ნატოში. მაშინ სხვა ვითარება იყო მსოფლიოში. აღმოსავლეთ გერმანია, ანუ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ვარშავის სამხედრო პაქტის წევრი იყო. გფრ-ს ამ სამხედრო ბლოკის, ასევე, გდრ-ის სამხედრო ძალების თავდასხმის საფრთხე ემუქრებოდა, ამიტომ გახდა ნატო-ს წევრი. მართალია, მე-5 მუხლი მას არ შეეხებოდა, თავდასხმის შემთხვევაში ნატო მას სამხედრო ძალებით ვერ დაეხმარებოდა, მაგრამ სხვა სახის ნებისმიერ დახმარებას აღმოუჩენდა. მაგრამ იმ დროს გფრ-ი ამერიკისა და დიდი ბრიტანეთის პატრონაჟის ქვეშ იმყოფებოდა, ნატოს იქ დიდი სამხედრო ბაზა ჰქონდა განთავსებული და ეს ფაქტორები გფრ-ზე სამხედრო აგრესიის მსურველებს აგრესიის განხორციელების საფრთხეს უკარგავდა. გფრ-ზე სამხედრო აგრესიის შემთხვევაში, ამერიკა, დიდი ბრიტანეთი და შესაძლოა, ნატოს წევრი სხვა ქვეყნებიც, მას დაიცავდნენ დამოუკიდებლად, არა როგორც ნატოს წევრი ქვეყნები. ეს იცოდნენ სსრკ-ს ხელმძღვანელებმა, ზოგადად, ვარშავის ბლოკის ხელმძღვანელებმა და ამიტომ ვერ ბედავდნენ გფრ-ზე თავდასხმას. ნატოს სამხედრო ბაზა ვახსენე და ესეც შემაკავებელი ფაქტორი იყო აგრესიის მოსურნეთათვის. დღეს სხვა ვითარებაა, საქართველო ნატოსთვის არ წარმოადგენს იმდენად მნიშვნელოვან ფაქტორს, როგორსაც დასავლეთ გერმანია წარმოადგენდა იმ დროს, როცა გამონაკლისის წესით მიიღეს ნატოში. თეორიულადაც კი წარმოუდგენლად მიმაჩნია, რომ ნატოს წევრები გავხდეთ და მე-5 მუხლი არ შეგვეხოს. გამოდის, რომ ჩვენ გამო, ნატომ საკუთარ პრინციპებზე უნდა თქვას უარი, რომელიც მხოლოდ ერთხელ, დასავლეთ გერმანიის შემთხვევაში დაარღვია და ეს მსოფლიო უსაფრთხოებისთვის იყო აუცილებელი. ნატომ წევრობის კანდიდატი ქვეყნების გაწევრიანების დასაჩქარებლად შემოიღო მაპ-ი, აიპაპი, სხვასაც ბევრს აკეთებს, მაგრამ რაც ლევან ბერძენიშვილმა განაცხადა, ამას არ გააკეთებს.

— **პოლიტიკურ კულუარებში იმასაც საუბრობენ, რომ ბერძენიშვილმა ხელისუფლების ლიდერთა სურვილი გაახმაურა და გარკვეული მოლაპარაკებები ამის თაობაზე ნატოს ხელმძღვანელობასთანაც აქვს ხელისუფლებასო.**

– ნატოში 4 წელი ვმუშაობდი, დღეს ამ ორგანიზაციის მკვლევარი ვარ და ვერც ლევან ბერძენიშვილი და ვერც ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები ვერ დამარწმუნებენ იმაში, რომ საქართველოს ნატო მე-5 მუხლის გარეშე მიიღებს წევრად. გეუბნებით, ეს თეორიულადაც კი დაუშვებელია, ამ საკითხს ნატო არც კი განიხილავს. საერთოდ, თუ შეწყდება ამ თემაზე ლაპარაკი და სპეკულაციები, კარგი იქნება.

— **რამდენად რეალურია, რომ ეს ლევან ბერძენიშვილის პირადი მისაზრება არ არის და ის ხელისუფლების გარკვეული წრეების მოსაზრებას ახმაურებს?**

– არაფერს გამოვრიცხავ, თუმცა, არც ეგ ცვლის მთავარს. რაც ბერძენიშვილმა განაცხადა, ეს საფუძველს მოკლებულია და ნატოს ხელმძღვანელები ამ თემაზე სასაუბროდ საქართველოს ხელისუფლებას არც კი დაუჯდებიან.

— **ბატონო ვახტანგ, სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ შედიოდაო. მისი ეს განცხადებაც ნატოს ხომ არ უკავშირდება? ჩვენში ბევრი მიიჩნევს, რომ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის გარეშე უპრობლემოდ მიგვიღებენ, რადგან ამით რუსეთთან კონფლიქტური რეგიონების პრობლემა ავტომატურად გადაიჭრებაო.**

– ასეთი თეზისი არსებობს და საქართველოს აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის გარეშე ნატოში გაწევრიანებას მხარს ე.წ. ლიბერტალიანელები უჭერენ, რომლებიც ფაქტობრივად, 21-ე საუკუნის ფაშიზმთან ასოცირდებიან. ამ ჯგუფს სათავეში გიგა ბოკერია და „ნაცმოძრაობის“ რადიკალური ფრთის სხვა ლიდერები უდგანან. ისინი ცდილობენ, საზოგადოება დაარწმუნონ, რომ ამ ორი რეგიონის გარეშე ნატოში უყოყმანოდ მიგვიღებენ და ორივე რეგიონი სასწრაფოდ მოსაშორებელია. ასეთი შეხედულება არის დანაშაული, საკითხისადმი არასახელმწიფოებრივი მიდგომა. ბატონი პაატას მიმართ ჩემი დიდი პატივისცემის მიუხედავად, ეს არის არასწორი განცხადება. მას და სხვებსაც შევახსენებ, რომ 1990 წელს საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობის დეკლარაცია, მაშინ საქართველოს დამოუკიდებლობა დე ფაქტოდ ცნო საერთაშორისო საზოგადოებამ, შემდეგ უკვე, როცა საბჭოთა კავშირი დაიშალა, საქართველო გახდა გაეროს წევრი და ასზე მეტმა ქვეყანამ აღიარა მისი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრივი მთლიანობა, ცხადია, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ჩათვლით. დღესაც, აფხაზეთიც და ცხინვალის რეგიონიც საქართველოს განუყოფელი რეგიონებია, აბსურდია, რომ ნატოში მათ გარეშე ვინმე სასწრაფოდ მოგვიღებს. ეს სრულიად უსაფუძვლო აზრია.









ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი...

## სანდრო ბრეგაძე: პაატა ზაქარეიშვილის განცხადება სახიფათოა ქართული სახელმწიფოებრიობისთვის



დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის მოადგილე სანდრო ბრეგაძე პაატა ზაქარეიშვილის განცხადებას აფხაზეთის დამოუკიდებლობის შესახებ არაადეკვატურს უწოდებს.

სანდრო ბრეგაძის თქმით, თუ პაატა ზაქარეიშვილის განცხადება ინტერპრეტირებული არ არის, მაშინ ის საფრთხეს უქმნის ქართულ სახელმწიფოებრიობას.

– პირველ რიგში, მინდა ვიფიქრო, რომ ბატონი პაატა ზაქარეიშვილის განცხადება არასწორი ინტერპრეტაციითაა გაგებული, მაგრამ თუკი მართლაც ასეთი რამ განაცხადა, ვფიქრობ, რომ საქმე გვაქვს ელემენტარულად ისტორიის არც ისე კარგ ცოდნასთან. ამავე დროს, ვფიქრობ, რომ ეს არის არაადეკვატური და მეტად სახიფათო განცხადება ქართული სახელმწიფოებრიობისთვის.

პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ ვინც ისტორიაში ოდნავ მაინც ჩახედულია, მან კარგად იცის, რომ ქართველ მეფეებს მუდმივად ეწოდებოდათ ქართველთა და აფხაზთა მეფე და აფხაზეთი მუდმივად იყო საქართველოს შემადგენლობაში. აქედან გამომდინარე, რა თქმა უნდა, აფხაზეთი არის ძირძველი ქართული ტერიტორია და ნებისმიერი ადამიანი, ვინც სვამს საკითხს, რომ აფხაზეთი არ არის საქართველოს ძირძველი ტერიტორია, მას პირდაპირ დავაყენებდი იმ ადამიანთა რიგებში, როგორიც იყო სერგო ორჯონიკიძე, – განაცხადა სანდრო ბრეგაძემ.

შეგახსენებთ, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრმა პაატა ზაქარეიშვილმა განაცხადა, რომ „აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა და ერთ სახელმწიფოში ცხოვრების ერთადერთი გამოცდილება, რაც ჩვენ გვახსოვს, საბჭოთა კავშირია“. მინისტრი აუცილებლად მიიჩნევს მსჯელობას იმის შესახებ, რა სახით წარმოგვიდგენია აფხაზეთი დანარჩენი საქართველოს შემადგენლობაში. თუმცა ის ხაზს უსვამს, რომ ფედერაციული მოწყობა ძალიან შორეული პერსპექტივაა და დღევანდელი მთავრობა ამაზე არ მსჯელობს.

– მე, როგორც მინისტრი, ამას ვერ მოვესწრები. ჩვენი ამოცანაა დღევანდელი დღე – ჯანდაცვა, ადამიანის უფლებების დაცვა კონფლიქტის ზონაში, რუსეთთან ურთიერთობები. დღეს ჩვენი ხელისუფლების ამოცანა არის არა სტატუსის განსაზღვრა, არამედ მთავარი ამოცანაა, რამე შეცდომა არ დავუშვათ და რუსეთმა ახალ პროვოკაციაში არ ჩაგვითრიოს. სულ ასე არ იქნება. საქართველო მშვიდობიანად განვითარდება, გახდება ევროპული სახელმწიფო და მერე დაუდგება სტატუსის განსაზღვრის ამოცანა. მანამდე საზოგადოებაში უნდა იყოს მსჯელობა ამ თემაზე და არა მთავრობაში. საზოგადოება მომწიფებული უნდა იყოს იმ დროისთვის, როცა დადგება საკითხი – როგორი მოწყობა გვინდა საქართველოში. ჩვენ გვაქვს ერთადერთი გამოცდილება აფხაზეთთან ერთად სახელმწიფოს მოწყობისა – ეს არის საბჭოთა კავშირი. რა იყო დავით აღმაშენებლის დროს, მე არ ვიცი და სხვა გამოცდილება ჩვენ არ გვაქვს. აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში არ ყოფილა. ჩვენს თაობას არ გვახსოვს, ყოველ შემთხვევაში, ანუ დღევანდელ ევროპულ რეალობაში ეს არ ყოფილა. ამიტომ გვინდა, ერთია და როგორ ვაპირებთ, აფხაზეთის საქართველოს შემადგენლობაში დაბრუნებას, მეორე და საზოგადოება ამაზე უნდა მსჯელობდეს, – განაცხადა ზაქარეიშვილმა. (რეპორტიორი)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## ბუნების 10 საოცრება, რომელიც მალე გაქრება



ტურისტულმა პორტალმა „Budget Travel"-მა, გაქრობის პირას მისული ბუნების 10 საოცრების ნუსხა გამოაქვეყნა. მათი განადგურების თარიღად მეცნიერები 2030 წელს ასახელებენ. გთავაზობთ მათ ჩამონათვალს:

1. ბელიზის ბარიერული რიფი მნიშვნელოვნად დაზარალდა. მრავალ ადგილას მან მარჯნების 50% დაკარგა, ისინი გაუფერულებას ამ დრომდე განაგრძობენ. ამის მიზეზი გლობალური დათბობაა.

2. კონგოლეზის ღრმული. ეს ამაზონის შემდეგ სიდიდით მეორე მასივია, რომლის ფლორისა და ფაუნის ორი-მესამედი 2040 წლისთვის, გაეროს დასკვნის თანახმად, განადგურდება. მისი გადარჩენა მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი, თუ გარემოს დამცველები ეფექტურ ღონისძიებებს გაატარებენ. ამჟამად ტყეებს ინტენსიურად ჩეხენ, რადგან ფერმერები პირუტყვისთვის საძოვრის ნაკლებობას განიცდიან. აფრიკაში მაღაროების ინტენსიური მშენებლობა მიმდინარეობს.

3. მკვდარი ზღვა – ბოლო 40 წლის განმავლობაში მისი მოცულობა მესამედით შემცირდა, ზღვის დონემ კი 24 მეტრით დაიკლო. შედეგად, დაახლოებით 50 წელიწადში მკვდარი ზღვა აღარ იარსებებს. ამასთანავე, კოსმეტიკის მწარმოებლები ზღვის ფსკერის მინერალურ მარაგს ანადგურებენ.

4. ევერგლეიდსის ეროვნული პარკი (აშშ, ფლორიდა). ფლორიდის პარკის ტერიტორია ერთადერთი ადგილია, სადაც ფლორიდული პანტერა ბინადრობს, პარკის მოცულობა უკვე 60%-ით შემცირდა.

5. მადაგასკარი – თუკი ამ აფრიკული სახელმწიფოს ტყეების გადარჩენაზე არ იზრუნებენ, 35 წელიწადში ისინი მთლიანად გაიჩეხება და დაიწვება. მადაგასკარის მკვიდრნი კი დაიღუპებიან.

6. მალდივის კუნძულები – თუკი გლობალური დათბობის პროცესი გაგრძელდება, ეს კუნძულები, რომლებიც ზღვის დონიდან დაახლოებით 2 მეტრის სიმაღლეზე მდებარეობს, ჩაიძირება.

7. ჩრდილოეთ და სამხრეთ პოლუსები – გლობალური დათბობა განადგურებით ანტარქტიდის პინგვინების 80%-ს ემუქრება. არქტიკაში მათ ბედს თეთრი დათვებიც გაიზიარებენ. პოლარული ყინულის დადნობასთან ერთად, ეკოსისტემები ილუპება. 20-40 წლის შემდეგ ანტარქტიდაში ყინულის ახალი მასივები აღარ შეიქმნება.

8. ვეფხვების პოპულაცია – ვეფხვების ნახევარზე მეტი ინდოეთის ბინადარია. მსოფლიოში მათი რაოდენობა ამჟამად 3200-ია. ვეფხვები, შესაძლოა, 12 წელიწადში მთლიანად განადგურდნენ. მარტო ჩინური ტრადიციული მედიცინის საჭიროებისთვის დღე-ღამეში, საშუალოდ, თითო ვეფხვს კლავენ.

9. ტაჰუამანუს ჯუნგლები (პერუ) – პერუს პროვინციაში მადრე დე დიოსში

წითელი ხის მარაგი მოიპოვება. წითელი ხე ტაჰუამანუს ჯუნგლებში ხარობს. უკანონო ჩეხის გამო ხეების რაოდენობა დღითი დღე ნადგურდება. მხოლოდ აშშ წითელი ხის 80%-ს მოიხმარს. ხისგან ავეჯს ამზადებენ.

10. მდინარე იანძის აუზი – მკვლევარებმა აღიარეს, რომ ამ რეგიონში არსებული ფლორა და ფაუნა სერიოზული საფრთხის წინაშე დგას. მაგრამ ტურისტების მიერ დახარჯულმა თანხებმა, შესაძლოა, ბუნება განადგურებისგან იხსნას. (ambebi.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ფაქტი...

## „ერთი ადამიანის განკურნებამ ბოროტებათა კასკადი არ უნდა წარმოშვას"

უნდა შეიცვალოს თუ არა კანონი ორგანოთა გადანერგვის შესახებ?! ამ საკითხზე მედიკოსთა შორის განსხვავებული მოსაზრებებია. მთავარი საფრთხე, რაც ცოცხალი დონორების წრის გაფართოებას შეიძლება მოჰყვეს, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობაა. უფრო მეტიც, ამ ეტაპზე ესპანეთში მიმდინარეობს სისხლის სამართლის საქმე, რადგან აღმოაჩინეს, რომ კონკრეტული ბანდა აიძულებდა ადამიანებს, თავიანთი ორგანოები თანხის სანაცვლოდ ჩაებარებინათ და ის თანხა ამ დაჯგუფებისთვის მიეტანათ.

„ეს ის რეალობაა, რომელსაც ევროპა აწყდება", – აცხადებს მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს ტრანსპლანტოლოგთა ასოციაციის პრეზიდენტი, ქირურგი გია თომაძე, რომელიც 2000 წელს ტრანსპლანტოლოგიის შესახებ კანონის დაწერაში მონაწილეობდა.

თომაძის თქმით, ევროკავშირის ქვეყნებში კანონმდებლობა ცოცხალი დონორიდან ტრანსპლანტაციის შესახებ საკმაოდ ლიბერალურია, თუმცა განვითარებულ ქვეყნებშიც არ არიან დაცულნი ადამიანის ორგანოებით ვაჭრობის საფრთხისგან. მისი თქმით, თუ დონორთა წრე არ იქნება განსაზღვრული, საბჭოს, რომელიც ცოცხალი დონორის ორგანოს გამოყენების უფლებას გასცემს, გაუჭირდება, დაადგინოს, ნამდვილად არსებობს თუ არა ემოციური კავშირი (მაგალითად, მეგობრობა, ან სულაც ალტრუიზმი) პაციენტსა და დონორს შორის, თუ ფინანსურ გარიგებას აქვს ადგილი.

საქმე ისაა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი „ლევან გვათუა საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ". 31 წლის ლევან გვათუას სასწრაფოდ ესაჭიროება ღვიძლის გადანერგვა. საქართველოს კანონმდებლობა მას ღვიძლის გადანერგვის საშუალებას მხოლოდ იმ შემთხვევაში მისცემს, თუ ცოცხალი დონორი მისი ნათესავი იქნება. ასეთი ნათესავი კი ლევან გვათუას არ ჰყავს. იმ ნათესავების მონაცემები, ვინც გვათუას ჰყავს, არ არის შეთავსებადი პაციენტის ღვიძლთან და მისი სიცოცხლე საფრთხის ქვეშაა, ვინაიდან საზღვარგარეთ მკურნალობისთვის ფინანსური სახსრები არ აქვს, ხოლო გარეშე პირის ღვიძლის გადანერგვა იმ შემთხვევაშიც არ შეუძლია, თუკი მას დონორობის მსურველი ეყოლება. ამიტომ ლევან გვათუას ბედი ახლა საკონსტიტუციო სასამართლოზეა დამოკიდებული.

ამ შემთხვევაში, ერთმანეთთან წინააღმდეგობაში მოდის ორი მნიშვნელოვანი საკითხი: ლევან გვათუას სიცოცხლის გადარჩენა და საზოგადოებრივი უსაფრთხოება, რადგან დონორთა წრის გაფართოება საფრთხის ქვეშ აყენებს ადამიანთა უფლებებს, დაცულნი იყვნენ ორგანოთა ტრეფიკინგისგან. ეს მაშინ, როცა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა 6-დან 9 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ისჯება, მრავალჯერადი ქმედების შემთხვევაში 8-დან 12 წლამდე, ხოლო ორგანიზებული ჯგუფის მიერ ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა – 11-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით...

რა საფრთხეს შეიცავს ცოცხალი დონორების წრის გაფართოება?! დამოუკიდებელი სასამართლო ექსპერტიზის ცენტრ „ვექტორის" ხელმძღვანელის, ალექსანდრე გეჯაძის განცხადებით, ცოცხალი დონორების წრის გაფართოება სამომავლოდ პრობლემა გახდება არა მარტო ჩვენთვის, არამედ ეს უკვე პრობლემად იქცა ევროპის წამყვან ქვეყნებშიც, სადაც სწორედ ამ კონტექსტში ხდება კრიმინალური ინციდენტები. უბრალოდ,



აქ მასშტაბებზეა საუბარი. საქართველოში შეიძლება მასშტაბი დიდი იყოს, რადგან უცხოეთში სამართლებრივად მაინც რეგულირდება ეს სფერო. ამდენად, გეჯაძე მიიჩნევს, რომ ერთი ადამიანის განკურნებამ ბოროტებათა კასკადი არ უნდა წარმოშვას.

ექსპერტი არ გამორიცხავს საქართველოში ადამიანთა გატაცებასა და კრიმინალის ზრდას, რადგან სოციალური გაჭირვებისა და შიმშილის ფაქტორის გათვალისწინებით, დანაშაულის ჩადენის ალბათობის ხარისხი სოციალურად გაღატაკებულ ქვეყნებში უფრო მაღალია, ვიდრე ცივილიზებულ ქვეყნებში.

„ტრანსპლანტაციის კუთხით საქართველო ახლა დგამს პირველ ნაბიჯებს და, ვინც არ უნდა გითხრათ, რომ ჩვენ ვაკეთებთ ოპერაციებს ღვიძლისა და სხვა ორგანოების გადანერგვასთან დაკავშირებით, ეს საქართველოსთვის მაინც უცხო ხილია. კი ბატონო, თირკმლის გადანერგვაზე მუშაობენ, მაგრამ დანარჩენი ორგანოების გადანერგვის კუთხით არანაირი რეალური სტატისტიკური ინფორმაცია არ არის, რადგან თითო-ოროლა ოპერაცია კეთდება და ისიც თურქეთიდან ან ევროპიდან ჩამოსული ამ პროფილის მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მეშვეობით. ეს ტრანსპლანტაციის პრობლემის ერთი მხარეა და მეორე მხარეა, რომ ავადმყოფი, ვისაც ტრანსპლანტაცია სჭირდება, ზოგჯერ გენეტიკური შეუთავსებლობის გამო წლობით ელოდება გადასანერგ ორგანოს. აქედან გამომდინარე, თუკი პიროვნების სიცოცხლე თვეებს ითვლის და ამ ორგანოს მოძიება წლობით იჭიმება, შესაბამისად, მატულობს იმის რისკი, რომ ამა თუ იმ კრიმინალურმა ჯგუფებმა კრიმინალური, არასამართლებრივი გზებით განახორციელონ პაციენტის „დახმარება" და ცალკეულმა პირებმა ამ საქმით ხელი მოითბონ. საქართველოს მდგომარეობას თუ გავითვალისწინებთ, როცა ადამიანებს ბავშვების შესანახად პურის ფული არ აქვთ, შეიძლება მივიდნენ უკიდურესობამდე და ორი თირკმლიდან ერთი თირკმელი ტრანსპლანტაციის მიზნით გაიმეტონ, ან მისცენ ღვიძლის ნაწილი", – აცხადებს გეჯაძე და მიიჩნევს, რომ ამ რთული თემის გადაწყვეტა მარტო რომელიმე „ენჯეოს" ან კერძო სტრუქტურის ინიციატივით არ უნდა განიხილებოდეს, არამედ ეს სამართალდამცავი სტრუქტურების, ჯანდაცვის წარმომადგენლებისა და არასამთავრობოების ერთობლივი მუშაობით უნდა გადაწყდეს. (for.ge)

ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა... ფაქტი... ამბავი... მოვლენა...

## 10 000-ზე მეტი სოციალურად დაუცველი თბილისელი უფასო სასადილოებით ვერც 2016 წელს ისარგებლებს



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო" თბილისში უფასო სასადილოების თემით დაინტერესდა და არსებული მდგომარეობა შეისწავლა. ორგანიზაციის ინფორმაციით, 2015 წელს თბილისის 10 რაიონში 60-ზე მეტი უფასო სასადილო ყოველდღიურად 32 157 სოციალურად დაუცველ ადამიანს უწევს მომსახურებას. „სასადილოს მომსახურებით სარგებლობა ბენეფიციარს დღეში ერთხელ შეუძლია. დღიურად თითოეული ბენეფიციარის გამოკვების ზედა ზღვარი 1.18 ლარია, თუმცა თბილისის არაერთი რაიონის გამგეობამ უფრო დაბალფასიანი მომწოდებლებიც გამოავლინა.

2016 წლის თბილისის ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, უფასო სასადილოების დაფინანსება 407.9 ათასი ლარით 13.89 მილიონიდან 14.29 მილიონამდე იზრდება, რაც დამატებით მხოლოდ 1 402 ადამიანს მისცემს ამ მომსახურებით სარგებლობის საშუალებას, მაშინ როცა დაახლოებით 10,500 ადამიანი კვლავ განუსაზღვრელი დროით რჩება საკვების მოლოდინში. მომლოდინე ადამიანების რიცხვი კი ყოველდღე იზრდება. ჩვენი გათვლებით, მომლოდინეთა სიებში არსებული პირების, ანუ თბილისის ყველა იმ მოქალაქის გამოსაკვებად, რომელიც უფასო სასადილოს მომსახურებით არის დაინტერესებული, წელიწადში დაახლოებით 4.5 მილიონი ლარის დამატებაა საჭირო, რაც თბილისის 810-მილიონიანი ბიუჯეტისთვის დიდ ტვირთს არ უნდა წარმოადგენდეს.

### უფასო სასადილოების მომსახურება: წინ გადადგმული ნაბიჯები

სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ თბილისში უფასო სასადილოების დაფინანსება 2016 წელს 2013 წელთან შედარებით 93.5%-ით იმატებს, რაც მნიშვნელოვანი ზრდაა. ამასთანავე, როგორც არაერთ ბენეფიციართან გასაუბრებამ გვაჩვენა, გაუმჯობესდა საკვების ხარისხი და სანიტარიული პირობები. მიუხედავად ამისა, 2016 წელს, როგორც აღვნიშნეთ, დაახლოებით 10 500 ადამიანი კვლავ განუსაზღვრელი დროით რჩება საკვების მოლოდინში.

თბილისის ათივე რაიონში უფასო სასადილოებით მომსახურების შესახებ ჩვენმა კვლევამ შემდეგი ხუთი პრობლემა გამოკვეთა:

1. საკვების გარეშე დარჩენილი უმწეო ადამიანები დამატებით და სარეზერვო სიებში. არსებული მდგომარეობით, თბილისის ათ რაიონში მომლოდინეთა რიგებში დაახლოებით 12 000 ადამიანია, ვინც უფასო სასადილოების მომსახურების მიღებას ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე ვერ ახერხებს. როდესაც ძირითად სიას აკლდება სოციალურად დაუცველი მოქალაქე გარდაცვალების, სოცსტატუსის ცვლილების ან გაცდენების გამო (ათ გაცდენაზე მეტის შემთხვევაში), მის ადგილს სარეზერვო სიის ბენეფიციარი იკავებს. ამდენად, მომლოდინეთა სიებში მყოფი ადამიანები თავის რიგს ხშირად თვეობით ან წლობით ელოდებიან.

თბილისის რაიონების გამგეობებს მომლოდინე ადამიანები დამატებით და სარეზერვო სიებში ჰყავთ შეყვანილი. დამატებით სიაში მყოფ სოციალურად დაუცველ მოქალაქეებს მომსახურების მიღება იმ შემთხვევაში შეუძლიათ, თუ საკვები ძირითადი სიის ბენეფიციარების დაკმაყოფილების შემდეგ დარჩება, თუმცა სარეზერვო სიის ბენეფიციარები ამგვარი უფლებით არ სარგებლობენ. დამატებით სიაში მყოფი ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა მომსახურებას ვერ იღებს, ვინაიდან საკვები უფასო სასადილოებში ძირითადად არ რჩება. ამის გამო, დამატებითი სიის ბენეფიციარების აბსოლუტური უმრავლესობა უფასო სასადილოებს არ აკითხავს.

2. ბიუროკრატიული დაბრკოლებები: უფასო სასადილოს მომსახურების მისაღებად დასარეგისტრირებლად საჭიროა მთელი რიგი საბუთები, კერძოდ: სარეიტინგო ქულის შესახებ ამონაწერი სოციალური მომსახურების სააგენტოდან; 6-18 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის დაბადების მოწმობის ასლი; ნათესაური კავშირის დამადასტურებელი საბუთის ასლი (ქორწინების ან ჯვრისწერის მოწმობა) თუ ბენეფიციარს ოჯახის წევრისთვის სურს საკვების წაღება.

3. სპეციალისტების დასკვნების საფუძველზე მიზანშეუწონლად ჩაითვალა ექვს წლამდე ასაკის ბავშვებზე უფასო სასადილოების მომსახურების გავრცელება, რაც მძიმე ტვირთად აწვება აღნიშნული ასაკის ბავშვების სოციალურად დაუცველ ოჯახებს.

4. საბურთალოსა და ისნის რაიონები: ამ რაიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა ძირითადი სიის ბენეფიციარების რაოდენობა, მაშინ, როცა დადებული ხელშეკრულებები ვერ უზრუნველყოფს ბენეფიციარების არსებული კონტინგენტის მოცვას.

### რეკომენდაციები

ჩამოთვლილი პრობლემების შესამსუბუქებლად, ჩვენი აზრით, შემდეგი ნაბიჯები უნდა გადაიდგას: თბილისის მერიამ გაზარდოს თბილისის ათივე რაიონის გამგეობების უფასო სასადილოების ქვეპროგრამების დაფინანსება, რაც, გამგეობების სოციალური სამსახურების მიერ მოწოდებულ ინფორმაციაზე დაფუძნებული ჩვენი გათვლებით, წელიწადში 4.5 მილიონი ლარის დამატებას ითხოვს, რათა 10 500 ადამიანი, ვინც 2015 წლის 16 ნოემბრის მდგომარეობით სარეზერვო და დამატებით სიებშია, ძირითად სიებში იქნან გადაყვანილი; მნიშვნელოვანია, თბილისის რაიონების სოციალურმა განყოფილებებმა მოიპოვონ სოციალური მომსახურების სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ბაზებთან წვდომა, რათა სოციალური პრობლემებით დამძიმებულ ბენეფიციარებს ეს ბიუროკრატიული აუცილებლობა თავიდან აარიდონ. არაერთი ბენეფიციარი სწორედ ამ ბიუროკრატიული პროცედურების გამო ვერ ახერხებს მომსახურებისთვის რეგისტრაციას;

ჩვენთვის აბსოლუტურად გასაგებია, რომ მოქალაქისთვის უფასო სასადილოების მომსახურების გასაწევად აუცილებელია გადამოწმება, აკმაყოფილებს თუ არა ის დადგენილ კრიტერიუმებს, თუმცა ამის გაკეთება თავად რაიონების სოციალურ განყოფილებებს საკმაოდ მარტივად შეუძლიათ; თბილისის მერის ბრძანებით (თბილისის მერის 2014 წლის 26 ნოემბრის ბრძანება №1879) განსაზღვრული ხელშეკრულებით აუცილებელია, მოხდეს უფასო სასადილოებით მომსახურების მიმწოდებლების ვალდებულებებისა და სანქციების უფრო მკაფიო დეტალიზება, რათა მინიმუმამდე შემცირდეს საკვების/მომსახურების ხარისხის გაუარესების რისკები;

უფასო სასადილოების ქვეპროგრამები მენიუს შესაბამისი ცვლილებების შემდეგ გავრცელდეს ექვს წლამდე ასაკის ბავშვებზე, რამაც შესაძლოა, ხელახალი სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება მოითხოვოს. როგორც აღვნიშნეთ, ექვს წლამდე ასაკის ბავშვების ქვეპროგრამიდან ამორთვა მძიმე ტვირთად აწვება ამ ასაკის ბავშვების სოციალურად დაუცველ ოჯახებს", – ნათქვამია ინფორმაციაში. (ნიუპოსტი)

# როგორ წვრთნიდნენ „ჯიჰადისტებს“ ბათუმში: წვრთნებში მონაწილე ახალგაზრდების მონათხრობი

„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გამოქვეყნებული ქართულენოვანი ვიდეომუქარის შესახებ საუბარი არ წყდება. „ambebi.ge“ დაუკავშირდა ახალგაზრდებს, რომლებიც იმ საცხოვრებელში ცხოვრობდნენ, სადაც ამ ვიდეოს ერთ-ერთი ავტორი ხვიჩა გობაძე არაბულს სწავლობდა და ეგვიპტეში წასასვლელად ემზადებოდა. რომ არ მოხდეს წყაროების იდენტიფიკაცია, არ ვუთითებთ ინფორმაციას იმის შესახებ, როგორ მოხვდა ერთი არასრულწლოვანი და ერთი სრულწლოვანი ჯიჰადისთვის მოსამზადებელ საცხოვრებელში. გთავაზობთ 21 წლის ზურასა და 24 წლის დავითის მონათხრობს (სახელები შეცვლილია).

**ზურა, 21 წლის:**

„ხვიჩა გობაძე ბათუმში იმ თავშესაფარში ცხოვრობდა, სადაც მეც აღმოვჩნდი. მშვიდი ადამიანი ჩანდა, ისეთი განსაკუთრებული არაფერი გაუკეთებია, რომ დამმახსოვრებოდა. არაბულში მეცადინეობდა და ლოცულობდა. გარკვეული პერიოდის შემდეგ ის პანკისში წავიდა, შემდეგ ისევ ბათუმში დაბრუნდა და ყურანის ძირფესვიანად შესასწავლად არაბეთში გასამგზავრებლად შეუდგა სამზადისს. ხვიჩა ეგვიპტეში წავიდა, ჩვენი მწვრთნელი თემურ ბახუნტარაძე ხშირად ამბობდა, რომ ხვიჩა კარგად ითვისებდა არაბულს და მალე განათლებული დაბრუნდებოდა. მათთან ერთად გარკვეული პერიოდის განმავლობაში ვცხოვრობდი. შემდეგ მივხვდი, რომ რასაც ისინი აკეთებდნენ, ჩემი საქმე არ იყო და საცხოვრებელი დავტოვე. 2012 წლის სექტემბერში ბახუნტარაძის დაკავების შესახებ ტელევიზიით გავიგე. რამდენიმე დღის წინ, როცა ხვიჩას ვიდეომიმართვა გავრცელდა, მივხვდი, რა შარშიც შეიძლებოდა გავხვეულიყავი. როგორც ხვიჩას გადაუტრიალეს გონება, ალბათ, მეც იგივე მელოდა...

ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე და ძველი ბათუმის უბანში, ქუთაისის ქუჩაზე 10-15 ადამიანისთვის თავშესაფრები იყო გახსნილი. თავიდან არ მომეწონა სიტუაცია, ვამბობდი, დღეს წავალ, ხვალ წავალ-თქო, მაგრამ ამ ძახილში დროც გავიდა, ბინის დაქირავებაც ვერ შევძელი და სიტუაციასაც შევეგუე. რაღაცნაირი მიდგომა ჰქონდათ, მათ მიერ არჩეული გზის სისწორეში მარწმუნებდნენ და ისეთ გარემოს მიქმნიდნენ, როგორიც მჭირდებოდა. ამ ბინებში მცხოვრებთა უმეტესობა მოჭიდავე იყო. კომფორტში ვცხოვრობდით, გათბობით დაწყებული, ხორცითა და სხვა ჩვენთვის საჭირო საკვებით დამთავრებული, ყველაფერი უფასოდ გვქონდა. თავიდან რაც მევალებოდა, ეს იყო, ნამაზი (ლოცვა) არ გამეცდინა, ალკოჰოლი არ მიმეღო და მევარჯიშა. სპორტსმენი ვიყავი და ალკოჰოლს ისედაც არ ვეკარებოდი, ვარჯიში ჩემი საქმე იყო, ძალიან მორწმუნე მუსლიმანი და მლოცავ-მკითხავი არ ვყოფილვარ, მაგრამ იმ პირობებიდან გამომდინარე, დღეში ხუთი ლოცვის შესრულება ჩემთვის პრობლემას არ წარმოადგენდა.

ლოცვა ბავშვობაში ბაბუაჩემმა მასწავლა, მაგრამ ლოცვები ამ საცხოვრებელში განსხვავდებოდა სუნიტი მუსლიმანების ღვთისმსახურებისგან. ზოგიერთმა ეჭვი შეიტანა, ასე ვაჰაბისტები ლოცულობენ და ჩვენ რა შუაში ვართო. ფიზიკური მომზადების მწვრთნელმა თემურ ბახუნტარაძემ ნახევრად ხუმრობით აგვიხსნა: „ჩვენ რაის ვაჰაბისტები ვართ, ვაჰაბისტები არა, ტრაქტორისტები, ფეილამბერი (მუჰამედ შუამავალი) ასე ლოცულობდა და ჩვენც ასე უნდა ვილოცოთო“. მეც ვიფიქრე, რომ მწვრთნელი თემურ ბახუნტარაძე და მირზა მიქატაძე, რომელიც ფსიქოლოგიურ გაკვეთილებს გვიტარებდა, უფრო განათლებულები იყვნენ, კარგად ესმოდათ ისლამი, ამიტომ მათსავით დავიწყე ლოცვა. გვიან გავიგე, რომ მართლა ისე ვლოცულობდით, როგორც ვაჰაბისტები. ჩვენი საცხოვრებლის ერთი ოთახის კედელზე გაკრული იყო შავი დროშა არაბული წარწერებით. ასეთივე დროშებს აფრიალებდნენ იმ ვიდეოებში, რომელსაც ჩვენ ინტერნეტით ვუყურებდით. ამ დროშას ახლა „ისლამური სახელმწიფოს“ დროშას უწოდებენ, მაგრამ მაშინ არ ვიცოდი, რას წარმოადგენდა „ისლამური სახელმწიფო“ და არც ამ დროშით დავინტერესებულვარ.

საცხოვრებელში გვქონდა ინტერნეტში ჩართული კომპიუტერები. მისვლის დღესვე ვნახე, რომ ბიჭები დატყვევებული ადამიანებისთვის ყელის გამოჭრის ვიდეოებს უყურებდნენ. ყველა ჩაცუცქული იყო კომპიუტერთან, საიდანაც ხან სროლის ხმა გამოდიოდა, ხან ტირილის, ხან კივილის და ასე შემდეგ. ეს იყო ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც არ მომეწონა იმ სახლში ცხოვრება. ვეკითხებოდი, რაში სჭირდებოდათ ასეთი ძალადობის ყურება. შემდეგ შევეჩვიე და მეც გავხდი ამ ვიდეოებზე „დამოკიდებული“. როცა მწვრთნელი იტყოდა, ახალი ვიდეო გამოვიდა და თუ გაინტერესებთ, ნახეთო, რა საქმითაც არ უნდა ვყოფილიყავით დაკავებული, ვწყვეტდით და სწრაფად ვრთავდით კომპიუტერებს. საცხოვრებელში მისვლის შემდეგ ნელ-ნელა შევწყვიტე ჩემს პირველ მწვრთნელთან სპორტდარბაზში სიარული. აღარ მეცალა იქ წასასვლელად, ან ვიდეოებს ვუყურებდი, ან საჭმელს ვაკეთებდი, ან საცხოვრებელში ვვარჯიშობდი. თემურ ბახუნტარაძე 24 საათის განმავლობაში ჩვენთან ერთად იყო. მან მითხრა, არ გჭირდება სპორტდარბაზში სიარული, მე გავარჯიშებო. ღამღამობით მივყავდით დარბაზში და გვავარჯიშებდა. შემდეგ ხიჯამის მეთოდზე გადაგვიყვანა. ფეხზე აპარატი დაგვიმაგრა, რომელსაც, როგორც აგვიხსნა, „ბინძური“ სისხლი გამოჰქონდა ორგანიზმიდან. ამბობდა, რომ ამ მეთოდით სახსრების შეფსკვნას ავიცილებდით თავიდან. ჩემს პირველ მწვრთნელს ხიჯამის მეთოდი სასიკეთოდ არ მიაჩნდა და მიკრძალავდა, რის გამოც მასთან აღარ დავდიოდი სავარჯიშოდ.

მირზა მიქატაძე პერიოდულად მოდიოდა ჩვენთან. ის „ბეითების“ (რელიგიური სიმღერები) ავტორია. „ბეითებს“ ჩვენც ხშირად ვუსმენდით და მოგვწონდა. მირზა მოგვიყვა, რომ ადრე ის მართლმადიდებელი ქრისტიანი იყო, კიბოთი დაავადდა, მაგრამ სიკვდილს იმით გადაურჩა, რომ მუსლიმანების მიერ მიცემული უებარი წამალი მიიღო, ალაჰი იწამა და ღვთისმსახურებითა და რწმენით გაუმკლავდა დაავადებას. თუ არ ვცდები, მირზა იმ წამალს „ტმინს“ ეძახდა, საკმაოდ რთულად დასალევი ზეთივით სითხე იყო. ამბობდა, რომ, თუ რაიმეს გაიჭრიდი, „ტმინს“ წაისვამდი და მოგარჩენდა. „ტმინი“ ჩვეულებრივ სითხის შესანახ ჭურჭელში ესხა. ხან გვთავაზობდნენ, ხან კი, როცა გვახსენდებოდა, ვსვამდით. ვფიქრობდით, რომ გაგვაძლიერებდა, მაგრამ დღემდე არ ვიცი, რა ეფექტი ჰქონდა. მირზამ გვითხრა, რომ „ტმინი“ ყვავილისგან მზადდებოდა, რომელიც მხოლოდ არაბეთში ხარობდა. „ბეითების“ ავტორი გვიხსნიდა, რომ ალაჰი ქადაგებდა სწორი გზით სიარულს და მორწმუნეებს ერთ გუნდად შეკვრისკენ მოგვიწოდებდა. მხოლოდ ერთის, ალაჰის უნდა გეშინოდეთ, მოკვდავების მიმართ შიში არ უნდა გქონდეთო.

დაჩოქილი ადამიანების დახოცვის ვიდეოების ნახვას ისე შევეჩვიე, რომ ყელის გამოჭრის მომენტსა და სისხლების დანთხევაზე თვალს აღარ ვხუჭავდი. ჩვენს საცხოვრებელში სტუმარი მოვიდა. ეს კაცი სირიაში გადაღებულ იმ ვიდეოებზე ფიგურირებდა, რომელსაც ჩვენ გვაყურებინებდნენ. საბრძოლო ფორმაში ჩაცმული კაცი ვიდეოებზე სულ იარაღით ჩანდა და ისროდა. არ ვიცი, კლავდა თუ არა ვინმეს. სირიაში წასვლა ყველას გვინდოდა, მაგრამ გვეუბნებოდნენ, რომ ჩვენს „დროს“ უნდა დავლოდებოდით. გვჯეროდა, რომ სირიაში ჩვენს თანამოძმეებთან ერთად ბრძოლაში თუ დავიღუპებოდით, ჯენნეთში (სამოთხეში) მოვხვდებოდით, მაგრამ ჯერ სირიაში წასვლის „ღირსი“ უნდა გავმხდარიყავით. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ კარგ ფიზიკურ მონაცემებთან ერთად, გამძლეობითა და ნებისყოფით გამორჩეულები უნდა ვყოფილიყავით. გვავარჯიშებდნენ ძალიან დატვირთულად, ეს ვარჯიშები აღარ უკავშირდებოდა ჭიდაობისთვის წვრთნას.

ერთი თურქი გვსტუმრობდა. არ ვიცი სახელი და გვარი, მაგრამ მგონია, რომ ის აფინანსებდა ჩვენს კომფორტს, რამე თუ გვჭირდებოდა, მოჰქონდა. ჩვენთან ხან პანკისიდან ჩამოდიოდნენ, ხან სირიიდან, ხან თურქეთიდან, რუსულად მოსაუბრეებიც მოდიოდნენ, მაგრამ არ ვიცი, ისინი საიდან იყვნენ. ჯერ კიდევ შეჯიბრებებზე როცა დავდიოდით, თბილისში ისეთივე ბინაში მიგვიყვანეს, როგორიც ბათუმში გვქონდა. იქ დაგვხვდნენ სულ რუსულად მოსაუბრე, 30-40 წლამდე კაცები. ფიზიკურად ყველა კარგ ფორმაში იყო და გრძელი წვერი ჰქონდა. ზოგადად, წვერის ტარებას ჩვენც გვირჩევდნენ, მაგრამ ჩვენს ჯგუფში უმეტესად 14-დან 20 წლამდე ბიჭები ვიყავით და უმეტესობას წვერი ჯერ ამოსულიც არ ჰქონდა.

იმ სახლში ცხოვრების დროს დასჯის უცნაური მეთოდი გვქონდა. მაგალითად, ლოცვას თუ გააცდენდი, არ უნდა დაგემალა. „მოსამართლე“ გვისჯიდა ნეკის თითის სიმსხო ჯოხით იმდენ დარტყმას, რამდენსაც საჭიროდ ჩათვლიდა. მხოლოდ ჩვენ კი არა, თვითონ უფროსებიც ისჯებოდნენ ამგვარად. დღემდე ვერ ამიხსნია ეს რა მეთოდი იყო. ფანჯრიდან რომ გავიხედავდით ვხედავდით, რომ გვითვალთვალებდნენ. დაღამებისთანავე, ჩვენი სახლის წინ ჩერდებოდა ჩაბურულმინებიანი მანქანა. მთელი ღამე იქ იყვნენ. გათენდებოდა და მიდიოდნენ. ბახუნტარაძე ხუმრობდა, დაცვა გვყავს, ჩვენ ვინ რას დაგვიშავებსო“, – ამბობს ზურა.

**დავითი, 24 წლის:**

„პირველად, როცა სპორტდარბაზში მოჭიდავეებმა ლოცვის გამო 20-წუთიანი შესვენება გამოაცხადეს, გამიკვირდა. გამოვკითხე, რატომ იყვნენ რელიგიით ასე დაინტერესებულები. მითხრეს, რომ ნამაზის (ლოცვის) გაცდენა ცოდვად ითვლებოდა და მუსლიმანი თუ ვიყავი, მეც უნდა მელოცა. მუსლიმანი ვარ, მაგრამ ვარჯიშის დროს ლოცვის შესრულებაზე არასდროს მიფიქრია. შემომთავაზეს მათ საცხოვრებელში გადასვლა, სადაც კარგი პირობები, საკვები და „ისლამისთვის შესაბამისი“ გარემო ჰქონდათ. არასდროს მაინტერესებდა რელიგია, წელიწადში ორჯერ ბაირამს ვლოცულობ, ხანდახან ახლობლის დაკრძალვის რიტუალში ვმონაწილეობ და ჯუმა ნამაზსაც (პარასკევის ლოცვა), თუ დრო მაქვს, ვასრულებ.

რამდენჯერმე გავყევი ბათუმში, პუშკინის ქუჩაზე არსებულ ბინაში და უფროსს თემურ ბახუნტარაძესაც ვესაუბრე. იქ ცხოვრების პირობების მიხედვით დღეში ხუთჯერ ლოცვა აუცილებელი იყო. სურვილის შემთხვევაში არაბულსაც მასწავლიდნენ. არ მომეწონა, რომ ეს კაცი სულ მტრებსა და ომებზე საუბრობდა. ყველაზე დიდი მტერი რუსეთიაო, რომ თქვა, ვიფიქრე, 2008 წლის ომის გამო იყო გაღიზიანებული, მაგრამ სულ სხვა მიმართულებით წავიდა საუბარი. თქვა, რომ რუსები ჩვენს თანამოძმეებს არაბეთის ქვეყნებში აწამებდნენ და ტაფაზე წვავდნენ. სადემონსტრაციოდ, კომპიუტერში ვიდეო ჩართო, რომლის ნახვასაც დღემდე ვნანობ. ხელებშეკრული კაცი ბოძზე მიაბეს, ჯაჭვის ერთი ბოლო ყელზე შეაბეს, მეორე კი იქვე მდგარ ტანკს გამოაბეს. რუსულად შეძახილი გაისმა, ტანკი დაიძრა და კაცს თავი მოაგლიჯა. საშინელება იყო, თუმცა ბიჭებმა მითხრეს, თითქმის ყველა სტუმარს პირველივე მისვლაზე ასეთ ვიდეოებს აყურებინებდნენ. მას მერე იქ აღარ ვყოფილვარ. მანამდე ვახშამზე დამპატიჟეს. ჭამის პროცესიც განსხვავებული ჰქონდათ, დაბალი მრგვალი მაგიდის გარშემო იატაკზე დაგებულ ნოხზე დავსხედით და საკმაოდ გემრიელი ხორცეული მივირთვით. იმ ვახშამზე თქვეს, რომ, რუსეთის გარდა, მათი მტრები მუფთები იყვნენ. ჩემთვის უინტერესო იყო რელიგიაზე საუბრები და მათთან მისვლის სურვილიც აღარ გამჩენია. იმ საუბრებიდან ყველაზე მეტად დამამახსოვრდა ის, რომ საქართველოში 2 000-ზე მეტი ვაჰაბისტი ცხოვრობდა და აქედან ერთ ადამიანსაც რომ გასჭირვებოდა, ორი ათასივე კაცი მის გვერდით დადგებოდა“, – აცხადებს დავითი.





„ambebi.ge“-ს წყაროების მიერ მწვრთნელად მოხსენიებული თემურ ბახუნტარაძე 2012 წლის 13 სექტემბერს ბათუმში კონტრტერორისტული ცენტრის მიერ ჩატარებული სპეცოპერაციის დროს დააკავეს. მას ბრალად ედებოდა სამართალდამცველების მიმართ წინააღმდეგობის გაწევა. მასთან ერთად დააკავეს მოჭიდავე ფირუზ წულუკიძე და ეთნიკურად ჩეჩენი რუსეთის მოქალაქე იუსუფ ლაკაევი, რომელმაც სპეცოპერაციის დროს ერთი პოლიციელი დაჭრა. ჩხრეკის დროს სამართალდამცველებმა ბახუნტარაძის საცხოვრებელი ბინიდან ხელყუმბარა ამოიღეს. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, ბახუნტარაძესა და წულუკიძეს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯათ, ხოლო ლაკაევს – 16 წლით.

„ambebi.ge“-ს წყაროს მიერ ფსიქოლოგად დასახელებული მირზა მიქატაძე, ჩვენი ინფორმაციით, თურქეთში იმყოფება. რაც შეეხება ხვიჩა გობაძეს, მან 23 ნოემბერს მუქარის შემცველი ვიდეო გაავრცელა, სადაც ის მუსლიმანების ქართველ წინამძღვრებს თავების მოჭრით ემუქრება. (ambebi.ge)



1. ციტრუსი
2. ნახატი-შარჟი
3. სამიანი ნარდში
4. მხატვარი სალვადორ ...
5. მტერზე დანებება
6. კვერცხის თეთრი შიგთავსი
7. სათბური, ანუ ...
8. „სიყვარული ყველას უნდა“ მეველეები: გივილო და ...
9. ბოსტნეულის კერძი
10. ცხოველთა სამყარო
11. მწერი
12. წისქვილის ქვა
13. მწერლები ... და პეტროვი
14. ქალაქი გერმანიაში
15. ისლანდიის დედაქალაქი
16. მუზეუმი მადრიდ-ში
17. გულმკერდის ძვალი
18. იუპიტერის თანამგზავრი
19. არამუსლიმანური სამარხი
20. გამის ნოტი
21. ხორბლის ჯიში
22. თეთრი მასა ლუდის თავზე
23. მსახიობი ჟერარ ...
24. პრეზიდენტის ფიცი
25. სიმღერის მუსიკა
26. „ანტიოსკარი“ „ოქროს ...“
27. დიეგო არმანდო ...
28. ლასო
29. ერთგვარი ქარი
30. კუნძული ატლანტის ოკეანეში
31. მტაცებელი თევზი ოკეანეში
32. ბოძი ვედრით ჭასთან
33. სანელებელი ნაყოფი
34. კურკიანი ხილის ჩირი
35. ქალაქი იტალიაში
36. დადებითი ელექტროდი
37. სოფელი მცხეთის რაიონში
38. ავსტრიის დედაქალაქი
39. მსახიობი ჯორჯ ...
40. საქონლის ჯოგი
41. შტატი აშშ-ში
42. ცხენზე დასაჯდომი
43. შტატი აშშ-ში
44. მწერი. იკვებება სხვა მწერის ორგანიზმ.
45. ვულკანი სიცილიაზე
46. მხ/ფ „... სასიძო“
47. ადამიანის უფლებების დამცველი
48. აკვიატება, აჩემება
49. მარცვლოვანი მცენარე
50. ბუდისტი მასწავლებელი
51. მსახიობი ... თურმანი
52. ბურღულეული
53. მაიმუნის სახეობა
54. „შენ ... ვენახი“
55. მომღერალი ... რიდი
56. ოქროს დიდი ნაჭერი
57. მსახიობი ჟან ...
58. სულების გამოძახება
59. დრამატურგი კარლო ...
60. სამშენებლო მასალა
61. ჭრილობა
62. სამხედრო გემი
63. წყლის მოლუსკი
64. „ჩვენი ეზო“ ... ვასასი
65. მსახიობი გივი ...
66. სისხლძარღვი
67. ტალანტი
68. იტალიური ღვეზელი
69. მხ/ფ „... ბროკოვიჩი“
70. სასვენი ნიშანი
71. მდინარე ჩრდ. ამერიკაში
72. ფეხბურთელი ... იკარდი
73. მსახიობი ... წეროძე
74. კომპოზიტორი. ცნობილია პოლონეზით
75. მან აღორძინა ოლიმპ. თამაშები
76. ხუმარა, ანუ ...
77. ქვევრი
78. ხის ჯამი
79. ქანდაკების ზედა ნაწილი
80. ნაგებობა მდინარეზე
81. მწერალი დიმიტრი ...
82. 100კგ
83. ... მოგივა დავითაო
84. ტყის ნაკვეთი
85. სხივები. იღებენ ძვლებს
86. სმენის ორგანო
87. იაპონური თაიგული
88. კომპოზიტორი რიხარდ ...
89. სომხეთის დედაქალაქი
90. რბილი ადგილი ჩვილის თავზე
91. პატარა არხი
92. მოხარშული ზეთი
93. მიმართვა ფრანგთა მეფისადმი
94. ტროპიკული ნაყოფი
95. მსახიობი ქეით ...
96. ინგლისური ლუდი
96ა. ბონდიანადან „დოქტორი ...“
97. კრახი
98. მსახიობი ერიკ ...
99. ჩაროზი
100. ცისარტყელას ფერი
101. ლატვიის დედაქალაქი
102. მსახიობი ჯუდ ...
103. ვაჟიშვილი
104. ქალი კამელიებით: მარგარიტა ...
105. სისველე, სინოტივე
106. ტყის სული წვეტიანი ყურებით
107. ცხიმის კვალი ქსოვილზე
108. ქალაქი გერმანიაში
109. შიიზმის მიმდევარი
110. აბუ ალი ... სინა, იგივე ავიცენა
111. ... შრომა, მერე ხტომა
112. „... კარენინა“
113. პროვინცია კანადაში
114. იაპონური ავტომობილი
115. რეჟისორი ... დე ბონტი
116. იტალიელი კომპოზიტორი
117. ინგლისის ძველი სახელწ.
118. მსახიობი ... როკი
119. თეატრის სცენის განათება
120. ანტიკური საბერძნეთი
121. მსახიობი ... ჰეპბერნი
122. გარკვეული წრის ადამიანების ჟარგონი
123. მტაცებელი ფრინველი
124. საბუნებისმეტყველო მეცნიერება
125. მსახ. ... მაკგრეგორი
126. რეჟისორი ჯონ ...
127. სასვენი ნიშანი
128. მომღერალი ... პიეხა
129. მეცნიერი ... ვეკუა
130. ... გათეთრდების კორანი
131. მგალობელი ფრინველი
132. მომღერალი ... კახიანი
133. მომღერალი ... პავლიაშვილი
134. „ილიადის“ გმირი
135. პირბადე
136. ... ცეცხლს მუა
137. გულიანი ნამცხვარი
138. მსახიობი ... გარდნერი
139. სახელმწ. ცენტრ. ამერიკაში
140. მსახიობი ... ჰეჩი
141. რეჟისორი ალფონსო ...
142. გამის ნოტი
143. ნაკურთხი წყალი
144. თავაშვებული ღრეობა
145. ყვავილი

ავტორი თინა ციბაძე 598 44-31-00

პასუხები: 1. მანდარინი; 2. კარიკატურა; 3. სე; 4. დალი; 5. კაპიტულაცია; 6. ცილა; 7. ორანჟერეა; 8. ბაწრო; 9. აჯაფსანდალი; 10. ფაუნა; 11. ობობა; 12. დოლაბი; 13. ილფი; 14. საარბრიუკენი; 15. რეიკიავიკი; 16. პრადო; 17. ლავიწი; 18. იო; 19. ნაუსი; 20. სი; 21. იფქლი; 22. ქაფი; 23. ფილიპი; 24. ინაუგურაცია; 25. მელოდია; 26. ჟოლო; 27. მარადონა; 28. ქამანდი; 29. სამუმი; 30. გრენლანდია; 31. ხმალთევზა; 32. ოწინარი; 33. კოწახური; 34. კერკი; 35. მილანი; 36. ანოდი; 37. წიწამური; 38. ვენა; 39. კლუნი; 40. ნახირი; 41. იუტა; 42. უნაგირი; 43. ალაბამა; 44. პარაზიტი; 45. ეტნა; 46. უდიპლომო; 47. ომბუდსმენი; 48. ახირება; 49. ლობიო; 50. გურუ; 51. უმა; 52. მაკარონი; 53. ორანგუტანგი; 54. ხარ; 55. დინ; 56. ზოდი; 57. მარე; 58. სპირიტიზმი; 59. გოცი; 60. არმატურა; 61. იარა; 62. კრეისერი; 63. მიდია; 64. დეიდა; 65. სიხარულიძე; 66. არტერია; 67. ნიჭი; 68. პიცა; 69. ერინ; 70. ტირე; 71. მისისიპი; 72. მაურიციო; 73. დუდუხანა; 74. ოგინსკი; 75. კუბერტენი; 76. მასხარა; 77. ჭური; 78. გობი; 79. ბიუსტი; 80. ხიდი; 81. გულია; 82. ცენტნერი; 83. რაც; 84. კორომი; 85. რენტგენი; 86. ყური; 87. იკებანა; 88. ვაგნერი; 89. ერევანი; 90. ყიფლიბანდი; 91. რუ; 92. ოლიფა; 93. სირ; 94. ბანანი; 95. უინსლეტი; 96. ელი; 96ა. ნო; 97. ფიასკო; 98. ბანა; 99. დესერტი; 100. იისფერი; 101. რიგა; 102. ლოუ; 103. ძე; 104. გოტიე; 105. ნესტი; 106. ელფი; 107. ლაქა; 108. ბონი; 109. შიიტი; 110. იბნ; 111. ჯერ; 112. ანა; 113. კვებეკი; 114. „ნისანი“; 115. იან; 116. მასკანი; 117. ალბიონი; 118. კრის; 119. რამპა; 120. ელადა; 121. ოდრი; 122. სლენგი; 123. ქორი; 124. ქიმია; 125. ევან; 127. ტირე; 128. ედიტა; 129. ილია; 130. არ; 131. ტოროლა; 132. ეკა; 133. სოსო; 134. აქილევსი; 135. ვუალი; 136. ორ; 137. ქადა; 138. ავა; 139. კოსტა-რიკა; 140. ენ; 141. არაუ; 142. მი; 143. აიაზმა; 144. ორგია; 145. ია. იკითხება: დრიუ ბერიმორი.

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო ამბები... საინტერესო

## რა ჩავიცვათ ახალი წლის ღამეს? — ასტროლოგები გვირჩევენ



2016 წლის შესახვედრად, სხვა ტრადიციებთან ერთად, აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ ჩაცმულობაც. გასათვალისწინებელია ის რჩევები, რომელიც სამოსის სტილსა თუ ფერს შეეხება. ამიტომ შეეცადეთ, ცეცხლოვანი მაიმუნის წელს სათანადოდ შემოსილი შეხვდეთ, რათა მთელი წელი წარმატებული გქონდეთ.

ვერძი: სასურველია, ჩაცმულობაში ბევრი ლურჯი, იასამნისფერი და შავი ტონები ფიგურირებდეს. ქალბატონმა ვერძებმა კი ჭრელ სამკაულზე გააკეთეთ არჩევანი.

კურო: ასტროლოგები საახალწლო ღამეს კლასიკური სტილის ჩაცმას ურჩევენ, რა თქმა უნდა, შესაფერისი აქსესუარებით. რაც შეეხება ფერებს, ესენია: ღია ვარდისფერი, ატმისფერი, ცისფერი, მწვანე.

ტყუპები: უმჯობესია, თუ ახალი წლის ღამეს სადა სამოსს შეარჩევთ. სასურველია, რასაც ჩაიცვამთ მარტივი ფორმისა და სტილის იყოს, ზედმეტი გადატვირთვის გარეშე. აქცენტი თავსაბურავებსა და აქსესუარებზე გააკეთეთ. ფერებიდან კი უპირატესობა ღია მწვანეს, ცისფერსა და ვარდისფერს მიანიჭეთ.

კირჩხიბი: ახალი წლის ღამეს ვერცხ-



ლისფერი, ოქროსფერი ან ბაცი ვარდისფერი სამოსი დაამშვენებთ ყველაზე მეტად. ქალბატონ კირჩხიბს ასტროლოგები ურჩევენ, სამკაულებიდან უპირატესობა მარგალიტს მიანიჭონ.

ლომი: ასტროლოგები ურჩევენ, არც ახალ წელს უღალატონ საკუთარ ეპატაჟურ ბუნებას და ქალბატონებმა მაქსიმალური გამჭვირვალობის მქონე, წელში გამოყვანილი კაბა შეარჩიონ სადღესასწაულო ღამის შესახვედრად, ხოლო მამაკაცებმა აქცენტი ისეთ სამოსზე შეაჩერონ, რომელიც მათი ყოველდღიური სტილი არ არის, თუმცა ახალი წლის ღამეს თავს უფლებას მისცემენ, იყვნენ განსხვავებული. აქცენტი ღია ფერებზე შეაჩერეთ, სასურველია ღია მწვანე.

ქალწული: საახალწლო გარდერობის შერჩევისას, მრავალფეროვან სამოსზე უნდა შეაჩეროთ არჩევანი. ჩაცმულობაში გამოიყენეთ წითელი ან ნარინჯისფერი.

სასწორი: ნებისმიერ სამოსში გამოიყურებიან უზომოდ მომხიბვლელად. საახალწლოდ ასტროლოგების აზრით, მათ შეუძლიათ, უპირატესობა მიანიჭონ ფერებს – ღია ტონის ლურჯი, ნარინჯისფერი, ვერცხლისფერი და ბაცი ცისფერი.

მორიელი: გამოირჩევიან მუქი ტონების, კერძოდ კი, შავი ფერის სიყვარულით. საახალწლოდ მორიელი შავი ან წითელი ფერის სამოსში იქნება განუმეორებლად მომხიბვლელი.

მშვილდოსანი: 2016 წელთან შესახვედრად, ასტროლოგები ძირითადად აქსესუარებზე ურჩევენ მაქსიმალური



აქცენტის გაკეთებას. ჩაცმის სტილი, თავისუფალი და სადა უნდა იყოს. ქალბატონებმა, ზომიერება გამოიჩინონ ვარცხნილობის შერჩევისას. სასურველია, საახალწლოდ თქვენი თმა ბუნებრივად გამოიყურებოდეს.

თხის რქა: ასტროლოგები ურჩევენ, საახალწლო ღამეს დახვეწილობისა და გრაციოზულობის ეტალონად აქციონ საკუთარი თავი. თქვენი იმიჯი საახალწლოდ კლასიკურობისა და ელეგანტურობის ნაზავი უნდა იყოს.

მერწყული: ასტროლოგები ურჩევენ საახალწლო სამოსზე მეტად ყურადღება მიაქციოს აქსესუარების სწორად შერჩევას. იმიტომ, რომ ზოდიაქოს ამ ნიშნისთვის სწორედ აქსესუარებისადმი დიდი სიყვარულია დამახასიათებელი, ფრიად იხიბლება ამგვარი დეტალებით. ქალბატონებო, კაბის ფორმასა და სტილს რაც შეეხება, საუკეთესო ვარიანტია ამ მხრივ მაქსი სტილის, ნახევრად გამჭვირვალე კაბა, რომელიც გამოკვეთს წელისა და თეძოების არეს.

თევზები: უმრავლესობა გიჟდება გემოვნებით ჩაცმა-დახურვაზე. განსაკუთრებით კი, ზოდიაქოს ამ ნიშნით დაბადებულ ქალებს ორიგინალური თავსაბურავები და ბეჭდები მოსწონთ. ასტროლოგები გირჩევენ, საახალწლო ღამეს, თქვენივე სტიქიის ტონებს მიანიჭოთ უპირატესობა – ცისფერი, მწვანე, ფირუზისფერი.

*newposts.ge*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## წარმატებული ქორწინების განსაზღვრა მეცნიერებს ხმის მეშვეობით შეუძლიათ



თუ გსურთ, წინასწარ იცოდეთ, თქვენი და თქვენი მეორე ნახევრის თანაცხოვრება რამდენად წარმატებული იქნება, ამერიკელ მეცნიერებს უნდა მიმართოთ.

ამერიკელმა მეცნიერებმა კომპიუტერული ალგორითმი შემუშავეს, რომელიც წყვილის ხმის ტემბრისა და ინტენსივობის მეშვეობით 79 პროცენტით ზუსტ ანალიზს იძლევა, თუ რამდენად შეეფერებიან ერთმანეთს და რა დრო უწერია მათ ერთად ყოფნას. ექსპერიმენტში დაახლოებით 100 ოჯახური წყვილი მონაწილეობდა, რომელიც ოჯახური თერაპიის დროს ახალი გამოგონების გამოყენებას აპირებს.

ექსპერიმენტის ავტორებს მხარს უჭერდა აშშ-ს ეროვნული სამეცნიერო ფონდი, რომლის მიზანია ოჯახის შენარჩუნება და ოჯახური პრობლემების პრევენცია. სწორედ, ამავე მიზნით აპირებენ მეცნიერები მეუღლეების სხეულის ენის შესწავლასა და მის ანალიზს.

*correspondent.net*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## კემბრიჯში შეგიძლიათ, საუკეთესო სტუდენტური უკანალი იპოვოთ



თუ ვინმეს ეგონა, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტი მხოლოდ ცოდნის ტაძარია და სტუდენტებიც მხოლოდ ინტელექტუალურ შეჯიბრებებს ატარებდნენ, მინდა ვაცნობო, რომ ცდებოდნენ. წელს უკვე მეოთხედ გაიმართა საუკეთესო უკანალების კონკურსი, რომლის ფინალისტიც 5 ბიჭი და 5 გოგონა გახდა. ვერაფერს იტყვი, გენდერული ბალანსი დაცულია.

მონაწილეებს საკუთარი შიშველი, ან საცვლებში გადაღებული ფოტო უნდა წარმოედგინათ. 10 ფინალისტიდან, ცხრამ შიშველი ფოტოს წარდგენა არჩია. ალბათ, მოგების შანსის გაზრდის მიზნით. კონკურსი სტუდენტური გაზეთის ორგანიზებით ჩატარდა. გამოქვეყნებული იყო კონკურსანტების ფოტოები, რომლებსაც ქვევით მათივე წარწერა ამშვენებდა. მაგალითად, „ტრადიციების მეტოქე ფილიპი და ვინჩის სრულყოფილი ფორმების კონცეფციას ეწინააღმდეგება".

ბოროტებს რა დალევს ქვეყანაზე და ფემინისტების სახით ამ უწყინარ კონკურსსაც გამოუჩნდა კრიტიკოსები. ისინი ორგანიზატორებს სექსიზმში ადანაშაულებდნენ. ანდაზის „ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდის" ინგლისური ანალოგი როგორ არის, არ ვიცი, მაგრამ ფაქტია, რომ რაღაც ამდაგვარი მათაც აქვთ, ვინაიდან ფემინისტებისთვის არავის მიუქცევია ყურადღება და შეჯიბრმაც მშვიდობიანად ჩაიარა.

შეგახსენებთ, რომ კემბრიჯის უნივერსიტეტი ოქსფორდის უნივერსიტეტის შემდეგ მეორე, ყველაზე ძველი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა. მის შემადგენლობაში 31 კოლეჯი, 16 ძველი (1284-1596 წლებით თარიღდება) და 15 ახალი (1800-1977 წლები) შედის.

*lenta.ru*

საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო ამბები... საინტერესო საინტერესო

## ქალებს ქვეცნობიერად ნივრის სუნი იზიდავთ?



21-ე საუკუნე ყველაფერ ძველის უარყოფისა და აბსურდის მტკიცების საუკუნეა. მეცნიერების მთავარი მიზანია, არ დაეთანხმონ იმას, რაც აქამდე ეჭვშეუტანელ ფაქტად იყო მიჩნეული და აღარ აქვს მნიშვნელობა, კონტრარგუმენტად რას მოიშველიებენ.

პაემანზე წასვლის წინ რომ ნიორი, ან ნივრიანი კერძი არ უნდა მიირთვათ, რა განსაკუთრებული მეცნიერული დასკვნები სჭირდება ამას. მარტივია, უსიამოვნო სუნი გექნებათ და გულისსწორსაც თქვენი მეორედ ნახვის სურვილი აღარ ექნება. თუ, რა თქმა უნდა, სწორედ ამ მიზნით არ შეჭამთ. ჰოდა, ჩეხი მეცნიერები გამოვიდნენ და ამბობენ (აქამდე ამერიკელი მეცნიერები პირველობდნენ აბსურდის მტკიცების ხელოვნებაში) რომ პირიქით, სწორედ ნიორი ანიჭებს მამაკაცებს განსაკუთრებულ ხიბლს. ეს არ იკმარეს და საქმეში ქალებიც გაგვრიეს, თქვენ ვერ ხვდებით, თქვენი ქვეცნობიერი კი ნივრის სუნზე გიჟდებაო. თურმე, ექსპერიმენტი ჩაატარეს და ყველაზე მეტად ქალები ნივრის სუნზე რეაგირებდნენ და სწორედ მის სუნს მიიჩნევდნენ ყველაზე მიმზიდველად.

იხარეთ, კაცებო, თქვენ ხომ ყოველთვის გიჭირთ ქალსა და კუჭს შორის არჩევანი გაკეთება. ახლა აღარ დადგებით დილემის წინაშე და ორ კურდღელსაც ერთად დაიჭერთ.

*myjane.ru*

გვერდი მოამზადა **დარინა ქამადაძე** 593 19-85-99



– ქმარს ვურეკავ. 5 ზარი გავუშვი, არ მიპასუხა. მივწერე მესიჯი: „ძვირფასო, დიდი ბოდიში, მაგრამ შენი მანქანის საქარე მინა გავტეხე, კაპოტი მივჭეჭყე..." ჰოდა, ახლა 3 წუთში 70 გაშვებული ზარი მაქვს...

*****

სტუდენტი გამოცდის ჩაბარებას უკვე მეხუთედ ცდილობს.

ლექტორი:

– ესე იგი, ის საკითხი ვერ მოიყევით, მომდევნო არ იცოდით, მესამეში უამრავი შეცდომა დაუშვით... რა მოგიხერხოთ?

სტუდენტი:

– შემიცოდეთ, პატივცემულო, შემიცოდეთ.

ლექტორი:

– ჩემი საბრალო და საცოდავი, ისევ ვერ ჩააბარა...

*****



ქუჩაში მეგობრები შეხვდნენ:

– რატომ ხარ ასეთი განერვიულებული?

– რა ვიცი, ცოლი მოვიყვანე და პატრულში მუშაობს...

– მერე?

– მერე ის, რომ პირველივე ღამეს დამაჯარიმა – სიჩქარის გადაჭარბებისთვის, ორმაგი გასწრებისთვის და არასათანადო ადგილზე გაჩერებისთვის...

*****

– უკაცრავად, ქალბატონო...

– სხვათა შორის, ქალიშვილო!

– რა, არც ერთხელ?!

*****

სვანმა პეიჯერზე მოკლე ტექსტური შეტყობინება მიიღო პეიჯინგის კომპანიისგან:

– შე დალოცვილო, იყიდე უკვე ეს ოხერი მობილური ტელეფონი, თორემ 13 წელია უკვე, კომპანიის საქმიანობის შეჩერებას ვერაფრით ვახერხებთ!..

*****



პორნომსახიობები გადაღებების დასრულების შემდეგ ტანსაცმლის ჩაცმასაც ძლივს ახერხებენ. მამაკაცი ქალს:

– საღამოს ხომ არ შევხვდეთ, ყავას დავლევდით...

– და აზრი?..

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

*დავით ახობაძის ნახატი*

ნეკროლოგები, განცხადებები, მილოცვები
მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა 12:00-დან 18:00-მდე
ტელ.: 577 99-99-96 (032) 2-333-170; 2-21-21-80 (101);

## კონტრაბანდული ჰეროინი... ხალიჩებში



უმკაცრეს სასჯელს ამ ბინძურ საქმეში ჩართული აბსოლუტურად ყველა ადამიანი იმსახურებს, დაწყებული ბოსებიდან, დასრულებული რიგითი გამსაღებლებით!

როგორც ირკვევა, გერმანელმა მებაჟეებმა 45 კილო ჰეროინი ხალიჩების პარტიაში აღმოაჩინეს.

ამ ყველასთვის მოულოდნელ აღმოჩენას რამდენიმე ადამიანის დაპატიმრება მოჰყვა, რომლებიც პოლონეთის, საფრანგეთისა და ბელგიის მოქალაქეები არიან.

საქმის შესახებ სხვა ინფორმაცია ჯერჯერობით უცნობია.

*mainfun.ru*

## კიბოთი დაავადების რისკი 45 პროცენტითაა გაზრდილი?!



ფრიად სამწუხარო და საგანგაშოა, მაგრამ ფაქტია, რომ ბოლო 40 წლის მანძილზე სპეციალისტებმა კიბოს გაჩენის რისკის მატება მთელი 45 პროცენტით განსაზღვრეს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემების თანახმად, ამ უსიამოვნების მიზეზი ოზონის შრის გათხელებას უკავშირდება, რის გამოც, დედამიწაზე მზის რადიაციის უზარმაზარი დოზები ვრცელდება.

სპეციალისტების განმარტებით, წარსულში მზის აბაზანები სხვადასხვა დაავადების სამკურნალოდ, მაგალითად, ფსორიაზისა და ეგზემის სამკურნალოდ გამოიყენებოდა, თუმცა დღეს უკვე ასეთი პროცედურები დადებით შედეგს კი აღარ იძლევა, არამედ, პირიქით, ძალიან საშიში ხდება.

უნდა ითქვას ისიც, რომ კიბოთი დაავადების რისკის ჯგუფში უფრო მეტად თეთრკანიანი რასის წარმომადგენლები შედიან, ვიდრე შავი ან ფერადკანიანები, რადგან მათ პიგმენტი მელანინი გაცილებით ნაკლები დოზით ჰქონიათ, ნივთიერება, რომელიც კანის უჯრედების დაცვა-აღდგენაზეა პასუხისმგებელი. ამდენად, მზის აბაზანების მიღება თეთრკანიანებისთვის კატეგორიულად არ არის რეკომენდებული. თუ მაინცდამაინც, ზღვაზე წასულებს სპეციალისტები ურჩევენ, „ზაგარი“ გამთენიისას მიიღონ, როცა მზის სხივები იმდენად აქტიური არ არის, როგორც შუადღეზე ან საღამოს.

დაბოლოს, მზის აბაზანების მიღება საერთოდ ეკრძალებათ ალბინოსებს, რომლებსაც მელანინი, ფაქტობრივად, საერთოდ არ მოეძიებათ. ასევე, მზეს აუცილებლად უნდა მოერიდონ ვენების ვარიკოზული გაგანიერების მქონე ადამიანები, ინსულინდამოკიდებული დიაბეტიკები და ასე შემდეგ.

*factroom.ru*

## აუტიზმით დაავადებულ ბავშვებზე ძაღლები პოზიტიურ გავლენას ახდენენო



გამოდის, რომ ძაღლი არა მხოლოდ ადამიანის საუკეთესო მეგობარია, არამედ მას საკმაოდ მძიმე დაავადების მქონე ბავშვებისთვის უდიდესი დახმარების აღმოჩენაც კი შეუძლია.

მონრეალის უნივერსიტეტის სწავლულების ახალი კვლევის შედეგების თანახმად, სპეციალურად გაწვრთნილ ძაღლებს შეუძლიათ, აუტისტ ბავშვებს მღელვარების შეგრძნება გაუნეიტრალონ და მათ სოციალიზაციაში უდიდესი როლი ითამაშონ.

– მიღებული შედეგები გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ ძაღლებს ბავშვებში სტრესის გამომწვევი ჰორმონების დონის შემცირება შეუძლიათ, – განმარტავს პროფესორი სონია ლიუპენი.

ექსპერიმენტის ფარგლებში აუტისტ ბავშვებს სპეციალისტებმა ძაღლები მიამაგრეს, მათ მშობლებს კი შვილების ქცევების დეტალური აღწერა დაავალეს. აღმოჩნდა, რომ აუტისტი ბავშვების უმეტესობას საშუალო 33 პრობლემიდან ძაღლთან გატარებული დროის მანძილზე მაქსიმუმ 25 გამოუვლინდა.

რა გაგრძელებას ჰპოვებს აღნიშნული მიგნება, სამწუხაროდ, არ ზუსტდება, თუმცა, სავარაუდოდ, ის უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს და იმედი გვაქვს, აუტიზმით დაავადებული პატარებისთვის რაიმე შვების მომტანი ახალი გამოგონების შესახებ ინფორმაციას უახლოეს მომავალში შევიტყობთ.

*tourdebelem.com*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*

## ჰოროსკოპი

**ვერძი 21.03-21.04**
**1 დეკემბერი:** ფინანსური კუთხით კარგი დღე უნდა იყოს. რამდენიმე პრობლემას მოაგვარებთ და შეიძლება დიდი ხნის ოცნების ასრულებაზეც იფიქროთ.

**კურო 22.04-21.05**
**1 დეკემბერი:** შესაძლოა, გარშემომყოფნი თქვენს ყველა წამოწყებას დაუპირისპირდნენ. აზრი აღარ ჰკითხოთ, სჯობს, შედეგით დატკბნენ.

**ტყუპები 22.05-21.06**
**1 დეკემბერი:** თამამად შეგიძლიათ საკუთარ გრძნობებზე ისაუბროთ, ოღონდ არა პირველივე შემხვედრთან, არამედ თქვენთვის ძვირფას ადამიანთან.

**კირჩხიბი 22.06-22.07**
**1 დეკემბერი:** შეიძლება დღეს ნაცნობებს ყველაზე უჩვეულო ადგილებში გადააწყდეთ. ამას შეიძლება არცთუ სასიამოვნო შედეგები მოჰყვეს.

**ლომი 23.07-22.08**
**1 დეკემბერი:** თუ დღეს იმას ვერ მიიღებთ, რაც ძალიან გსურდათ, ამაში საკუთარი თავის მეტს ვერავის დაადანაშაულებთ. სხვა უსიამოვნებები მოსალოდნელი არ არის.

**ქალწული 23.08-22.09**
**1 დეკემბერი:** დღეს ჩვეულებრივზე მეტად თავშეკავება და გაწონასწორებულობა გმართებთ. ემოციების გამოხატვა მხოლოდ დაგაზარალებთ.

**სასწორი 23.09-22.10**
**1 დეკემბერი:** დიდი შანსია, კონფლიქტურ სიტუაციაში აღმოჩნდეთ. გამბედაობა და თავდაჯერებული გამომეტყველება გმართებთ, რომ არ დაზარალდეთ.

**მორიელი 23.10-21.11**
**1 დეკემბერი:** რაც უფრო დინჯად იმოქმედებთ, შედეგი მით უფრო შთამბეჭდავი იქნება. შეეცადეთ, არავის რჩევას არ აჰყვეთ და არ იჩქაროთ.

**მშვილდოსანი 22.11-21.12**
**1 დეკემბერი:** ვის შეხვდებით და რაზე ისაუბრებთ, ამაზე ბევრად იქნება დამოკიდებული, როგორი ბედი გელით მომდევნო კვირებში. თანამოსაუბრენი ყურადღებით შეარჩიეთ.

**თხის რქა 22.12-19.01**
**1 დეკემბერი:** შესაძლოა, დღეს ძალიან ემოციური და თავშეუკავებელი აღმოჩნდეთ. ახლობლები ამის შესახებ წინასწარ გააფრთხილეთ. ერიდეთ ელექტროხელსაწყოებს.

**მერწყული 20.01-18.02**
**1 დეკემბერი:** დღეს მხოლოდ ის ზღვარი შეგზღუდავთ, რომელსაც საკუთარ თავს თავად დაუწესებთ. ასეთი პერსპექტივით ბოროტად სარგებლობა არ ღირს.

**თევზები 19.02-20.03**
**1 დეკემბერი:** თქვენს გარშემო ბევრი ადამიანი მოირგებს ნიღაბს. ძალიან დიდი ძალისხმევა გმართებთ მათი ჩანაფიქრების ამოსაცნობად, მაგრამ ამად ღირს.

გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
სამუშაოდ იწვევს ჟურნალისტებს!
დამატებითი ინფორმაციისთვის დარეკეთ:
577 74 99 89
„ალიას“ რედაქტორი თამაზ ბესტავაშვილი
(15 საათიდან)
ასევე, რედაქცია გამოაქვეყნებს სხვადასხვა ავტორების პუბლიკაციებსა და წერილებს წინასწარ შეთანხმებული ჰონორარით.

## წამლების ადგილი მაცივარშიაო



შეუსაბამო პირობების გამო, ექიმები ყველა მედიკამენტის აუცილებლად მაცივარში შენახვას და ასევე, ცხელ პერიოდში წამლების შეძენისას დიდი სიფრთხილის გამოჩენას გვირჩევენ.

მოსკოვის ჯანდაცვის დეპარტამენტის სპეციალისტების განმარტებით, გადახურების მიმართ განსაკუთრებით მგრძნობიარეა: ინექციები, გელები, კრემები და მალამოები, თუმცა ნებისმიერ შემთხვევაში, მედიკამენტების უმრავლესობის +25 გრადუსზე მაღალი ტემპერატურის პირობებში შენახვა კატეგორიულად არ შეიძლება.

გარდა ამისა, ყურადღების გამოჩენა გმართებთ მედიკამენტების შეძენისას ანომალიურ სიცხეში. პირველ რიგში, უნდა შეეცადოთ, რომ ინექციები შეძლებისდაგვარად, აბებით შეცვალოთ. ასევე, აფთიაქში წამლის შეძენისას, უნდა დააკვირდეთ, ხომ არ არის აბები დაბზარული ან დამტვრეული, ხოლო თხევადი მედიკამენტი, რომელსაც ძილში ნალექი აქვს მოკიდებული, არამც და არამც არ უნდა მოიხმაროთ.

*medportal.ru*

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ*



მოსწავლეებმა დამრიგებელთან ერთად ჯგუფური ფოტო გადაიღეს. მასწავლებელი ცდილობს, ბავშვებს სურათებში ფული გადაახდევინოს:

– იცით, რა კარგია ასეთი ფოტოები? როცა გაიზრდებით, დაათვალიერებთ ალბომს და იტყვით: „აი, ნინიკო მსახიობია, ლევანი – ექიმი, ნოდარი – ფეხბურთელი“...

ამ დროს ბოლო მერხიდან კოტეს ხმა ისმის:

– ჰო, კიდევ იმასაც ვიტყვით: „აი, ჩვენი კლარა მასწავლებელი, საწყალი, დიდი ხანია, მარილზე გავიდა...“

*მოამზადა მიხეილ სახვაძემ, დავით ახობაძის ნახატი*

შ.პ.ს. „გაზეთები „ალია“ და „კვირის ქრონიკა“
»211359457
გამომცემელი
გიორგი ბრეგვაძე

რედაქტორი: თამაზ ბესტავაშვილი
(577-74 99 89) 2212180 პირადი (112)
საინფორმაციო განყოფილების რედაქტორი – მიხეილ სახვაძე
599 93 28 03; 2-21-21-80 (108)
ოფისმენეჯერი – ტატა ბრეგვაძე
(032) 2-333-170; 2-21-21-80 (101); 577 99-99-96
გაზეთის დისტრიბუციის მენეჯერი
ილია ჭაქვაძე (599 55-45-22)
კომპიუტერული ცენტრის დირექტორი
ლევან ბანეთიშვილი

**გაზეთ „ალიაში“** გამოქვეყნებულ სტატიებზე **საავტორო ქონებრივი უფლების მფლობელია გაზეთის რედაქცია.** მესამე პირების მიერ მისი გამოყენება აკრძალულია და, შესაბამისად, მისი გამოყენების/გავრცელების შემთხვევაში ამოქმედდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციები, **„საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ საქართველოს კანონის 59-ე მუხლი.**

სარეკლამო სამსახური
☎ 2-333-170
577-444-442
მიხეილ სახვაძე
221 21 80
(შიდა ნომერი 108)
E-mail: reklama@alia.ge
®-ით, ან ⬭-ით გასული მასალები დაფინანსებულია შემკვეთის მიერ და სარგებლობს რეკლამის უფლებით. სარეკლამო მასალებში მოყვანილ ფაქტებზე რედაქცია პასუხს არ აგებს.

ISSN 2298-0008
UDC (UAK) 070.4 (479.22) ა-49
რედაქციის მისამართია: აკადემქალაქი, I კვარტალი მე-4 კორპ. I სართული (ალექსიძის ქუჩა)
☎ 2333-170; Fax: 2330-500, E-mail: alia@alia.ge
გაზეთი დასაბეჭდად ხელმოწერილია 01.15